

სხანი ფოტოკლასი



მარტი 2013 №88
ფასი 7 ლარი



ისტორია
თინა გურიანი
ნიკო ნერგაძე

ელსიანე
ნიკო რიმაკაძე
ბერლინალე 2013
ღამით ბუსრიკიძე
ესა
ლაშა ბულაძე



elsiane

თბილისი ივენთ ჰოლი
Tbilisi Event Hall

 სხილი
შოკოლადი
 **98.5 FM**

კონცერტის გახსნის
მართული ჯგუფი

catch
the  Clouds

5 აპრილი

ბილეთების შეძენა შესაძლებელია ფილარმონიის სალაროებში MC Lab-ის კაფე-რესტორნებში (ლოფტი, ბუფეტი, ვონგი, საკურა) და რადიოს ვებ გვერდზე:
radio.shokoladi.ge/tickets

ბილეთის ფასი 50 ლარი
1 აპრილიდან ბილეთის ფასი გაიზრდება 70 ლარამდე

მედია მხარდაჭერი



მასპინძელი



bed

C A F E

იაპონური საზღარეულო
გემრიელი კოქტეილები

სასიაბოვნო ხარისხიანი მუსიკა / DJ Bar

Bed Café ბაიხსნა



დაიშვებიან სტუმრები 21 წლის ზემოთ, შესვლა Dress და Face კონტროლით



GUINNESS-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში



სხალი შოკოლადი

N88, მარტი 2013



ყდა: თინა გურჯიანი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

	08	რედაქტორის სვეტი
	10	ავტორთა სვეტები
ნარდგენა	12	გიორგი ზიბზიბაძე, მხატვარი
	14	საკანი N 79 <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
ანონსი	16	14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
რესტორნის კრიტიკა	22	„პროსპექტში“ ცხრამდე <i>თამარ კვინიკაძე</i>
საავტორო სვეტი	24	დაუვიწყარი მოთამაშე <i>გაგა ნახუცრიშვილი</i>
	26	რენტგენი <i>მაია სარიშვილი</i>
	24	წერილი საკუთარ თავს <i>რატი ქართველიშვილი</i>
ისტორია	28	თინა გურჯიანი სხვადასხვა სახით <i>ნიკო ნერგაძე</i>
	52	ელსიანე – გრძნობათა მექანიკა <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
წერილი ბერლინიდან	36	ბერლინალეს პოზა <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	40	გრძელი, ღრუბლიანი და „გადაჭედილი“ დღეები <i>დავით ბუხრიკიძე</i>
ინტერვიუ	42	ფანტაზია სიცოცხლის გადასარჩენად – გივი მარგველაშვილთან „მაყურებელთა დარბაზებში“ <i>მარიკა ლაფაური</i>
არტისტი ახლოდან	48	ექსპერიმენტი – ნიკა ფასური <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
ჩანახატი	58	კინოს სახლი <i>არჩილ ქიქოძე</i>
ინსპირაცია	62	შეხვედრა ვინისთან 18 წლის შემდეგ <i>დავით აბრამიშვილი</i>
ფოტოპროექტი	65	აქვს თუ არა პროფესიას გენდერი? <i>სერგი ბარისაშვილი</i>
ლიტერატურა	76	<i>ესე</i> როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი <i>ლაშა ბულაძე</i>
	80	<i>მოთხრობა</i> ის დღე <i>თამთა მელაშვილი</i>
	83	<i>მოთხრობა</i> რაც ბაბუა წავიდა <i>თამთა მელაშვილი</i>
	86	<i>პოეზია</i> კატო ჯავახიშვილი, პოეტი
რეცენზია	88	ნეტა როგორია წიგნი, რომელიც სულ იკითხება... <i>ლელა კოდალაშვილი</i>
წიგნები	91	მიმოხილვა
რეცენზია	96	ბესიკ, ბესო, ბესარიონ... ჩვენო ერთადერთფოტოიანო! <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	98	სიყვარული და კრემატორიუმი <i>დავით ბუხრიკიძე</i>
სტილი	102	განწყობების დაფა: ქალაქი ახალგაზრდებისთვის <i>თამარ ალავიძე</i>
	105	„კინოკოსტიუმები ქმნის მოდას“ <i>გვანცა ნემსაძე</i>
	110	ფოტოპროექტი <i>Gregory Regini</i>
	118	ანას კაბა <i>მარიკა ქოჩიაშვილი</i>



გამონერეთ ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ონლაინ გამონერა

მთავარი რედაქტორი

თამარ ბაბუაძე
აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ჯაფარიძე
ლიტერატურა

ბექა ქურბული
სტილი

თამარ ალავეცი
რედაქტორის ასისტენტი

მარიამ სამადაშვილი
რედაქტორ-სტილისტი

რატი ქართველიშვილი
დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი

ნათია ორმოცაძე

წიგნების მუშაკობდენ:

ნიკო ნერგაძე, ნინო ჩიმაკაძე, სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ლაშა ბულაძე, მარიკა ლაფაური, დათო აბრამიშვილი, მაია სარიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, ნინო ბექაშვილი, ლელა კოდლაშვილი, ანა ჭეიშვილი, მარიკა ქოჩიაშვილი, გვანცა ნემსაძე.

ფოტო:

ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, მაკა გოგალაძე

ილუსტრაციები:

თათია ნადარეიშვილი
ბამონცაშვილი

შორენა შავერდაშვილი
ზიზანის ბანკითარების მენეჯერი

რუსუდან ფურცელაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:

ქეთევან ქვეთარაძე
დისტრიბუცია

მიხეილ მამუჩიშვილი



ბამონცაშვილები:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
ფლენტი ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05
სხვა ბამონცაშვილები:

„ლიბერალი“, „დილოგი“, „ქართული ღვინის გზაშეკვლევი“

სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, ნერეთლის 140,
ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო
უფლებები დაცულია. ჟურნალში

გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი
ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის
ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი
არ ერევა შინაარსის შექმნაში.



ქართული კინო კოპკორნის ბარეშე

სულ მეგონა, რომ ქართული კინო და ქართული ფეხბურთი ერთმანეთს ჰგავს – ორივე ერთნაირად „ჩვენი“ გვგონია; ორივეში ნიჭიერები ვართ, მაგრამ ზარმაცები (ან უიღბლონი). იყო დრო, ორივე ერთნაირად კარგად გამოგვდიოდა და ახლა... ორივესგან ერთნაირად მკვდრეთით აღდგომას ველოთ.

თუმცა, ჩემი დაკვირვებით, უკვე მკაფიოდ ჩანს, რომ ქართული კინო ცოცხლდება. კინოდარბაზში მაცურებელი ქართულ ფილმზე ჯერ დიტო ცინცაძემ მიიყვანა; შემდეგ იგივე მაცურებელი რუსუდან ჭყონიას ქართველი დედეების გახუნებულმა თუ ახალმა არქტივებმა შეაფიქრანა; ბოლოს თინათინ გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ნახა და ამ ფილმმაც კამათისკენ, აზრთა გაცვლა-გამოცვლისკენ წააქეზა.

გარეთაც არანაკლები ნარმატებით დამყარდა კონტაქტი კინოზუბლიკასთან. სანდენ-სის კინოფესტივალის ჟიურიმ არა მხოლოდ „გაიგო“ თინა გურჩიანის ჩანაფიქრი, არამედ მას საუკეთესო რეჟისურისთვის მთავარი პრიზიც გადასცა (კინოკრიტიკოსები ხომ ხშირად ამბობენ, რომ ჩვენი რეჟისორები ვერ ახერხებენ ქართული თემატიკისთვის უნივერსალური მნიშვნელობის მიცემას; რალაც კოდირებულ, ყველასთვის გასაგებ ენაზე ფილმის გადაღებას). შემდეგ ბერლინის 63-ე კინოფესტივალზე, პროგრამა „ფორუმში“ ნანა ექვთიმიშვილის ფილმმა მიიღო სპეციალური ჯილდო.

სწორედ ახლა დავაკვირდი, რომ „ცხელმა შოკოლადმა“ ქართულ კინოში მიმდინარე ძვრები როგორღაც ძალიან თანმიმდევრულად არეკლა: თინათინ გურჩიანი „ცხელი შოკოლადის“ ყდაზე მესამე რეჟისორია ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. ახალი ნომრის „ბიოლოგიური საათის“ ათვლა რომ იწყებოდა, ზუსტად მაშინ გადასცეს სანდენსზე მას პრიზი. მოულოდნელი გამარჯვებისგან დაბნეულად მოღიმარი, წითელკაბიანი თინა გურჩიანის ნახვა საკმარისი იყო გარეკანის შესახებ მყისიერი თანხმობის მისაღწევად რედაქციაში. მერე კი თვე ნანა ექვთიმიშვილის პრიზით დასრულდა...

„საქართველოს რეპუტაცია, რომ ის ახალბედა კინოტალანტების საბადოა, კიდევ უფრო გაამყარა ფილმმა In Bloom...“; „ეს ფილმი ამძაფრებს შეხედულებას, რომ საქართველო, შესაძლოა, იყოს კიდევ ერთი ექს-საბჭოთა რესპუბლიკა ახალი კინოტალლით“, – ეს ციტატები ინგლისურენოვანი გამოცემებიდანაა და იმის დასტურადაც გამოდგება, რომ ქართული კინოს გამოცოცხლება ჩვენი ფანტომი და მოჩვენება არ არის.

პირადად მე, ამ კინოძვრაში ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ საზღვარგარეთ (და შინაც) აფასებენ ჩვენი კინემატოგრაფის ნამდვილ, გულწრფელ, შეიძლება ითქვას, ინტროსპექტიულ ნაზრევს და არა პროპაგანდისთვის შექმნილ, მასაუდიტორიაზე გათვლილ ფილმებს, სიყალბეს რომ ჰყიდის.

კეთილი სურვილებით, თამარ ბაბუაძე



**CARTE
NOIRE**
Un café nommé désir

ყაფა, სანდოადაც უნდაცხებებს სანდოცხებს



ნინო ჩიხაშვილი

ალბათ, ყველას გსმენიათ და ზოგს გადაგხდენიათ კიდეც თავს (ჩემთვის) დაუჯერებელი ისტორიები იმის შესახებ, თუ რამდენად რთულად მოსაპოვებელი იყო სულ რაღაც 25-30 წლის წინ თანამედროვე დასავლელი მუსიკოსების ჩანაწერები თბილისში. ერთი ჩამოტანილი კასეტა თუ ფირფიტა მთელ ქალაქს მოივლიდა და მელომანებისთვის მისი ხელში ჩაგდება ნამდვილი დღესასწაული იყო. ზოგი დახშული რადიოტალღების დაჭერას ცდილობდა და საყვარელი მუსიკოსის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ასე ცდილობდა. დღეს, როცა ამ ყველაფერზე ვფიქრობ, ცოტა არ იყოს წარმოუდგენლად მეჩვენება ამდენი ძალისხმევა იმის გამო, რასაც ახლა ერთი მარტივი ხელის მოძრაობით, იუთუბზე თუ სხვა საძიებელ საიტებზე ამ მუსიკოსის სახელის ჩაწერით ვაკეთებთ.

თუმცა, ინტერნეტმა ბოლო წლებში ყველგან შეცვალა რეალობა: ახლა უკვე პირდაპირ მუსიკოსებს შეგვიძლია დავუკავშირდეთ; მივწეროთ ჩვენი აზრი, ვთხოვოთ კონცერტის ჩატარება და ა.შ.

Elsiane-ს, კანადურ დუეტს, სწორედ ასე დავუკავშირდით. მათთან სკაიპით ინტერვიუც ჩავწერეთ და შევეცადეთ, მათ მუსიკაზე უფრო მეტი გაგვეგო. წერილს დუეტის შესახებ ამ ნომერში გაეცნობით, კონცერტს კი რადიო „ცხელი შოკოლადი“ 5 აპრილს შემოგთავაზებთ. მგონი, საკმარისი დროა იმისთვის, რომ მათ შემოქმედებას ახლოს გაეცნოთ, არა?

ელსიანე – გრძნობათა მექანიკა
33-52



სალომე აჯხაზიშვილი

22 წლის ნიკა ფასური ექსპერიმენტია თავისი მუსიკით, ხასიათით, ყოველდღიურობით, ზოგჯერ თითქოს მყისიერი, მაგრამ თავდაჯერებული გადანყვეტილებებით, რომელთა შედეგებიც, როგორც წესი, ძალიან საინტერესო გამოდის.

ექსპერიმენტია მასზე წერაც; როდესაც ცდილობ „ცხელი შოკოლადის“ მკითხველს გააცნო ადამიანი, რომელსაც კომპოზიტორის წოდების მოპოვებამდე ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი აქვს გასავლელი.

სტატიაზე მუშაობის დროს, ეს ერთგვარ კომპლექსადაც კი მექცა. მუდმივად ვფიქრობდი, ნიკა მხოლოდ ჩემი ან ჩემი მეგობრებისთვის იყო ნიჭიერი მუსიკოსი, თუ სხვებისთვისაც, რომლებსაც მისი კომპოზიციებით გაფორმებული სპექტაკლები უკვე ნანახი ჰქონდათ. ყოყმანს ნიკასაც ვამჩნევდი, რომელიც ჟურნალის სტამბაში გამშვებამდე სულ მაფრთხილებდა, ისეთი არაფერი დამეწერა, რაც მას როგორც გენიოსს, ისე წარადგენდა.

ახლა ვხვდები, რომ ორივე ექსპერიმენტების ასაკში ვართ, მე – ჟურნალისტიკაში, ის – მუსიკაში. თან მგონია, რომ ნიკა ჩემი ორეულია, ოღონდ უფრო გაბედული; რომელსაც არ ეშინია თამამი და ზოგჯერ ექსცენტრული გადანყვეტილებების.

ექსპერიმენტი – ნიკა ფასური
33-48



ნინო ნურბახვილი

პროფილის წერა მაზალო რამეა. ყველაზე უფრო ეგ მიჭირს ხოლმე. იდეაში, უნდა აჩვენო, ვინაა და როგორია შენი რესპონდენტი. ანუ, მარტო ის კი არა, თუ როგორი ბიოგრაფია აქვს და რა გაუკეთებია, არამედ რა ტიპია და როგორი ადამიანია. ამის დაწერა კარგად ნაცნობი ადამიანების შესახებაც კი რთულია. ხოლო, როდესაც საქმე უცხო ადამიანს ეხება, ეს სულ მთლად შეუძლებელი ხდება. ასევე, ჩემი აზრით, ასეთი სტატია ადამიანს უნდა აჩვენებდეს და არა თოჯინას – ზეალმატებულად ვინმეზე წერა მხოლოდ ნეკროლოგში მგონია დასაშვები. ასევე მგონია, რომ ასეთ სტატიებში ადამიანი უფრო დადებითი კუთხით უნდა წარმოაჩინო (ვინც არ გესიმპათიურება, იმაზე ასეთი სტატიის წერა უსინდისობად მეჩვენება). მოკლედ, მივედი სათქმელთან. ვინაა თინა გურჩიანი? ჩემი პროფილიდან ვერ გაიგებთ. მე რამდენჯერმე შევხვდი და რაც მოვისმინე და ვნახე, იმაზე დავეწერე. გული მწყდება, რომ მეტჯერ შეხვედრა ვერ მოვასწარი.

თინა გურჩიანი სხვადასხვა სახით
33-28



ნორმალური და მშრალი თმის ბალზამი აბუსალათინის ზეთით

ჟოჯობასა და აბუსალათინის ზეთები იცავს, ატენინებს და აღადგენს თმას. ანგელოზას ექსტრაქტს მატონიზირებელი თვისებები აქვს, შედეგადაც თმა ბზინვარებასა და სიჯანსაღეს იძენს, ადვილად ივარცხნება და ხდება ჰაეროვანი.



თმის აღმდგენი ბალზამი

მცენარეული კერატინი და ჰიალურონის მჟავა ღრმად აღწევს თმის ღერში და ატენიანებს მას მთელს სიგრძეზე. ცერამიდები ხურავენ თმის ზედაპირზე არსებულ კუტიკულის ქერცლებს, ბუნებრივი ანტიოქსიდანტი-ბროწეულის ექსტრაქტი კი თმას გარემოს მავნე ფაქტორებისგან იცავს.



შეღებელი თმის ბალზამი

ქაცვის ექსტრაქტს მკვებავი და ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს, ინარჩუნებს თმის ფერს ხანგრძლივი დროით. გრეიბფრუტის ექსტრაქტი და ჰიბიკუსის ყვავილი ატენიანებს, არბილებს თმას და კრავს კუტიკულის ქერცლებს.




მოცულობის ბალზამი

გლედინის ექსტრაქტი თმას სიმკვრივეს და ბზინვარებას ანიჭებს. წითელი წყალმცენარეების ექსტრაქტი ატენიანებს თმას მთელს სიგრძეზე და მათებს მას მოცულობას. ანწლის ექსტრაქტი კი ელასტიურობასა და სირბილეს მათებს თმას.




გვ. 81



გვ. 82



გვ. 82



გვ. 84



გვ. 84

გიორგი ზიზიბაძე

მხატვარი

იმ არტისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ამ რუბრიკის გმირები ხდებიან ხოლმე, გიორგი არც რომელიმე სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია და არც კვალიფიციკაციის ასამაღლებლად უცხოეთის არტ-სკოლაში გამგზავრებული სტუდენტი. გიორგი ზიზიბაძე ჯერ მხოლოდ მეექვსე კლასში სწავლობს და ხატავს. იმას, რასაც 11 წლის მხატვარი ჰობის ეძახის, გაცილებით უფრო ბევრი ფიქრისა და წარმოსახვის შედეგია, რომელთაც გიორგი ფანტასტიკის ჟანრს მიაკუთვნებს.

ტუშის პასტიტ თაბახის ფურცელზე შესრულებული ფიგურები და ფანტასტიკური არსებები ილუსტრაციებსა და ანიმაციურ გმირებს გვანან. ამბობს, რომ მათი შექმნისას, შთაგონების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იაპონური ანიმეებია: „მე შემიძლია ჩვეულებრივი ადამიანი დავხატო, მაგრამ მგონია რომ ასეთი განსხვავებული და უცნაური პროპორციებით შექმნილი ფიგურა უფრო საინტერესოა და მნახველისგან ბევრ ფიქრს მოითხოვს“, – ასე ხსნის გიორგი თავისი პერსონაჟების მნიშვნელობას.

კომპოზიციები ხშირად რამდენიმე მოვლენას, გმირს, დეტალს აერთიანებს, რომლებიც თითქოს ერთმანეთთან კავშირში არაა, მაგრამ გიორგის ნამუშევრებში ისინი მაინც ჰარმონიულ სურათს ქმნიან. მრავალფეროვანი, დინამიკური სცენების მიზანს თვითონ ასე ხსნის: „ეფიქრობ, რომ როდესაც მოქმედების გადმოცემას ცდილობ, ნაკლებად საინტერესოა თუ მასში ერთ ადამიანს გამოიყენებ, ამიტომ, ყოველთვის ვცდილობ, ნახატის ეფექტურობისთვის, რამდენიმე პერსონაჟის რთული ურთიერთკავშირი გადმოვცე. ორი პერსონაჟის გაჩენა უკვე ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ, ერთმანეთს ეხმარებიან. რაც უფრო მეტი პერსონაჟია ნახატში და რაც უფრო მეტ რამეს შეგიძლია მიაქციო ყურადღება, უფრო საინტერესო ხდება ის“.

მარტოსული არადედამიწელები, ჯადოქრები, ციკლოპები – ისინი გიორგის განუყრელი პერსონაჟები არიან. ადამიანის ბიოლოგიური განვითარების ციკლი, კეთილსა და ბოროტს შორის არსებული მძიმე არჩევანი, ადა-

მიანების თვალთ დანახული მინიერი და არამინიერი სამყაროები – ეს კი იმ თემების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მის გრაფიკულ ილუსტრაციებში თქვენც შეგიძლიათ ამოიკითხოთ.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ნამუშევრებში გამოგონილი სამყაროები და უცნაური, რეალურად არარსებული პერსონაჟები ჭარბობენ, გიორგი მათ ქმედებებს და განწყობებს მაინც მინიერი, ადამიანური, ცხოვრებისეული დილემებით ხსნის. როგორც 11 წლის არტისტი თვითონ მეუბნება, ფანტასტიკის ჟანრი მას უბრალოდ ეხმარება რეალობა ცოტა შორიდან, სხვა კუთხიდან დაინახოს. ის, რაც მოსაწყენი, მოსალოდნელი და ერთფეროვანია, განსხვავებული თვალთ შეფასოს.

გიორგი ყოველ დღე ხატავს. უნდა, რომ მისი ნამუშევრები ბევრმა ადამიანმა ნახოს და შემდეგ მათ აზრს მოუსმინოს. გამოფენა ჯერ არ ჰქონია, თუმცა მისი ნახატები ხშირად იდება მის პირად Facebook-ის გვერდზე: [Facebook/Giorgi Zibzibadze](https://www.facebook.com/Giorgi.Zibzibadze).


DREAM პაკეტი

საუკეთესო ინტერნეტი შემოთავაზება

50 MB

დარეგისტრირდი 15 მარტამდე

- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ
- + 2 მბ / წმ



22 მბ / წმ – 30 ლარი

22 MB

+ ექსტრა 2 მბ/წმ ყოველთვიურად

სრულიად უფასოდ, 31 დეკემბრამდე



2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები

საკანი N 79

ავტორი ნინო ჩიხაძე

1920-30 -იანი წლების ქართულ კინოზე საუბრისას, ალბათ, პირველ რიგში, მიხეილ კალატოზიშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი და რამდენიმე სხვა რეჟისორი გვახსენდება. მათმა ფილმებმა მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ და მსოფლიო კინემატოგრაფიაში. თუმცა, იმავე პერიოდში საქართველოში კიდევ არაერთი რეჟისორი მოღვაწეობდა, რომელთაც შესაძლოა, არც ისე მასშტაბური და მრავალრიცხოვანი, მაგრამ მაინც საინტერესო და გამორჩეული ნამუშევრები შექმნეს, რაც დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ზაქარია ბერიშვილი, რეჟისორი, რომელმაც კარიერა თეატრისა და კინოს მსახიობობით დაიწყო, ერთ-ერთი მათგანია. ბერიშვილს სულ შვიდი ფილმი აქვს გადაღებული. მისი სარეჟისორო დებიუტი 1926 წელს კოტე მარჯანიშვილთან ერთად გადაღებულ საეტაპო ფილმს „სამანიშვილის დედინაცვალს“ უკავშირდება. ფილმი, რომელსაც „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში წარმოგიდგინოთ, 1929 წელს გადაღებული „საკანი 79“-ია. სიკო დოლიძისა და შალვა ალხაზიშვილის სცენარის მიხედვით გადაღებულ ფილმში მოვლენები ფაბრიკის მომხდარი მუშების აჯანყების თემაზე ვითარდება.

მუშათა მღელვარებაში მონაწილეობისთვის მაროს პატიმრობას მიუსჯიან და ციხეებში გადაასახლებენ. უპატრონოდ დარჩენილ მის ბიჭუნას მდიდარი ფაბრიკანტი იშვილებს. წლების შემდეგ, როცა მარო ციხიდან გამოვა და სხვა დაპატიმრებულ, სიკვდილმისჯილ მუშებს ციხიდან გაქცევაში ეხმარება, ის გაიგებს, რომ პროკურორი მამულაშვილი (რომელმაც მაროს მეგობარი რევოლუციონერები უნდა გაასამართლოს) მისი დაკარგული შვილია. მარო მას პროცესის გადაღებას და განაჩენის შემსუბუ-



ქებას სთხოვს, პროკურორი მამულაშვილი მას ცივად ხვდება, თუმცა ჰპირდება, რომ ამ თხოვნას შეუსრულებს, მაგრამ საბოლოოდ პროცესს მაინც მეორე დღეს დანიშნავს და ბრალდებულებს სიკვდილის დასჯის განაჩენს გამოუტანს. სასამართლო პროცესზე, განაჩენის გამოცხადებისას, მარო რევოლუციონერით კლავს შვილს. მისი მეგობრები კი, ამასობაში საკანამდე გვირახს გათხრიან და სიკვდილმისჯილებს გაათავისუფლებენ.

ფილმი განსაკუთრებით საინტერესოა ვიზუალური თვალსაზრისით: შეკრული და კარგად გააზრებული კომპოზიცია, ორიგინალური გამომსახველობით ხერხები, თამამი ექსპერიმენტები მოძრავი კამერისა და მრავალჯერადი ექსპოზიციების სახით... შეიძლება ითქვას, ეს ალექსანდრე დილმელოვის ერთ-ერთი გამორჩეული ოპერატურული ნამუშევარია.

ვასილ დოლენკოს საინტერესო და დახვეწილი მონტაჟი კი ფილმს დამატებით ხიბლს სძენს.

ფილმში მთავარ როლებს ნუცა ჩხეიძე (მარო) და ნიკოლოზ მამულაშვილი (პროკურორი) ასრულებენ.

ზაქარია ბერიშვილი კინოკარიერის დაწყებამდე, 15 წლის მანძილზე სხვადასხვა თეატრში მუშაობდა მსახიობად. 1913 წელს ის გადაიღეს ფილმში „კავკასიის დაპყრობა“. ის ასევე მონაწილეობდა ფილმებში: „სურამის ციხე“, „მამის მკვლელები“, „არსენა“, „სამი სიცოცხლე“, „წითელი ეშმაკუნები“, „წარსულის საშინელებანი“, „ორი მეგობარი“ და ა.შ.). 1926 წლიდან ზაქარია ბერიშვილმა ფილმების გადაღება დაიწყო. „სამანიშვილის დედინაცვლისა“ და „საკანი 79“-ის გარდა მასვე ეკუთვნის ფილმები: „იბრაჰიმი და გოდერძი“ (1927), „ღრუბელთა თავშესაფარი“ (1928), „ტანია ფრონტზე“ (1931), „მდინარის გაღმა“ (1935) და „ცანის ხეობის საუნჯე“ (1941).



ავერსი ბიოსანჯით 3 და 8 მანძის ღრუსანსაწებებს

1 მანჯიდან 15 მანჯის ჩათვლით
გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში
20-40% მდე ფასდაქცევას
აწვას, ღორივას და ენვიტას
სამედიცინო უოსმენტოებზე



ავერსი - ანთიბიოტიკი და სანიტარი სიამაყი
www.aversi.ge
ავითი ქობულაძის ქ. 148/2
☎ 2-967 227



„AMOR – უსწავრი სიზვარულის ისტორია“, ნინო ბურდული

14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

როკო ირემაშვილის „პარალელური რეჟიმი“

სად: გალერეა „ვანდა“

როდის: 2/03 – 12/03

გახსნა: 19:00

მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

„პარალელური რეჟიმი“ როკო ირემაშვილის ახალი პერსონალური საგამოფენო პროექტის სახელწოდებაა, რომელიც სხვა პროექტებზე მუშაობის პარალელურად შექმნილ ნამუშევრებს აერთიანებს.

„ძირითადად კონკრეტულ თემებზე ვმუშაობ ხოლმე და ჩემი პროექტები სწორედ სერიული, ან თემატურია, მაგრამ შეუძლებელია, ადამიანმა თვეების მანძილზე მხოლოდ ერთ თემაზე იმუშაოს, რადგან შეუძლებელია იმ ემოციებისა, თუ იდეების განუხორციელებლობა, რომელიც კონკრეტულ თემაზე მუშაობის შედეგად ჩნდება ხოლმე. ექსპოზიციაზე სწორედ მსგავსი ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი, რომლებიც ჩემთვის, კონკრეტულ მომენტში გვერდაუქცევად თემებზეა

შექმნილი...“ – აღნიშნავს მხატვარი როკო ირემაშვილი.

ქართული პოპ-არტი და ფერწერა

ომარ კაჭკაჭიშვილის პერსონალური გამოფენა

სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი

როდის: 16/02 – 10/03

მისამართი: სიონის ქ. №8

თბილისის ისტორიის მუზეუმი ქართველ მხატვართა ერთ-ერთი გამორჩეული თაობის, 70-იანელთა წარმომადგენლის – ომარ კაჭკაჭიშვილის პირველ პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს, რომელიც პოპ-არტის და ფერწერის ჟანრში შესრულებულ ნამუშევრებს მოიცავს.

ომარ კაჭკაჭიშვილი სამხატვარო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის, უჩა ჯავახიშვილის სახელობის კურსდამთავრებული და პოპ-არტის ოსტატი. 1964 წლიდან ის მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფესტივალებსა და საერთაშორისო გამოფენებში. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოს

ეროვნული მუზეუმების კოლექციებში, მოსკოვის აღმოსავლეთის მუზეუმში, უკრაინის ფეოდოსიის სახელმწიფო მუზეუმში, თურქეთის, იტალიის, კანადის, აშშ-ის, სარანგეთის, ავსტრიის, ჩეხეთისა და გერმანიის კერძო კოლექციებში.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“

სად: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი

როდის: 2/04 – 16/04

დასაწყისი: 18:00

მისამართი: გ.ჭანტურიას ქ. №8

ეთერ ჭკადუას, კოტე ყუბანეიშვილის, დიმა ცუცქერიძის, გოგიტა ჭყონიას და გოჩა ჭკადუას ნამუშევრების „არაჩვეულებრივი გამოფენა“ თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვან ტრადიციას – სხვადასხვა მედიაში მომუშავე არტისტების თანამშრომლობას ეხება. „დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროცესი, მედიური მრავალფეროვნება, განსხვავებული გამომსახველობითი ენა ერთ სივრცეში ერთიანდება, რომელიც ხელოვნების მრავალწილი-

ნი მეგობრული ურთიერთობის აუცი-
ლებელ კომპონენტს – ემოციურ და
ინტელექტუალურ ურთიერთგავლენას
უკავშირდება და თანამედროვე ხე-
ლოვნების კიდევ ერთ მნიშვნელოვან
ასპექტს, ცხოვრებასა და ხელოვნებას
შორის არსებულ საზღვრებს იკვლევს“,
– ამბობს მაგდა გურული, გამოფენის
კურატორი

**ჰელგა პარისის ფოტო-გამოფენა თბი-
ლისის ისტორიის მუზეუმში**

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმი
(ქარვასლა)

როდის: 01/03 – 21/03

გახსნა: 18:00

მისამართი: სიონის ქ. №8

გერმანელი ფოტოგრაფის ჰელგა პა-
რისის ნამუშევრები აღმოსავლეთ გერ-
მანიის ყოველდღიური ცხოვრებისა და
სოციალური პრობლემების კრიტიკულ
ხედვას გვთავაზობს. ფირზე აღბეჭდი-
ლი ადამიანები, შენობები, ადგილო-
ბრივი სასადილოები და ყოველდღიური
საქმიანობის დოკუმენტურად ამსახვე-
ლი კადრები, ცივი ომის პერიოდისა და
გერმანიის ორად გაყოფის თანამედვე
მელანქოლიურ განწყობას ქმნის.

„ჰელგას ფოტოები ჩემს გაცემას
განსაკუთრებით იმიტომ იწვევს, რომ
მათი დათვლიერებისას, დეტალურად
მასხენდება ჩემი ბავშვობის წლები და
ამ პერიოდის გერმანული ოჯახები.
ძალიან მკვეთრად იგრძნობა ის სურ-
ნელიც კი, რომელიც ომისშემდგომი
გერმანიის სახლებს სდევდა თან, იმ
სახლებს სადაც, ერთდროულად რა-
მდენიმე თაობის წარმომადგენელი
ცხოვრობდა. ორი სიტყვით ამ ფოტო-
ების დახასიათება ასე შეიძლება – „სა-
ხლში“, – ამბობს შპრენგელის მუზეუ-
მის კურატორი, ინკა შუბე.

**სკანდინავიური ხელოვნების სასწაული
გამოფენა და სემინარი**

სად: CCA თანამედროვე ხელოვნების
ცენტრი – თბილისი

როდის: 7/03 – 7/04 (გამოფენა)

8/03 – 9/03 (სემინარი)

მისამართი: დოდო აბაშიძის ქ№10

თანამედროვე ხელოვნების ცენტრი
სკანდინავიური ხელოვნების, ე.წ. „Nor-
dic Art“-ის წარმომადგენლებს უმას-

პინძლებს. კურატორების ვატო წერე-
თლის, ჟოზეფინა პოშისა და ლესლი
ჯონსონის (შედეით) ორგანიზებით
გამართულ გამოფენაში მონაწილეო-
ბას ნორვეგიელი, ინგლისელი, სერბი
და დანიელი არტისტები მიიღებენ. ამ
ლონისძიების საქართველოში ჩატარე-
ბის იდეა იმ ზოგად ტენდენციას უკავ-
შირდება, რომელიც თანამედროვე სა-
ხელოვნებო სივრცეში „სკანდინავიური
სასწაულის“ სახელით დომინირებს.
გამოფენა მიზნად ისახავს სკანდი-
ნავიური ხელოვნების პოპულარიზა-
ციას და მის ჩართვას საზოგადოებრივ
დისკუსიებში. გარდა ამისა, გამოფენა
და სემინარი ერთგვარი დაკვირვება
იქნება იმის გამოსავლენად, თუ რამ-
დენად აქვს სკანდინავიურ ხელოვნე-
ბას კომერციული მნიშვნელობა.

ქართული დრამატურგიის 200 წელი

გიორგი ერისთავისადმი მიძღვნილი
საიუბილეო გამოფენა

სად: საქართველოს თეატრის, მუსიკის,
კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწი-
ფო მუზეუმი

მისამართი: ი. კარგარეთელის ქ. №6



დაბადებიდან 200 წლის იუბილის აღ-
სანიშნავად, საქართველოს თეატრის,
მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის
სახელმწიფო მუზეუმში, ქართული
პროფესიული თეატრის ფუძემდებლი-
სა და დრამატურგის, გიორგი ერისთა-
ვისადმი მიძღვნილი უნიკალური გამო-
ფენა მოეწყობა. სამუზეუმო სივრცეში

პირველი ქართული თეატრის აფი-
შების, გიორგი და დავით ერისთავის
ხელნაწერების, სპექტაკლ „გაურის“
ესკიზების და ჟურნალ „ცისკრის“ იშ-
ვიათი გამოცემების გარდა, დრამა-
ტურგის შემოქმედებასთან დაკავშირე-
ბულ სხვა ექსპონატებსაც გამოფენენ.
ლონისძიების განმავლობაში, ქართუ-
ლი თეატრის ისტორიისადმი მიძღვნი-
ლი ფერადი, ორენოვანი კატალოგის
პრეზენტაციაც შედგება.

თეატრი

Amor – უცნაური სიყვარულის ისტორია

სად: მიხეილ თუმანიშვილის სახელო-
ბის კინომსახიობთა თეატრი

როდის: 17/03

დასაწყისი: 19:00

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი
№164

„ექსკლუზიური საღამო მამაკაცები-
სა და ქალებისთვის“ – ასე განმარტა-
ვს მსახიობი ნინო ბურდული პირველი
სპექტაკლის ჩანაფიქსს, რომელიც მან
მაყურებელს 14 თებერვალს, კინომსა-
ხიობთა თეატრის სცენაზე წარუდგინა.
პიესა სახელწოდებით, „მსოფლიოში
ყველაზე უცნაური სიყვარულის ის-
ტორია“ გერმანელ მწერალს პეტერ
ჰირჰეს ეკუთვნის, რომელიც XX
საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში
შეიქმნა. ეს ის დროა, როდესაც ადა-
მიანები ჯერ კიდევ არ განთავისუ-
ფლებულან II მსოფლიო ომის ფსიქო-
ლოგიური და ემოციური ტყვეობისგან.
„ალბათ სწორედ ამიტომ არის ასე-
თი მძაფრი სიყვარულის მონატრება.
სიყვარული ამ პიესაში ნორმალურ,
ადამიანურ ცხოვრებაში დაბრუნების
სიმბოლოა, ცხოვრების არსი, რომელ-
საც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს,
და არ არის დამოკიდებული სოცია-
ლურ და პოლიტიკურ რეალებზე

სიუჟეტურად, პიესა აგებულია ქა-
ლისა და მამაკაცის პარალელურ
არსებობაზე. თითოეული მათგანი
კონკრეტულ, რეალურ სიტუაციებში
იმყოფება და ამავე დროს წარმოსა-
ხვით ურთიერთობას ამყარებს თავის
„ოცნებასთან“, შესაბამისად კონფლი-
ქტებზეც სხვადასხვა სიბრტყეზე ვი-
თარდება და რეალობაში არსებული
კონტრასტები ქმნის მიზიდულობას

წარმოსახვაში, და პირიქით“, – აღნიშნავს ნინო ბურდული. რეალობისა და წარმოსახვის ზღვარზე მყოფ შეყვარებულ წყვილს პაატა ინაური და ქეთი ასათიანი განასახიერებენ.

„ო და – ბალადა ვეფხისა და მოყმისა“

სად: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

როდის: 22/03

დასაწყისი: 19:00

მისამართი: აღმაშენებლის გამზ №164



ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უპირველესი სიმბოლო, ვეფხისა და მოყმის გმირული ორთაბრძოლის შესახებ, თეატრის სცენაზე ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ, პროექტის ავტორთან ზურაბ გოგორიკიძესთან და აღმასრულებელ პროდიუსერთან ანდრო კლებანსკისთან ერთად გადამოიტანა.

ბალადის უძველესი ვერსიის თანახმად, სამონადიერო ტაბუს დარღვევის გამო, ნადირთბატონმა მონადირე სიკვდილით დასაჯა. ლექსში აღწერილი მთავარი პერსონაჟების მსგავსად, სპექტაკლშიც მთავარ ადგილს სარიტუალო სცენები და დაღუპული მონადირის დედის ტრაგიკული სახეა. სტილური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, ეს ლექსი ქართული ხალხური ტრადიციის ნაყოფია, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

სპექტაკლში დამწყები მსახიობები მონაწილეობენ.

კინო

„Keep Smiling, ანუ გაიღიმეთ“ თბილისის კინოთეატრებში

სად: კინოთეატრი „ამირანი“

როდის: მარტი

ვენეციის, ანტალიისა და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალების შემდეგ, რუსუდან ჭყონიას პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს თბილისის კინოთეატრებშიც უჩვენებენ. სოციალური დრამა სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და სოციალური სტატუსის მქონე ათამდე ქალის ერთმანეთისგან განსხვავებულ ისტორიას გვიყვება, რომლებსაც კონკურსში მონაწილეობის სხვადასხვა მიზეზები აქვთ. ზოგიერთი მათგანისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება რთულია, ზოგი შედარებით იოლად „იხდის“ გადასაღებ მოედანზე მაშინ, როდესაც კონკურსის ორგანიზატორები ყველა მათგანისგან მხოლოდ და მხოლოდ „სულის სტრიპტიზს“ მოითხოვენ. საცუარო კოსტიუმებში გამოწყობილ „ქართველ დედებს“ საკამოდ სტერეოტიპულ შეკითხვებზე უნვეთ პასუხების გაცემა: „როგორი უნდა იყოს ახალი ქართლის დედა?“, „რა ყვავილი იქნებოდი?“

კითხვაზე არის, თუ არა ეს ფილმი ფემინისტური მანიფესტი, რეჟისორის პასუხი ასეთია: „ესაა ფილმი ღირსების გრძნობაზე. სოციალური და ფემინისტური საკითხები მხოლოდ საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების ნაწილია. პირველ რიგში მინდოდა მაყურებლისთვის მეთქვა – რაოდენ ძნელია, დაიცვა საკუთარი ღირსება და როგორი იოლია, აღმოჩნდე მარიონეტი ვილაციის ხელში; რაოდენ რთულია გადაწყვეტილებების მიღება და ნიშნავს თუ არა ნებისმიერი გზით გამარჯვება ნამდვილ გამარჯვებას“.

„Keep Smiling, ანუ გაიღიმეთ“ – წლევანდელი ვენეციის საერთაშორისო ფესტივალის პარალელურ პროგრამაში Venice Days მოხვდა. ეს არის კონკურსგარეშე ჩვენება, რომელიც 2004 წლიდან არსებობს. ყოველწლიურად მასში 12 ფილმს ირჩევენ, რისი მთავარი კრიტერიუმიც – ინოვაცია, ორიგინალობა, დამოუკიდებლობა და პრობლემ(ებ)ის კვლევაა.

„საბრალონი“

როდის: მარტი

სად: კინოთეატრი „რუსთაველი“

ვიქტორ ჰიუგოს ძალიან ცნობილი რომანის „საბრალონის“ მიხედვით გადაღებულ ფილმში

მოქმედება რევოლუციის პირას მყოფი მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთში ხდება. ფილმის მთავარი გმირი ჟან-ვალჟანი ცდილობს, სასჯელს გაექცეს. შეყვარებულის დაღუპვის შემდეგ მისთვის მთავარი საზრუნავი, თავისი ქალიშვილი – კოზეტი ხდება. ფილმში, ჟან ვალჟანის როლს ჰიუჯეკმანი ასრულებს, მის ქალიშვილს კი ამანდა სეიფრიდი განასახიერებს.

2011 წელს, ამერიკის კინოაკადემიის მიერ საუკეთესო ფილმად აღიარებული „მეფის სიტყვის“ შემდეგ, ტომ ჰუპერმა მორიგი ფილმი ჰიუგოს ლეგენდარულ რომანს მიუძღვნა.

მსოფლიო კინოპრემიერის (25.12.2012) შემდეგ, ჰუპერის ფილმმა გამარჯვება 2012 წლის „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოებაზე, საუკეთესო კომედია/მიუზიკლის ნომინაციაში მოიპოვა. ჰიუჯეკმანმა, კომედია/მიუზიკლში მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის დაიმსახურა ჯილდო, ენ ჰეთევის როლი, კი ქალის მეორე ხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის, ორ საერთაშორისო კინო-დაჯილდოებაზე აღნიშნეს: ოქროს გლობუსი და ბაფტა (British Academy of Films and Television Arts). ჰიუგოს რომანის ეკრანიზაცია „ოსკარზეც“ არის წარდგენილი, თუმცა რეჟისურისთვის საუკეთესოთა შორის ტომ ჰუპერი ვერ მოხვდა.

„პის ცხოვრება“

როდის: მარტი

სად: კინოთეატრი „რუსთაველი“



ფილმის გმირი ინდოელი ახალგაზრდაა, რომელიც მშობლებთან ერთად



კანადაში მიემგზავრება, მაგრამ გემის ჩაძირვის შემდეგ ბიჭი სამაშველო ნაწიში აფთართან, ზებრასთან, ორანგუტანგთან და ბენგალურ ვეფხვთან ერთად აღმოჩნდება, რის შემდეგაც სირთულეებით სავსე 227-დღიანი თავგადასავალი იწყება.

ფილმის რეჟისორმა ანგ ლიმ პროექტზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო. ფილმი 2002 წლის ბუკერის პრემიის გამარჯვებულის, კანადელი მწერლის, იან მარტელის ამავე სახელწოდების ნიგნის ეკრანიზაციაა, რომელიც თანამედროვე ვიზუალური ეფექტების დახმარებით, მას კიდევ უფრო საინტერესო და ლამაზს ხდის. ამ ღირსებისთვის (სპეციალური ვიზუალური ეფექტები) კინოსურათი ბაფტას (British Academy of Films and Television Arts) წლევიანდელი დაჯილდოების გამარჯვებულად გახდა.

„საკანი N79“ – მორიგი ფილმი „ქართული ფილმების კრებულში“

DVD-ის პრეზენტაცია და ფილმის ჩვენება

სად: კინოთეატრი „ამირანი“

როდის: 4.03

დასაწყისი: 20:00

ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი „ქართული ფილმების კრებულში“ მორიგი ფილმის ჩვენებით გაგრძელდება. ამჯერად, მსაჯურებელი ზაქარია ბერიშვილის რეჟისორობით 1929 წელს გადაღებულ ფილმს – „საკანი N79“-ს იხილავს. ფილმი მოგვითხრობს დედის ტრაგედიას. მუშათა მღელვარებაში მონაწილეობისთვის მაროს პატიმრობას მიუსჯიან. უპატრონოდ დარჩენილ მის ბიჭუნას მდიდარი ფაბრიკანტი იშვილებს. წლების შემდეგ მარო გაიგებს, რომ პროკურორი მამულოვი (რომელმაც მაროს მეგობარი რევოლუციონერები გაასამართლა) მისი დაკარგული შვილია. მარო მას განაჩენის შემსუბუქებას სთხოვს, მაგრამ პროკურორი მამულოვი ქალს დედად არ ცნობს. მათი შეხვედრა კონფლიქტით მთავრდება – მამულოვი ქალს სახლიდან გააგდებს. სასამართლო პროცესზე, განაჩენის

გამოცხადებისას, მარო რევოლუციონერ კლავს შვილს.

პროექტის სპონსორების – „ბანკი კონსტანტას“, „ავერსისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“ DVD-ის სახით, მსაჯურებელმა უკვე იხილა შემდეგი ფილმები – „გოგი რატინი“, „ქრისტინე“, „კომუნარის ჩიზუხი“, „ელისო“, „დაკარგული სამოთხე“, „საბა“ და „ტარიელ მკლავადის საქმე“.

დაინტერესებულ ადამიანებს მორიგი ფილმის შექმნა ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ ახალ, მარტის ნომერთან ერთად და ასევე, 4 მარტს, კინოთეატრ „ამირანი“ შეეძლება, სადაც ფილმის ჩვენებაც გაიმართება.

სხვადასხვა

ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ – „ლირას“ პრეზენტაცია

სად: შოთა რუსთაველის თეატრის დიდი საკონცერტო დარბაზი

როდის: 27.03

მისამართი: რუსთაველის გამზირი №17



27 მარტს, რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოჩენილი ქართველი პიანისტის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ პრეზენტაცია გაიმართება. ფონდის დაარსებას გალა კონცერტით აღნიშნავენ, რომლის მონაწილეობას მიიღებენ ელისო ბოლქვაძე და ქართული სინფონიეტა, რომელსაც იტალიიდან სპეციალურად მოწვეული დირიჟორი დანიელ ბელარდინელი უხელმძღვანელებს.

ფონდი „ლირა“ მიზნად ისახავს, გამოავლინოს და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს ახალგაზრდა ქართველ პიანისტებს სტიპენდიების სახით და

ხელსაყრელი პირობები შეუქმნას საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ფონდი პიანისტთა საერთაშორისო ფონდ „SOS Talentx _ Michel Songry“-სთანაც თანამშრომლობს (შვეიცარია). ფონდი „ლირა“ ბათუმის სამუსიკო სკოლასთანაც მართავს შეხვედრებს, სადაც ელისო ბოლქვაძე ხშირად აწყობს მასტერკლასებს და შესარჩევ მოსმენებს.

მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მხარდაჭერით უკვე ისარგებლეს ახალგაზრდა დამწყებმა ქართველმა პიანისტებმა – 9 წლის ბარბარე თეთრაძემ და ილია ლომთათიძემ, რომლებმაც უკვე რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა შვეიცარიასა და საფრანგეთში გამართულ მასტერ კლასებსა და კონცერტებში.

ფონდის დამფუძნებელი ელისო ბოლქვაძე კონცერტების გამართვას სამომავლოდაც გეგმავს. მათ შორისაა აპრილის დასაწყისში, Georgian Sinfonietta-სთან ერთად, ჭიათურაში დაგეგმილი კონცერტი, რომელიც მიზნად ისახავს, მხარი დაუჭიროს ნორჩ პიანისტთა რეგიონალური კონკურსის ჩატარებას.

27 მარტს, რუსთაველის თეატრში დაგეგმილი კონცერტიდან მიღებული მთელი შემოსავალი სტიპენდიების გაცემას, საზღვარგარეთ მასტერკლასებსა და ფესტივალებში მონაწილეობის დაფინანსებას მოხმარდება.

„საუბრები მუზეუმზე“

სად: გოეთეს ინსტიტუტი

როდის: 14.03

დასაწყისი: 18:00

მისამართი: ზანდუკელის ქ.16

გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლობა თბილისში საუბრების მორიგ ციკლს უმასპინძლებს. მუზეუმების, მასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ხელოვნებათმცოდნეები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები ისაუბრებენ. პროექტის პირველი მომხსენებელი თამარ კინწურაშვილი იქნება, რომელიც „მუზეუმის, როგორც სახლის მნიშვნელობაზე“, 14 მარტს ისაუბრებს.

იფრინეთ

თურქეთში უფრო იაფად

სტამბუდი, ანკარა, იზმირი,
ანტაღია გარდა ამისა,
რომი, დუსედლორფი,
მიუნჰენი, მიღანი,
ამსტერდამი და სხვა
ქვეყნები*

ევროდან

53.99

მოსაკრებლის
ჩათვლით



*ყველა რეისი
სტამბუდის გავლით


GASA
GEORGIAN AVIA SERVICE AGENCY
995 322 40 00 40

ყველაზე დაბალ ფასად
flypgs.com

PEGASUS
AIRLINES

„პროსპექტი“ სხრამდე

ავტორი თამარ კვინიკაძე



კაფე/რესტორანი „პროსპექტი“; ქავჭავაძის გამზირი №36; პარკინგი – ურბანისტული გაგებით „კრიმინალურია“, რადგან მანქანას აჩერებთ ტროტუარზე მოხაზულ ავტოსადგომზე. არის Wifi სრულიად ადამიანური პასვორდით.



ვიყავით ოთხნი. გვპოვდა ზომიერად – სამსახურიდან გამოსვლის მერე როგორც გზია. შევარჩიეთ „პროსპექტი“ – ბოლო დროს, ყველა იქ დადის.

PROSPEKT – თეთრ ბეტონზე, თითქმის მთელ სიგრძეზეა გამოყვანილი წარწერა. თუმცა, ეს მხოლოდ რეკლამაა, თვითონ რესტორანი სულ სხვა შენობაშია გახსნილი. დახვეული კიბით ავდივართ ზევით და ისევ არსად არაა აბრა.



ალბათ, ამიტომ გვაქვს განცდა, რომ უფრო დახურულ, საიდუმლო კლუბში მივდივართ. „ესეც შენი პირველი მინუსი, ჩაინიშნე“, – მკარნახობს რესტორნის კრიტიკოსად გარდასახული მეგობარი.

დარბაზი მართკუთხედიანია. ერთ მხარეს – ფანჯრებით, მეორე მხარეს – ბარით და ხის კიბით. ინტერიერში „მწვანე“ გადწყვეტილებები ქარბობს. განათებაც თბილია და ეს ყველაფერი ჩემს მეგობარს დროებით ავიწყებს კრიტიკოსობას.

მენიუ არც ცალსახად იტალიურია, არც ცალსახად – ფრანგული, არც – ამერიკული. ასეთ მენიუს ჩვენთან ევროპულს ეძახიან, მაგრამ არის მასშიც გრადაციები. აი, ევროპული მენიუ, რომელშიც ცხელი და ცივი აპეტაიზერების ამხელა არჩევანი აქვთ, ბევრი არ მინახავს. გაქანებას გააჩნია, შეგიძლიათ, 32 ლარად, აირჩიოთ, მაგალითად, გრილზე შემწვარი რვაფეხა სუნელებით!.. მაგრამ მე როცა სიტყვას ჰუმუსს მოვკრავ თვალს, იქ ვფუჭდები. ჰოდა, შეუუკვეთეთ ჰუმუსი, რომელიც იმდენად ნამდვილი ჰუმუსი იყო

(რა ვქნა, 90-იანური კომპლექსი მაქვს გამოყოლილი, რომ თბილისში ნამდვილი გემო არაფერს აქვს), რომ ვიდრე მთავარ კერძს შეგვაშვებდნენ, უკვე კარგად დანაყრებულები ვიყავით.

ბერძნული სალათიცი კარგი იყო; ვენური შნიცელიც, მაგრამ, რომ მცოდნოდა, დორადოს ფოლვ კაპერსით და ლიმონით ასეთი დაუფინყარი იქნებოდა, არც ერთზე გავიფუჭებდი თავს (ჩემნაირი მანიაკებისთვის: მენიუში კორექტურაა. წერია – „ლიმონი“!).

დორადო პირველად გავსინჯე, მის შესახებ ნაკითხვის შემდეგ (ერთ-ერთ ნიგნში შემხვდა ამასწინათ, უმად ჭამდა ოკეანეში გემის დაღუპვის შემდეგ ნაგზე შერჩენილი გმირი). ისეთი ნაზი და წვნიანი ფაქტურა ჰქონია, სულ არ ყოფილა ის სანყალი ბიჭი ცუდ დღეში... თუმცა, ჩემ შემთხვევაში, ალბათ, შეფ-მზარეულის ტრიუკებიც ერია ბევრი...

მაგიდებიდან ბევრი არ იყო დაკავებული, არ ვიცი, ამას მივანერო თუ არა მიმტანის ყურადღება და თავაზიანობა, მაგრამ კერძები დროულად მოჰქონდა და კეთილად გვიღიმოდა.

აი, დესერტის შეკვეთისას კი ისეთი შეცდომა დაფუჭი, არასდროს ვაპატიებ თავს. ჯერ სათაურს – „ჩიზქეიქი ნიუ იორკულად“ დავხარბდი და არ გაამართლა; მერე ჩავთვალე, რომ ტირამისუთი გავახარბდი ვინმეს და აღმოვაჩინე რომ, არც ერთს არ გვიყვარს; სამაგიეროდ ფრანგული ვაშლის ნამცხვარი ნაყინით იყო თვით ჰაეროვნება, სიტკბო და ბედნიერება...

საერთო ჯამში, გემრიელად ვისადილეთ და ვიჭორავეთ. ანუ, იმას ვამბობ, რომ სალამოს ცხრამდე „პროსპექტი“ იდეალურია, თუ მყუდრო, გემრიელ დანაყრებას დაეძებთ. აი, ცხრის მერე კი, როგორც მივხვდი, იწყება დიდი, თავანწყვეტილი ღრიანცელი. უფრო სწორად ამას მიგვახვედრეს: 9-ს ათი წუთი აკლდა, რომ მიმტანი გოგონა მოვიდა მობოდიშებით – ეს მაგიდა დაჯავშნილია და იქნებ გაათავისუფლოთო. ჩაყოლებზე ყველა მაგიდა დაჯავშნილი იყო. ანუ მალე იქაურობა უნდა ქცეულიყო სულ სხვა რესტორნად – ცოცხალი მუსიკით და ისეთი მაღალი რანგის სტუმრებით, უფრო იუპიტერიდან დაშვებული რომ გეგონება დედამიწაზე... ისედაც ნახვლას ვაპირებდით, თორემ შეიძლებოდა საკუთარი უფლებების დასაცავად გაქაჩვა. ამიტომ გადავწყვიტეთ – დაე, შეგვერგოს ეს გემრიელობანი!

ასე რომ, ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, როდის ნახვალთ „პროსპექტში“. მე კი, გირჩევთ, იქაური შეფ-მზარეულის ნახელავი ოდესმე, წყნარ ვითარებაში აუცილებლად გასინჯოთ. ღირს!



“ბეილისი” გამოირჩევა მსუბუქი
არომატიითა და განსაცვიფრებელი სინაზით.
იგი ქალების საყვარელ სასმელადაა
მიჩნეული. “ბეილისის” წარმატების მთავარი
საიდუმლო მისი შესანიშნავი,
განუმეორებელი გემოა. ის იყო და დღემდე
რჩება საუკეთესო ნაღების ლიქიორად.



თქონა პლიზბარაშვილი, დიზაინერი: ისეთი დასალეგია, რომლის გემოც მომწონს,
რადგან ჩემთვის შოკოლადთან ასოცირდება.

ანუბა მურვანიძე, ვიზაჟის სპეციალისტი: “ბეილისი” ჩემი ერთ-ერთი საყვარელი
სასმელია. ჩემთვის ძალიან ქალური, მომხიბვლელი და ნაზი, როცა ვსვამ, თავს
უფრო ქალურად ვგრძნობ.

ანი შიუნდერი, ჟურნალისტი: როცა გავიგე, რომ ქალებს “ბეილისი” კონკრეტულად
უყვართ, სასმელი დავაგემოვნე, დავფიქრდი და მერე “მის” საკონცენტრატად გავიწიე.

BAILEYS
CREAM WITH SPIRIT





დაუვინყარი მოთაბაშე

ბაბა ნახუსარიშვილი

– ხო იცი, არ მიყვარს პესიმისმი, ნიჰილისმი, სტალინიზმი... და საერთოდ, ყოველგვარი „იზმი“! – ასე მეუბნებოდა, როცა უხასიათობას შემამჩნევდა.

ეს წერილიც არ მინდა პესიმისტურ-ნიჰილისტური იყოს, რა თქმა უნდა – არც პათეტიკური და „კოლორიტული“. თუმცა ბევრი მას კოლორიტს უწოდებდა. ის კი მეტი იყო. გაცილებით მეტი. ადამიანი და მასწავლებელი. ჩემმა მეგობარმა დევი ბერძენიშვილმა მიაჩნია: 82 წელია, პირველი ლექციაა, „სსრკ-ს ისტორია“, ახალგაზრდა ვარ და თავშიც მიქრის. ავტეხე ლენინ-სტალინზე შაყირი... შესვენებისას თბილისურად „პოდრუჩკი“ გამიყარა. აქ მარტო ხუთ კაცზე მე გამაფრთხილეს, რომ „ნასედკაა“ და არ გინდა ეგეთები, ფრთხილად იყავიო, მითხრა. ჰოდა ამ კაცს სხვანაირად შევხედე, სულ სხვანაირად.

ახლა იოლია გახსენება. მაშინ კი ამას ვაუქაცობა უნდოდა. გოგი დემეტრადეს ეს არ ესწავლებოდა. ამიტომაც იყო ყველასაგან გამორჩეული, არაორდინარული და უცნაური. ამიტომაც ამბობდა ყველა, რომ იცნობს და უყვარს. თუნდაც ყველა გულწრფელი არ ყოფილიყო. ასეთ რამესაც დამსახურება უნდა.

ბავშვობიდან ვიცნობდი მამაჩემის ახლო მეგობარსა და კლასელს. ჯერ ისტორიაში მამზადებდა, მერე უნივერსიტეტში ჩემი ლექტორიც გახდა. ყოველ ლექციას ისე ატარებდა, როგორც ბოლოს. უნდოდა, ყველაფრის თქმა მოესწრო. ამიტომაც, ხშირად, თემიდან თემაზე გადადიოდა. სხვადასხვა აზრები გამუდმებით ენაცვლებოდნენ

ერთმანეთს. მისი ლექციები უცნაურად საინტერესო იყო.

პირველი ლექცია მახსენდება. უცებ, საუბრისას ჩიკაგოს ცათამბჯენებზე გადავიდა.

– აბა, ვინ არის ჩიკაგოს ცათამბჯენების არქიტექტორი? – გვკითხა

ძია გოგის და ფეხბურთის შესახებ ხომ ცალკე სვეტის დაწერაც შეიძლება. ეს სიყვარულზე მეტი იყო. იშვიათად მინახავს, რომ კაცს ასე გულწრფელად, უანგაროდ და მგრძნობიარედ თუნდაც ქალი ჰყვარებოდეს.

ომახიანად. ცხადია, ვერ ვუპასუხებთ. – ჰოდა, გაიგეთ ვინ არის ჩიკაგოს ცათამბჯენების არქიტექტორი, შემდეგ ლექციას ამით დავიწყებთ.

ასეთი იყო ძია გოგის სსრკ-ს ისტორიის ლექცია.

არ დამავინყდება, როცა მისაღები გამოცდებისათვის მამზადებდა, მარცხენა ხელით რალაც დაფუჯლანე. შეიძლება ითქვას, რომ თემა „გავახალტურე“.

– ეს რა არის? – მკითხა მკაცრად. იცოდე, შენს ნანერს, როგორც მტრის

ნანერს, ისე უნდა შეხედო.

დღემდე მახსოვს. მართლა გულით მითხრა. ყოველგვარი ჭკუის დარიგების გარეშე.

ძია გოგის და ფეხბურთის შესახებ ხომ ცალკე სვეტის დაწერაც შეიძლება. ეს სიყვარულზე მეტი იყო. იშვიათად მინახავს, რომ კაცს ასე გულწრფელად, უანგაროდ და მგრძნობიარედ თუნდაც ქალი ჰყვარებოდეს. თვითონაც ასე ხუმრობდა. მხოლოდ მას შეეძლო ნებისმიერ დროს, ნოდარ ახალკაცის დიდი დინამოს გასახდელში ჩასულიყო. დიუსელდორფის იმ მატჩის შემდეგაც ასე მოხდა. მივარდნილა და ვიტალი დარასელიასთვის ფეხზე უკოცნია. მერე, ვიტალიმ რა გითხრათ-მეთქი, ვკითხე.

– ბატონო გოგი, მარცხენათი გავიტანე, მარცხენაზე მაკოცეთო, უთქვამს ვიტალის. ისე, ხომ იფიქრებდა, რამ გააგიჟა ეს კაციო – დაამატა გოგიმ და მასაც ხმამაღლა გაეცინა. ჩვენი ეს საუბარიც, გუშინდელ დღესავით ისევე მახსოვს, როგორც ის დაუვინყარი თამაში.

უეცრად წავიდა. გულის შეტევით. ძმაკაცის სახლში, სტუმრად მისული. ალბათ,

ასეც უნდა წასულიყო. როგორც ცვხოვრობთ, ისე მივდივართ.

მე კი მგონია, როცა უხასიათოდ ვიქნები, როცა მარტოობა შემანუხებს, ისევე შემხვდება ქუჩაში, რალაც ძველ, მივიწყებულ ანეკდოტს მომიყვება, თავისებურად გულიანად გაიცინებს, მხარზე ხელს დამარტყამს და სწრაფი ნაბიჯით დამშორდება. მომავალ შეხვედრამდე...

შეიზიძენი

სუპერ
უძივონი

Ver nel

პირნალი



შენკელი

მსოვილის დაგარბილაბალი თევენი თეთრავლის
სირბილინა და სასიაგოვრო სურნელინათვის



რენტგენი

აია სარიშვილი

შემიყვანეს თუ არა პალატაში, მაშინვე ვიცანი ნანა – ჩვენი ყოფილი პიონერთა ხელმძღვანელი. მეოთხე კურსზე ვიყავი, ეს რომ მოხდა. ტოქსიკური განყოფილება იყო და ყველანი მონამღვლები ვინექით. ნანას რალაც მყავა დაელია ქმრის გამო და ტუჩებიც ამომწვარი ჰქონდა. ძმა უვლიდა გასაოცრად. არ შორდებოდა... ღვეზელების გამყიდველ პუტკუნა სომეხ მალვინას წამლები დაელია ცოლ-შვილიანი საყვარლის გამო... და თამარა – ერთადერთი ჩვენს პალატაში, თავის მოკვლა რომ არ უნდოდა და სარეცხის ფხვნილით მონამღვლიყო შემთხვევით, უზომოდ მშვიდი ბებო, ულამაზესი ისტორიებით ამ ჯოჯოხეთში.

11 წლის ვიყავი, ნანა რომ გავიცანი. ვაკის პარკში პიონერთა ბანაკი იყო გახსნილი. იქ მტოვებდა დედაჩემი დილაობით და საღამოს, ინსტიტუტიდან რომ ბრუნდებოდა, მეც სახლში მიყავადი. დაგვსხა ერთხელ ამ ნანამ რამდენიმე გოგო ნაძვენარში და გვეკითხება: იცით, როგორ ჩნდებიან ბავშვები? ყველას გაეცინა, ეტყობა, რალაც იცოდნენ ნაწილობრივ მაინც, მე კი გული შემიღონდა. აივანზე მოგრძო კალათა გვედო, რომლითაც ვარსკვლავიდან ჩამომიშვა ღმერთმა ერთ ზამთარს. ვიცოდი, რომ ყველანი სხვადასხვანაირად იბადებოდნენ და მე კი – ასე. და ვიცოდი, რომ არავისთან არ უნდა მეთქვა ეს... ნანამ კი სულ ღიმილ-ღიმილით აგვიწერა ყველაფერი და გაოგნებული ვიყავი

– აბა, კალათა?... ხოდა, ეს ნანა იწვა ახლა ჩემგან ორ მეტრში და ვერაფრით ვბედავდი, თავი შემეხსენებინა. ან კი სად ჰქონდა ჩემი თავი? მილიცია იძიებდა მის საქმეს და დაკითხვაზე მოდიოდნენ, ქმრის პასუხისგებაში მიცემას აპირებდნენ...

პუტკუნა მალვინა კი სულ ტიროდა და ტიროდა. ობოლი ყოფილა, დების გაზრდილი. იმ ცოლ-შვილიანი კაცის ნაჩუქარი ზამთრის ქუდი მოატანინა სახლიდან და ის ეხურა ხუთივე დღე იმ გაგანია მაისში...

თამარა ბებო კი იწვა რალაც სინათლის სვეტივით, ფარდასა და ფარდას შორის შემოპარული მზის შუქივით. გვიყვებოდა, როგორ კეთდება გემრიელი ვარდის მურაბა, როგორ ღებავდა ძაფებს ლილაში, როგორ ქსოვდა ამ ლურჯი ძაფებით პატარა ჩიტებს, რომლებშიც ბამბას ჩურთავდა მერე... თუ სიბერე მეღირსა, ასეთი მინდა ვიყო. მშვიდი, ვარდის მურაბების გემრიელად გამკეთებელი და ლურჯი ჩიტების მქსოველი...

ჩემი გამონერის დროც რომ დადგა, ეტყობა თავს მოდუნების უფლება მისცა და სანყალ დედაჩემს, ამდენი ღამის უძილოს, სკამზე ჩამოეძინა მთელი გულითა და არსებით. და ზუსტად ამ დროს, ჩვენი მოშლილი ფანჯრიდან, რომელიც ბოლომდის არ იხურებოდა, უცებ საშინელი ხმა შემოვარდა საშინი ნადირივით. ატყდა ერთი ამბავი: პაციენტებისა და მათი მომვლელების ხმამალალი ლაპარაკი, ექიმების ახსნა-განმარტებები და

ათასი სხვა ხმა ირეოდა ერთად, ძაღლებიც კი აყეფდნენ...

როგორც გაირკვა, ფილმის გადაღება მიმდინარეობდა, ბაბლუანის „უძინართა მზის“ და კინოსტუდიის მანქანის ხმა ყოფილა, რამაც ყველა ასე გაანერვიულა. მეც შევწუხდი. ჩემს გამო კი არა, დედას გამო, არ მინდოდა გავიძებოდა. ავდექი და ფანჯრის დახურვა ვცადე, მაგრამ არაფრით დაიხურა. გავგიჟდი. ავძვერი უცებ რაფაზე და ბეჭებით ავეფარე ამ ღრიჭოს. პალატაში აბსოლუტური სიჩუმე ჩამოგდა. ნუ, მე მომეჩვენა ასე... ვზივარ, ვზივარ, თან დედაჩემის სუნთქვას ვითვლი. ორი ათასამდე თუ ავედი, ეყოფა გამოსაძინებლად-მეთქი, მაგრამ სათვალავი მალევე ამერია. არ მახსოვს, რა დრო გავიდა. უცებ ექიმის გაოგნებულ სახეს ვხედავ. „ნუ გეშინიათ, პირველი სართულია“, – ღიმილით ვამშვიდებ. „არ ჩამოდის, შვილო, ხმაურს ვაკავენ ბეჭებითო“ – თამარა ბებოა. ექიმი მკლავზე ჩამეჭიდა ნერვიულად. ჩამოვედი.

მეორე დღით ე.წ. შემოვლა უნდა გამეკეთებინა გაწერის წინ და ფილტვებზეც გადამიღეს რენტგენი. ეს სურათი დღესაც შენახული მაქვს და ზოგჯერ შუქზე გავხედავ ხოლმე შესამონმებლად – სულ მგონია, რომ სადღაც აუცილებლად უნდა ჩანდეს ეზოს ის დამანგრეველი ხმაური, ბეჭებით რომ ვაკავენ და იმ ოთხი ქალის სუნთქვა, რომელთაგანაც სამი ქიმიით იყო მონამღვლი და ერთი, რომელსაც სკამზე ეძინა – ჩემით...

SAMSUNG

დელიკატური რეცხვის რევოლუციური ტექნოლოგია!



სამსუნგის სარეცხი მანქანა ტექნოლოგიით Eco Bubble დაბალ ტემპერატურაზეც ეფექტურად უმკლავდება ჭუჭყს. ყველაზე დელიკატური ქსოვილიც კი ნაზად და ეფექტურად იქნება გარეცხილი ცივ წყალში. რევოლუციური ტექნოლოგია Eco Bubble სამსუნგისგან - შთამბეჭდავი შედეგი ნებისმიერი ტემპერატურის წყლით რეცხვისას.



თინა გურჩიანი სხვადასხვა სახით

ავტორი ნიკო ნერბაძე

ისტორია

აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ტანსაცმლის პატარა მაღაზიაში თინა გურჩიანი ფოტოსესიისათვის კაბებს არჩევს. მცირე მსჯელობის შემდეგ („ეს მეტისმეტად ჩვეულებრივია...“ „ეს ალბათ უფრო ნვეულებისთვის გამოდგება, ვიდრე ფოტოსესიისათვის...“ „ეს არ ვიცი, ვნახოთ...“) პატარა კიბით მიწისქვეშ გაუჩინარდება ხოლმე და უკან ელვის სისწრაფით ამოდის. ისე სწრაფად იცვლის კაბას, რომ ბევრი ამ დროს მაისურის გადაცმასაც ვერ მოასწრებდა. 20 წუთში ალბათ ათჯერ მაინც ჩადის და ამოდის.

კაბებს საქმის ცოდნით არჩევს. მოდელი უფრო გეგონება, ვიდრე დოკუმენტური კინოს რეჟისორი. ეს თვითონაც კარგად

თინასთვის გერმანელებისგან არც ქართველი რეჟისორები განსხვავდებიან მაინცდამაინც. ქართველი რეჟისორები და მსახიობები ერთ წრეში ტრიალებენ, – ამბობს ის. ტანსაცმელიც ერთნაირი აცვიათ და ლირებულებებიც ერთი აქვთ. ამას თუ აცდენილი ხარ, მაშინვე სხვანაირად გიყურებენ.

– სხვანაირად გიყურებენ რას ნიშნავს?

– აი, ხშირად მომისმენია, რომ გარეგნობით არ ვჯდები რეჟისორის კლიშეში. ზოგმა შეიძლება არასერიოზულად შემომხედოს. შეიძლება, ვინმეს აზრით რეჟისორისთვის შეუფერებლად დიდ ყურადღებას ვაქცევდე ჩაცმას, ან მეტისმეტად

დის სალონიდან, ერთი შეხედვით დამყოლი გამომეტყველებით. თუმცა, ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში აქედანვე ეტყობა, რომ ფოტოგრაფს წინ მძიმე გადაღება ელის.

თინა გურჩიანის დოკუმენტურმა ფილმმა წელს სანდენსის პრესტიჟულ ამერიკულ კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მოიპოვა საუკეთესო საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის რეჟისურისთვის. თუმცა, „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ამერიკაში უკვე წარმატების ტალღაზე ჩავიდა – როგორც არაერთი მნიშვნელოვანი ევრო-



იცის. კიბეზე ერთი ასვლა-ჩამოსვლის შემდეგ კრიტიკულად უყურებს საკუთარ თავს სარკეში და დაცინვით ამბობს, – ეს არ მინდა. ამას გერმანელი რეჟისორი ჩაიცვამდა პაემანზე.

– ყველა ერთნაირად იცვამს ხოლმე. ქვედაბოლო, რომელიც მუხლებზე ცოტა დაბლა ჩამოდის და ჩექმები, რომელიც ნივების შუამდე ამოდის. ფეხი თითქმის სულ დაფარულია – მარტო რამდენიმე სანტიმეტრი ჩანს ქვედაბოლოსა და ჩექმას შორის. გარედან რომ შეხედავ, თითქოს, თავშეკავებულად აცვიათ, მაგრამ ეგ უბრალოდ ნესია ეგეთი. რეჟისორი ეგეთი უნდა ჩანდეს. თორემ არაფერი შეგეშალოს, თავშეკავება კი არა.... ოოო!

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვას, ან, რა ვიცი, მანიკური არ მოეწონოთ.

– განუხებ?

– არა, რას ამბობ. პირიქით. სულ არ მინდა, რომ „რეჟისორი“ ვიყო, როცა ფილმს არ ვიღებ. ბევრს ემართება ხოლმე – ფილმების გადაღებას და ყოველდღიურ ცხოვრებას ერთმანეთში ურევს და მერე სულ „ხელოვანის თვალებით“ იყურებიან ხოლმე. თითქოს, სულ რაღაცას ეძებენ. მე ეგ არ მჭირდება.

ტანსაცმლის არჩევა მაღე მთავრდება. რამდენიმე კოსტიუმი მიაქვთ. თინა განსაკუთრებულად მოხიბლული არ ჩანს. არ აპროტესტებს, მაგრამ არც ენთუზიაზმს გამოხატავს. ხელზე კაბაგადაკიდებული გა-

პული ფესტივალის ლაურეატი.

სიუჟეტი ფილმს მაინცდამაინც არა აქვს. მოცემულობა ასეთია – შარშან თინა გურჩიანმა კასტინგი გამოაცხადა 15-23 წლის ახალგაზრდებისთვის. მსურველებს კამერის წინ საკუთარი ისტორია უნდა მოეყოლათ. ყველაზე საინტერესო ამბებს რეჟისორი ფილმისთვის აარჩევდა.

ასეთ პირობებში ზუსტი სცენარი ვერ გექნება. თინა გურჩიანი ამბობს, რომ ფილმის დაწყებამდე ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა იმ ძირითადი ელემენტების შესახებ, რისგანაც უნდა შემდგარიყო ფილმი.

თინა: ფილმის დაწყების წინ ვიცოდი, რომ მექნებოდა ფონი, რომელსაც საქართველოს ყველა ქალაქში შეხვდები – სკოლის

სპორტული დარბაზი წარმომედგინა, ცისფერი და მწვანე კედლებით. სპეციფიკური ხმა მინდოდა თავისი უცნაური ექოთი, რომელიც ცოტა ირეალურს ხდის აღქმას. ვიცოდი, რომ ფილმის ძირითადი ნაწილი მონოლოგებით აენწყობოდა და ვიცოდი, რომ რამდენიმე ისტორიას გავეყვებოდი – მოყოლის გარდა, ვაჩვენებდი კიდევც.

– და ის როგორ იცოდი, რომ რასაც მოგიყვებოდნენ ნამდვილი იქნებოდა, და არა გამოგონილი?

თინა: ეგ სულ არ ვიცოდი და მაგას მნიშვნელობა არც აქვს. ესენი კი მოდიოდნენ თავისი ისტორიებით, მაგრამ არ მაინტერესებდა, აქედან რა იყო გამოგონილი და

თინა გურჩიანმა ყოველთვის იცოდა, რომ რაჟისორი გამოვიდოდა. მაშინაც, როდესაც 17 წლისა ბერმანიში წავიდა ფსიქოლოგიის სასწავლად. და მაშინაც, როდესაც უკვე ფსიქოლოგად მუშაობდა.

დაენიძლავა 100 „პედროზე“ – აი, ნახე, რეჟისორი თუ არ გამოვიდოდა.

თინა გურჩიანს თავის რეჟისორობაში არც მაშინ შეჰპარვია ეჭვი, როდესაც წლები გადიოდა, ფილმი კი ჯერ არ გადაეღო. ამბობს, არც კი მიფიქრია ამაზე, ვიცოდი, რომ ჩემი დროც მოვიდოდაო.

თინა იანვარში ორმოცის გახდა. შესახედავად ოცდახუთისას უფრო ჰგავს.

– გსიამოვნებს, ასაკი რომ არ გეტყობა?

თინა: რა ვიცი. ის არ მომწონს ხოლმე, როდესაც ქალი ყურნაღისტები იგებენ ჩემს ასაკს და მერე სულ მეკითხებიან – ამას როგორ ახერხებ და რა პროცედურებს იტარებო. ასაკი ხომ ის არაა, ნაოჭები გა-



რა – ნამდვილი. ამის უფლება ჰქონდათ კიდევც. ეუბნები – მოდი და მოყევი შენი ისტორია, რაც გინდა, მთავარია, რომ საინტერესო იყოს. ჰოდა, გამოდის ობიექტურის და სუბიექტურის ნაზავი.

საბოლოოდ, თინამ ფილმისთვის რამდენიმე პერსონაჟი აარჩია. ზოგი ცოტა ხნით ჩნდება ეკრანზე – მაგალითად თეთრებში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ყვება, როგორ გადაყვა ონლაინ პოკერის თამაშს. ან კაცი, რომელიც ფილმის ბოლოს ჩნდება და მოჭარბებული თეატრალურობით აღწერს, თუ როგორი უბედურია. (თინა ამბობს, რომ ეს კაცი 2 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ლაპარაკობდა შეუჩერებლად. რამდენჯერმე გულიც წაუვიდა, მაგრამ მოსულიერდა და გააგრძელაო).

ზოგს კი რეჟისორი მეტ დროს უთმობს. მაგალითად, 13 წლის რამინს, რომელიც ძალიან ღარიბია, ვერც სკოლაში დადის და ბავშვობაც მაინცდამაინც არა აქვს. ეს, სხვათა შორის, მისი მონოლოგის მერე უფრო ჩნდება, როდესაც მას კამერა მიყვება, თორემ ლაპარაკისას სულ ილიმება. მხარული და კმაყოფილი ჩანს.

ფილმის კიდევ ერთი გმირი 25 წლის გიორგია. ის თბილისიდან რაჭაში გადასახლდა და ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის გამგებელი გახდა. სოფელში მოხუცების მეტი თითქმის არავინ ცხოვრობს. დაახლოებით 30 წლისა, იქ ერთადერთი კაცი-ღაა დარჩენილი, ისიც ქრონიკული ლოთია (თინა ამბობს, რომ ამასობაში ისიც გარდაცვლილა).

ინტერვიუს დროს თინა ძირითადად თავის გმირებზე ლაპარაკობს. მათზეც, ვინც ფილმში მოხვდა და მათზეც, ვინც ვერ მოხვდა. გმირების შესახებ ყველა მაშინაც, როდესაც ფილმზე ეკითხები და მაშინაც, როდესაც საუბარი სულ სხვა თემებს შეეხება.

თინა გურჩიანმა ყოველთვის იცოდა, რომ რეჟისორი გამოვიდოდა. მაშინაც, როდესაც 17 წლისა გერმანიაში წავიდა ფსიქოლოგიის სასწავლად. და მაშინაც, როდესაც უკვე ფსიქოლოგად მუშაობდა. ინტერვიუებში იხსენებს ხოლმე, რომ ჯერ კიდევ სკოლაში იყო, როდესაც მეგობარს

ქვს თუ არა და რაღაც ეგეთები.

– აბა?

– ეგეთი ცნობილი რუსი რეჟისორია, კოზაკოვსკი, იცი?

– ნწუ.

– არა აქვს მნიშვნელობა. ის მეუბნებოდა, ოთახში რომ შემოდიხარ, ისეთი მორცხვი ჩანხარ, ისეთი დაუცველობის აურა გაქვს, რომ გეგონება, ნატაშა როსტოვა იყო პირველ მეჯლისზეო. მეკითხებოდა, როგორ ახერხებ ამასო.

თინა გურჩიანი ხმადაბლა ლაპარაკობს. თვალებს ხრის და წამწამების ქვემიდან იყურება.

– ეგ თვისება მიადვილებს საქმის კეთებას, ყველას უნდა, რომ გვერდით დამიდგეს და დამეხმაროს. ყველას ჰგონია, რომ რასაც ვაკეთებ, ჩემთვის პირველია. გადამლები გუნდის წევრებიც, ვინც პირველად მხედავს, ასე არიან ხოლმე განწყობილები. პირველ რიგში, ქალს ხედავენ.

თინა ყვება: თავიდან რომ წავედი ფრაიბურგში, ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრებით არ მიცხოვრია. მაშინ იქ ქართველები თითქმის არ იყვნენ, ახლა რომ

ისტორია

სავსეა, ეგრე კი არ იყო. ისე მოხდა, რომ თავიდანვე ხელოვანთა გარკვეული წრე გავიციანი. ფული არ მქონდა, მაგრამ მქონდა დიდი ვილა. ვმოგზაურობდი მთელ მსოფლიოში ამ ცნობილ არტიტებთან ერთად და, შესაბამისად, ისინი ზრუნავდნენ ჩემზე. ადამიანებს უყვართ ჩემზე ზრუნვა. სულ ეგრეა, სადაც არ უნდა ჩავიდე ეგრეა. ეტყობა, მჭირდება რომ ჩემზე ზრუნავდნენ. ოღონდ თან თავისუფალი უნდა ვიყო.

როდესაც კინოზე ლაპარაკობს (თავისაზეც და სხვისაზეც), თინა გურჩიანი სულ არა ჰგავს მეგლისზე მისულ ნატაშა როსტოვას. ნაპოლეონს უფრო ემსგავსება. ბოლომდეა დარწმუნებული თავის თავში და თავის საქმეში.

– არასოდეს მივიღებ მონაწილეობას აღმოსავლეთ ევროპის ფილმების ფესტივალში ან ქალი რეჟისორების ფესტივალში.


რატომ?

– იმიტომ, რომ კარგი კარგია. თუ გაქვს პრეტენზია, რომ კარგი გააკეთე, მაშინ დამაწყნარებელი პრიზები არ უნდა გჭირდებოდეს. პრიზი წარმატება არ არის. წარმატებაა, როდესაც მაყურებელი დადგება რიგში და ყურება მოუხდება. მე ვგრძნობ, რომ ჩემი ფილმი წარმატებულია, იმიტომ, რომ ჩვენებებს ვესწრები. და ვხედავ, რომ მაყურებელი იქ იცინის, სადაც მე მგონია, რომ უნდა გაიცინოს და იქ ტირის, სადაც მგონია, რომ უნდა იტიროს.

– კი, მაგრამ საქმეს არ წაადგება, თუ ვთქვით 3 გამარჯვების და 7 ნომინაციის ნაცვლად, ფილმს 9 პრიზი და 20 ნომინაცია ექნება? თუნდაც მეორეხარისხოვანი ფესტივალების ხარჯზე...

– არა. ეგ ჩემს თავმოყვარეობას დაარტყამდა. ხომ ვიცით, რომ ქართულ კინოში არის კრიზისი და არ ვიღებთ ისეთ კინოს, როგორსაც უნდა ვიღებდეთ. რომ ამბობენ-ხოლომე „კიდევ ერთი წარმატება ქართული ფილმისო“, უმეტესობა მითია. ჰოდა, ვთქვით კოტბუსში და ვისბადენში არის ფესტივალები. აი, ამ ვისბადენში ლამის ყოველ წელს იმარჯვებს ქართული ფილმი. არ არის ეგ დამამცირებელი? – რომ არსებობს ცალკე ფესტივალი ლამის მარტო იმიტომ, რომ ქართულ კინოს მისცენ პრიზები.

თინა გურჩიანი ქალ რეჟისორებზე: სანდენის ფესტივალზე HBO-ს ჟურნალისტმა მკითხა, გიხარია, რომ წელს სანდენსზე



ბევრი ქალია? მე კი ვუპასუხე, რომ გამიხარდა, რომ ქალებმა გადაწყვიტეს და დაძლიეს სიზარმაცე. რა თქმა უნდა, დისკრიმინაციაც იყო, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა ბოლო წლების განმავლობაში ის იყო, რომ ეზარებოდათ საქმის კეთება. ახლა ანიეს ერთი ადგილი და ძალიანაც კარგი. აი, ქალების კინოფესტივალი რომ ვახსენე. არ არის ეგ შეურაცხმყოფელი? რომ, აი, საწყალ ქალებსაც დაუწყიათ კინოს გადაღება და მოდი, შევაჯიბროთო. რატომ უნდა მიიღო მანდ მონაწილეობა? კაცებისთვის ცალკე ფესტივალი ხომ არ არსებობს?

თინას ვეკითხები, რანაირად ახერხებს, რომ თან ნაპოლეონი იყოს და თან ნატაშა როსტოვა. ერთი მხრივ მოჭრილად, ყოყმანის და ეჭვის გარეშე ილაპარაკოს, თუ რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს იმას, რაც უნდა და თან უმწეობის აურას ავრცელებდეს.

მიყვარს, როდესაც განსხვავებული იდენტობები მაქვს – მპასუხობს. იდენტობების თამაშით სხვა სამყაროებში შევდივარ ხოლმე. ნაგავსაყრელზე თუ მივდივარ ფილმის გადასაღებად, სხვა ადამიანი ვარ, ტანგოს თუ ვცეკვავე, სხვა...

– მიყვარს ტანგოს ცეკვა?

– მიყვარს რა, მოცეკვავე ვარ.

თინა გურჩიანი მოცეკვავეც არის და ფსიქოლოგიც. კიდევ მხატვარიცაა. თავისი სტუდენტური მხატვრული ფილმის გმირებისთვის კოსტიუმებსაც კერავს. თუმცა,

პირველ რიგში მაინც რეჟისორი ვარო – ამბობს.

საკუთარ იდენტობებზე ლაპარაკისას თინა მოულოდნელად ჩუმდება და 5 წუთს ხმას არ იღებს. რალაცას ფიქრობს. ბოლოს ამბობს – მთავარი მაინც თავისუფლებაა. და ის, რომ არჩევანის საშუალება გქონდეს. თუმცა, ეს ორი, ალბათ, ისედაც ერთი და იგივეა.

თინა გურჩიანი 23 წელია, გზაში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც 17 წლისა გერმანიაში წავიდა, მუდმივი საცხოვრებელი არა ჰქონია. ხან გერმანიაში, ხან საქართველოში და ხან კიდევ ავსტრიაში. საქართველოშიც, ამ ხნის განმავლობაში გადაბმულად ერთ წელზე მეტ ხანს არ გაჩერებულა.

ეს არ აწუხებს. პირიქით. როდესაც კი საშუალება ჰქონდა, ერჩია, რომ სასტუმროში ეცხოვრა. ბარგის ნაწილს სხვადასხვა ქალაქებში, მეგობრებთან ტოვებს. მაგრამ თან სატარებელიც ბევრია. ამიტომ, ყოველ ჯერზე უწევს აბარება და შემდეგ თავიდან დაბინავება.

ეგეც ალბათ თავისუფლად ცხოვრების სურვილის თანმხლები რამაა.

თინა: ესეც იმასთანაა კავშირში, სხვადასხვა იდენტობა რომ მაქვს. ერთი მუდმივი საცხოვრებელი არა ამქვს, მაგრამ სამაგიეროდ მაქვს ბევრი სახლი. ეს სახლი შეიძლება ფიზიკურად არც არსებობდეს, მაგრამ მაინც არანაკლებ რეალურია. იმდენად მიჩვეული ვარ, რომ ჩემთვის ღირებულ საშუალო სულ შინაგანად თან დამაქვს, რომ ადგილს და სივრცეს არა აქვს მნიშვნელობა.

– საქართველოსთან კავშირი რამდენად გაქვს? აი, მაგალითად, გიგა ნასარიძე იცი, ვინაა?

– კი, ყველა ვიცი. აქ რომ ვარ, სულ ტელევიზორს ვუყურებ ხოლმე. პრინციპში, ახალ ამბებს იქაც ვადევნებ თვალს. ადრე „ფეისბუქს“ ვერ ვიტანდი. ახლაც ვერ ვიტან, მაგრამ, ფილმის გამო დამჭირდა, რომ ჩემი გვერდი გამეხსნა. ახლა აღარ მჭირდება, მაგრამ, მაინც ვერ ვზურავ – ამ ფილმის წარმატების მერე ბევრი მწერს და თან ვიგებ, რა ხდება.

თინა თბილისში სულ რამდენიმე დღითაა ჩამოსული. მერე ფილმის ფესტივალზე საჩვენებლად უნდა წავიდეს. ჯერ ერთ

აქტიურებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას

მე ვაჩ ბანსახუთხაბუდი



მეჩვის სპეციალური დრაჟე
გლუვი ხანი, მგზინვაკა თმა

უნიკალური კომბინაცია
და მტაცა ფრჩხილები



ისტორია

ქვეყანაში, მერე მეორეში, მერე მესამეში, მერე... მხოლოდ მარტო – ამ ფილმმა 8 ფესტივალიდან მიიღო მიწვევა. ყველგან, ცხადია, ვერ წავა, მაგრამ ოთხზე დასწრებას კი აპირებს. ასე უნდა იაროს ფესტივალზე, ალბათ ერთი წლის განმავლობაში.

– არ დაილაღე?

– მართალი რომ გითხრა, ყველაზე უფრო მარტო ყოფნა მენატრება. ბევრი რამე მაქვს გასაკეთებელი. მომავალ პროექტზე უნდა დავიწყო მუშაობა. მხატვრული ფილმის გადაღება მინდა. მართალია, სცენარი კარგა ხნის წინ დავეწერე, მაგრამ იმის მერე ბევრი რამე შეიცვალა. მეც შევიცვალე და სცენარიც შესაცვლელია. მაგრამ

რაც შეეხება დისკების გაყიდვას, ტელევიზიების მიერ ფილმის ყიდვას და შემოსავლების სხვა წყაროებს, თინა ამბობს, რომ ეს ყველაფერი ასე 6 თვეში გამოჩნდება.

– მანამდე, ვერაინ იტყვის, რამდენი იქნება შემოსავალი. ცხადია, იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ფილმზე დახარჯვა (ფილმის გადაღება 20 ათასი დოლარი დაჯდა), მაგრამ ზუსტად რა იქნება, არავინ იცის. იმედი, იმდენი მაინც, რომ ერთ წელს მიყვოს.

„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ქართულ ფილმად

თქვა, იმან – ესო.

– ჩემზე ამბობენ, ეგზოტიკა გადაიღო უცხოელებისთვისო, – ამბობს აღშფოთებული, – აბა, რანაირი ეგზოტიკაა საქართველო?! ნარმოიდგინე, რამხელაა მსოფლიო და რამხელა ეგზოტიკა არსებობს. არაფერი განსაკუთრებულად ეგზოტიკური არ არის არც საქართველოში და არც ჩემს ფილმში.

კიდევ ერთი კრიტიკა, რომელიც ფილმის მისამართით ისმის (არა მხოლოდ საქართველოში), ისაა, რომ ავტორი ერთგვარად სპეკულირებს სოციალური თემებით. რომ საქართველოს მხოლოდ ერთ – სიღარიბის კუთხით აჩვენებს და ფილმის ნახვის



ამისათვის ცოტა ხანი მარტო ყოფნა მჭირდება და არ ვიცი, როდის მომეცემა ამის საშუალება.

– ასე, გზაში უნდა იცხოვრო სულ?

თინა ცოტა ხანს ჩუმადაა. მერე იღიმება და მხრებს იჩეჩავს.

რამდენად აისახება ფილმის წარმატებული ჩვენება ფესტივალზე ფინანსურ შემოსავალზე?

თინა ამბობს, რომ ჯერ არ იცის. ბევრ ფესტივალს, განსაკუთრებით პრესტიჟულს, ფულადი პრიზი ან არა აქვს, ან მცირე აქვს.

აღიარებს. ამის მიუხედავად, ამ ფილმზე საქართველოში ბევრი არაფერი დაწერილა. მერჩინა, ბევრი ცუდი დაწერათ, ვიდრე არ შეემჩნიათ. თითქოს, სულაც არ ყოფილა ჩემი ფილმიო – ამბობს თინა გურჩიანი.

– ერთი თეომ დაწერა და, მართალია, არაფერს არ ვეთანხმები, რაც უნერია, მაგრამ დუმილს ისევ ეგ ჯობია (თეო ხატიაშვილის სტატია „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს სიყალბის გარდა“ „ნეტგაზეთში“ გამოქვეყნდა).

ის, რომ არ დაუწერიათ, არ ნიშნავს, იმას რომ ფილმზე არ ლაპარაკობენ და არ აკრიტიკებენ. თინა ამბობს, ძალიან საწყენია, როდესაც მხოლოდ ხმები მომდის, ამან ის

შემდეგ დაგრჩება შთაბეჭდილება, რომ აქ მხოლოდ გაჭირვებული, უბედური ხალხი ცხოვრობს.

თინა ამაზეც გაცხარებული კამათობს: ეს არ არის სამეცნიერო ნაშრომი. მეც არ მივედგომივარ ამ ფილმს, როგორც სოციოლოგი, თუ რა ვიცი, ფსიქოლოგი და ფოკუს ჯგუფები არ ამირჩევა, რომ ქართველი ახალგაზრდები გამოემსახა რეპრეზენტატიულად. არც მიფიქრია წინასწარ, რომ რამე კონკრეტული მეჩვენებინა, ან ამესახა. დაველაპარაკე ადამიანებს და რაც მე დამრჩა მათგან, ის დარჩა ფილმშიც. მე უფრო ინტუიტიურად, ირაციონალურად ვმუშაობ და მონტაჟიც უფრო ასოციაციური და პო-

ეტურია. სიმეტრიის ან ბალანსის დაცვაზე არ მიფიქრია. არც იმაზე მიფიქრია, რომ, აი, ამდენი პესიმისტური ისტორია მაქვს და ახლა რამე მხიარული ჩავართო-თქო.

– იყო რამე მხიარული ისტორია, რაც არ ჩაგისვამს?

თინა დიდხანს იხსენებს და ბოლო ასკვნის, რომ არა. ფილმში მოხვედრილი ისტორიები ყველაზე მსუბუქებია.

არადა, მსუბუქი მაგ ისტორიებიდან არც ერთს არ ეთქმის. ერთი შვილზეა, რომელიც დედამ მიატოვა, მეორე ბიჭზე, რომლის ძმაც ციხეშია, მესამეს გმირი ახლაც დიდი ხნის დაკარგულ სიყვარულს მისტირის...

– უარესი რა იყო?

„ეს თაობაა, რომელმაც სვლილაჯაში იხსოვრა. მიწოდლა, მომანახა ამბოხის პოტენსიალი. ირაკლი ჩარკვიანის სიმღერითაც იმიტომ ვამთავრებ ფილმს, რომ რაღაც მუხტი ღარჩეს ამბოხის“.

ნარდგენილი ფილმი Pussy Riot-ის შესახებ და ნარმატივულიც გამოვიდა. ახლა ეგ ყველას აინტერესებს.

– კი, მაგრამ შენი ფილმი რომ არ არის აქტუალური?

თინას სახეზე კმაყოფილება ეტყობა:

– ჩემი იმიტომაც არის მაგარი, რომ არ არის აქტუალური. ვინც ნახავს, ყველას ალელევებს. აქტუალური შეიძლება არ იყოს, მაგრამ ემოციურია.

– რაზეა ფილმი?

ამ პასუხზე თინა ყველაზე მეტ ხანს ფიქრობს. ბოლოს ამბობს, მაგრამ დაურწმუნ-



თინა: უფ, რამდენიც გინდა. ინცესტები, ძმები, რომლებსაც ერთმანეთის ცოლებთან ჰქონდათ რომანი... ბავშვები ყვებოდნენ, როგორ აუჩქებეს დედა ნაჯახით... უამრავი საშინელი ისტორია იყო, რომლებიც, საბოლოოდ, ფილმში ვერ მოხვდა. იმიტომ, რომ საერთო ქსოვილს არ უხდებოდა და ისედაც არ იყო საჭირო.

რითი მოხიბლა თინა გურჩიანის ფილმმა ფესტივალების ჟიურის წევრები?

სანდენის ფესტივალის უფროსმა პროგრამერმა, კეროლან ლიბრესკომ, მაგალითად, „პიბისთან“ საუბრისას (ცალკე გამოყო „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ და მას „პოეტური, ვიზუალურად დახვეწილი და სრულიად ახალი დოკუმენტური ფილმი“ უწოდა. ერთ-ერთი რეცენზიის ავტორმა კი აღნიშნა: ეს ფილმი „იმპრესიონისტულ, ერთგვარ პოეტურ ხედს გვთავაზობს ავტორის მშობლიური ყოფილი საბჭოთა ტერიტორიისა“-ო. კიდევ ერთი ავტორისთვის კი თინა გურჩიანის ფილმში მნიშვნელოვანი ესაა: „თვითოეული

მოკლე გამოცხადება უფრო დიდ მთლიანობაში ჯდება, როგორც პანია ბორბალი კულტურული ნარატივის მანქანაში“. (იმედია, თქვენ მეტ აზრს გამოიტანთ ამ წინადადებიდან, ვიდრე მე შეეძელი.)

თავისი როლი ალბათ დასამახსოვრებელმა სათაურმაც ითამაშა. იმ რეცენზიების ავტორებიც კი, რომლებსაც ფილმი არ მოეწონათ, აღნიშნავენ – სათაური საინტერესოაო. სანდენის ფესტივალზეც, დაჯილდოებისას, სათაურის ეფექტიანობას საგანგებოდ გაუსვეს ხაზი. (პრიზის მიღებისას თინამ თქვა, სამადლობელი სიტყვა არ მომიმზადებიაო და იქვე დაიწყო იმის მოფიქრება, თუ ვისთვის უნდა გადაეხადა მადლობა. საუბრისას ამისხნა, ისედაც ძალიან დასტრესილი ვიყავი და იმის დაძაბულობას ვერ დავიმატებდი, რომ არ გამემარჯვა და ჯიბეში გამზადებული სიტყვა დამრჩენოდაო).

– შენი აზრით, რას აქცევენ ყურადღებას ფესტივალებზე? რა არის მთავარი გასამარჯვებლად?

– პირველ რიგში, ალბათ აქტუალური უნდა იყოს ფილმი. აი, სანდენსზე იყო

ნებლად: ყველაფერი ამაოებაა, მაგრამ ბრძოლად ღირს.

შემდეგ ცოტა ხანს კიდევ ჩუმდება და აგრძელებს, რომ ფილმში შეგნებულად რამე მესიჯი არ ჩაუდია. აზრიც შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ თუ აქვს, ისაა, რომ მისი გმირები პასიურები არ არიან. შეიძლება დაღლილები იყვნენ, ინჟუნონ, მაგრამ ქცევებში ოპტიმიზმი მაინც აქვთო ...

თინა: ეს ხომ თაობაა, რომელმაც ცვლილებებში იცხოვრა. მიწოდლა, მომანახა ამბოხის პოტენციალი საქართველოში. ყველაზე მძიმე არის ხოლმე ლეთარგია. მე ეგ ცუდ გუნებაზე მაყენებს და ყველაზე ნაკლებად ეგ მიწოდლა, რომ გამოსულიყო. მგონი არც გამოვიდა. ირაკლი ჩარკვიანის სიმღერითაც იმიტომ ვამთავრებ ფილმს, რომ რაღაც მუხტი დარჩეს ამბოხის.

– კი, მაგრამ ერთი შეხედვით, ამ ფილმში მეთამბოხე მაინცდამაინც არავინ ჩანს.

თინა: მეტი რომ ყოფილიყო უკეთესი იქნებოდა. ბოლო გმირის სიტყვებში მგონი, ჩანს ეგ სულისკვეთება. ან, შეიძლება, არც ჩანდეს. მაგრამ, რაცაა ეგაა. მეტი მეთამბოხე მე აღარ შემხვედრია.

ბერლინალეს კოჭა

63-ე საერთაშორისო კინოფესტივალმა აღოსავლეთ ევროპას კარი გაუხსნა

ავტორი დავით ბუხრიკიძე
ფოტო: ბერლინალეს ოფისიალური ფოტოგრაფი



2013 წლის ბერლინალეს „ოქროს ბთვის“ მფლობელი, რუმინელი რეჟისორი კალინ პეტარ მისარი

ალბათ ირონიულად ყლერს, მაგრამ ერთბაშად ყველა – გერმანელი, ფრანგი, რუსი თუ ქართველი კოლეგა, ბერლინის კინოფესტივალის დღეებში რუმინული კინოს ფენომენზე ოდნავ შენიღბული მუ-რითა თუ გაოცებანარევი ინტონაციით საუბრობდა. როდესაც ფესტივალის და-ხურვის დღეს, ხელიხელ ჩაკიდებულ-მა ვონგ კარ-ვაიმ (წელს ჟიურის თა-ვმჯომარე სწორედ ის იყო) და დიტერ კოსლიკმა (ფესტივალის დირექტორმა) რუმინელი რეჟისორის, კალინ პეტერ ნე-ცერის ფილმი „ბავშვის პოზა“ მთავარი „დათვით“ დაჯილდოვეს, გაოცებაც და შურიც გულწრფელმა აღფრთოვანებამ შეცვალა. ხუმრობა ხომ არ არის თა-ნაკურსელი რეჟისორები რუმინეთიდან – კალინ პეტერ ნეცერი და კრისტიან მუნ-ჯიუ ზედიზედ გახდნენ ბერლინისა და კანის ფესტივალების ტრიუმფატორები. „ოქროს დათვის“ გარდა, პეტერ ნეცერს საერთაშორისო კინოკრიტიკოსთა პრიზი, „ფიპრესიც“ გადაეცა, რაც კინოხარისხის ერთგვარი დამატებითი გარანტიაა.

რუმინული კინოს ვარსკვლავი ლუმინი-ცა გეორგიუ (სხვათა შორის, ის „ახალი ტალღის“ თითქმის ყველა ცნობილი რუ-მინელი რეჟისორის, მათ შორის, მიხაელ ჰანეკეს ფილმიც) ბუქარესტის მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენელს თამაშობს. კორნელია ზედმეტად და აქტიურად ერევა 30 წლის ვაჟის ცხო-ვრებაში; ყველგან და ყოველთვის ჭკუას არიგებს: როგორ იცხოვროს, ვინ უყვარ-დეს, რა აკეთოს. სიტუაცია კიდევ უფრო კრიტიკული ხდება, როცა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მისი შვილი პატა-რა ბავშვს იმსხვერპლებს. ცხადია, დედა-შვილს ბევრი რამის გადატანა მოუწევთ, ვიდრე ბავშვის მშობლებთან დრამატულ ურთიერთობას გაარკვევენ.

ფილმის ყველაზე შთამბეჭდავი ეპი-ზოდია კორნელიას ასოციაციებით და-ტვირთული, ბორძიკით წარმოთქმული და „ტრავმატული მონოლოგი“, როცა ის ხელახლა გაიაზრებს შვილთან ურთიერ-ობას. მის წარმოსახვაში ბევრი რამ შეიცვლება და მიხედება, რომ საკუთარი ეგოიზმის მსხვერპლია. თუმცა, როგორც ყოველთვის, ახალ რუმინულ კინოშიც, რეალობის სიმძაფრე ყოველგვარი ძალდა-ტანებისა და მკვეთრი აქცენტების გარეშე იგრძნობა. „ბავშვის პოზა“ გამოირჩევა მი-

ნიმალისტური კინემატოგრაფიული საშუ-ალეებით, დახვეწილი ფსიქოლოგიზმითა და დოკუმენტური კინოსათვის დამახასია-თებელი დეტალების ცოდნით.

ვერ გეტყვით, რა მიზეზებით, მა-გრამ ფაქტია, რომ წელს ბერლინალემ კარი ლამის მთელ აღმოსავლეთ ევრო-პასა და პოსტბლტოთა სივრცეს გაუხსნა. საკონკურსო პროგრამაში რუმინული ფილმის გარდა მოხვდნენ: პოლონური (მალგოჟატა შუმოვსკას „სახელით“), ბოს-ნიური (დანის ტანოვიჩის „ეპიზოდი ჯარ-თის შემგროვებლის ცხოვრებიდან“), რუ-სული (ბორის ხლენიკოვის „ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება“) და ყაზახური (ემირ ბაიგაზინის „ჰარმონიის გაკვეთილე-ბი“) ფილმები, რაც იშვიათი შემთხვევაა. ჟიურის ამ გადანყვეტილებას სიახლისა და „დამღლევი ევროპული“ ფილმებისგან შესვენების სურვილით ხსნიან, თუმცა ნამდვილი მიზეზები მხოლოდ ვონგ კარ-ვაიმ და კომპანიამ – ტიმ რობინსი, ან-დრეას დრეზენი, შირინ ნესჰატი, სიუზან ბეირი... უწყვიან.

შეიძლება ითქვას, რომ რისკმა გაა-მართლა. უცხოენოვანი „ოსკაროსანის“, დანის ტანოვიჩის ახალი ფილმი ჟიურის ასევე ორ ნომინაციაში დააფასა: ჟიურის დიდი პრიზი და „ვერცხლის დათვი“ ნა-ზიფ მუჯიჩის გადაეცა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. მთავარი გმირის, ჯართის შემგროვებელი მამაკა-ცის ისტორია სამედიცინო დაზღვევის მტკივნეულ პრობლემას უკავშირდება. ის იძულებულია ავადმყოფი მეუღლე სხვა-დასხვა კლინიკებში ატაროს, რადგან და-ზღვევის გარეშე არსად ლეზულობენ. რე-ჟისორი ახერხებს, პატარა ადამიანისა და პატარა ქვეყნის პრობლემა გასაგები გახა-დოს ყველასთვის და ახლაც ადვილი შე-საძლებელია მისი ფილმი, მომავალ წელს უცხოენოვანი „ოსკარების“ ნომინაციაში ისევ მოხვდეს (2002 წელს ტანოვიჩს უკვე მიღებული აქვს „ოსკარი“ ფილმისათვის „არავის მინა“).

ესთეტიკურად გაცილებით საინტე-რესოდ მომეჩვენა რეჟისორ მალგოჟა-ტა შუმოვსკას ნამუშევარი „სახელით“, რომელსაც ბედის ირონიით მხოლოდ „ტედის“ მთავარი ვილდო ერგო. ლგბტ თემაზე გადაღებული ფილმებს შორის რალაც „გაუგებრობით“ ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეციც“ მოხვდა. სოფლის

ახალგაზრდა მღვდელი ადამი ცდილობს, ძნელად აღსაზრდელები ცხოვრებას დაუ-ბრუნოს, რწმენა ჩაუნერგოს... მაგრამ როგორც ყოველთვის, ეშმაკი არც ამჯე-რად თვლემს, ის უბრალოდ სექსუალურ დეტალებში იმალება. მამა ადამს ერთ-ერთი მომხიბვლელი გოგონა უტრიალებს, თავად მღვდელს კი, სოფლის მოზარდი ბიჭი მოსწონს!

მოკლედ, სხეულისა და სულის დაპი-რისპირების კლასიკური ფორმაა, თუმ-ცა ტავიანების „მამა სერგიმდე“ ფილმს აშკარად ბევრი უკლია. საკმაოდ მკაცრი, მაგრამ კამერული ფორმის თხრობა არ გალიზიანებთ არც ზედმეტი ექსტრავა-განტურობით („ახლა გაუგონარ ამბავს მოგიხრობთ“) და არც ზედმეტი კდემ-მოსილებით („თან სექსი მინდა და თან ქალიშვილობის შენარჩუნება“). ყველაზე მეტად ფილმის გამომსახველობა, კარგი დიალოგები და მსახიობთა ნამუშევარი გამახსოვრდებათ, რაც ასე იშვიათია ქარ-თულ კინოში.

ურიგო შთაბეჭდილობა არც ყაზახურ-მა „ჰარმონიის გაკვეთილებმა“ დატოვა, რომელიც კოლონიაში მოხვედრილ მო-ზარდებზე მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ აზიზ ზამბაკიევი საუკეთესო ოპერა-ტორული ნამუშევრისათვის „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოვდა.

აღმოსავლეთ ევროპული კინოს ტრიუ-მფი ნაწილობრივ გაანეიტრალა ამერი-კულმა დამოუკიდებელმა კინომ. დე-ვიდ გორდონ გრინის „პრინცი აველანჟი“ საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისა-თვის „ვერცხლის დათვით“ დაჯილდო-ვეს, რაც ჰოლივუდის უნებლიე დაცინ-ვას უფრო ნააგავდა (გას ვან სენტისა და სტივენ სოდერბერგის საკონკურსო ფილმებზე ოდნავ ქვემოთ). ფილმს სა-ფუძვლად უდევს ტენასის შტატში 1987 წელს მომხდარი ხანძარი, რომლის შედე-გად ტყის უზარმაზარი მასივი განადგურ-და. სწორედ გადამწვარ ტყეში დახეტე-ბიან ფილმის გმირები: ერთი შედარებით ახალგაზრდა, მხიარული და ქარაფშუტა (პოლ რადი), მეორე – ასაკიანი და სერიო-ზული (ემილ ჰირში). ფილმის ძირითადი დრო ჩხუბს, შერიგებას, სმას, კინკლაობას ეთმობა. და ეს ყველაფერი ზარდამცე-მი, დამწვარი და ოდნავ აპოკალიფსური ტყის პეიზაჟის ფონზე ხდება. როგორც ჩანს, პრიზის გადაცემისას, გადამწყვეტი

წერილი ბარლინიდან

აღმოჩნდა დამოუკიდებელი კინოს ხიბლი, მცირე ბიუჯეტი და უცნაური, მელანქოლიური იუმორი

კრიტიკოსთა სპეციალურ რეიტინგში თითქმის ბოლო დღემდე ლიდერობდა ჩილელი რეჟისორის, სებასტიან ლელიოს ფილმი „გლორია“, რომელიც საშუალო ასაკის მარტოხელა ქალზე მოგვითხრობს. ის რეგულარულად ესწრება ცეკვის საღამოებს, სადაც წარმატებულ მამაკაცს, როდოლფოს ეცნობა. მათი ურთიერთობის ერთადერთი ხელისშემშლელი მიზეზი როდოლფოს ქალიშვილია... ეს უბრალო, მოკრძალებული მელოდრამა რაღაცით მაგონებს 70-80-იან წლებში გადაღებულ ფილმებს ან ჟიჟარდოს მინანილეობით, რომლებიც რეგულარულად ხვდებოდა საბჭოთა კინოგაქირავებაში.

იზაბელ აჯანის (გიომ ნიკლოს ფილმიდან „მონაზონი“) და ჟულიეტ ბინოშის (კამილ კლოდელი ბრუნო დიუმონის ფილმში) ხარისხიანი დრამატიზმის ფონზე...

თუმცა, ბერლინალეს თავისი კანონები და ჩვეული სოციალური „პოზა“ აქვს, ამიტომ ფავორიტებსაც შესაბამის ირჩევს. კარგად ნაკეთი არტ-ჰაუზი „დაჩაგრულების“ თემებთან შედარებით ბერლინში თითქმის ყოველთვის აგებს. ამიტომ აქ სულ ადვილადაა შესაძლებელი ჯუდ ლოუს (გაიძვერა ფარმაცევატი სტივენ სოდერბერგის ფილმში „გვერდითი მოვლენები“) არაპროფესიონალმა ნაზიფ მუჯიჩმა აჯობოს, ხოლო შტამპებისგან მტანჯველად გათავისუფლებულ ჟულიეტ ბინოშს – უცნობმა ჩილელმა მსახიობმა. სინამდვილეში წარმატებულია არა ის ფესტივა-

„სამოთხე“ თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც ვრცელი ტილო: სამი ქალის ისტორია, რომლებიც უბრალოდ ბედნიერებას ეძებენ... ცხადია, უშედეგოდ. თუმცა, „ტილოს“ ზომა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ზაიდლმა იგი ტრილოგიად აქცია. „სამოთხე, სიყვარული“ ტრაგიფარსია ასაკოვან ქალზე, რომელიც კენიაში სექსუალური თავგადასავლის საძიებლად მიემგზავრება. მეორე ნაწილი („იმედი“) ვენაში მცხოვრები, კათოლიკე მისიონერი-ქალბატონის ისტორიას აღწერს (ფილმი ნაჩვენები იყო ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე). ტრილოგიის მესამე ნაწილში („რწმენა“) კი, 13 წლის მორცხვი და ჭარბწონიანი მელანი სპეციალურ ბანაკში მიემგზავრება, სადაც ასაკოვანი ექიმის „მსხვერპლი“ ხდება.



„გლორია“ არაფრით გამორჩეული, მაგრამ კარგად გაპართული სიუჟეტით და ლირიკული იუმორით გამოირჩევა, რომლის შესახებაც სერიალებს დაჩვეულმა მაყურებელმა შეიძლება იფიქროს – აი, ესაა „ადამიანური კინო“, ან „ცხოვრებისეული კინო“. თუმცა, კრიტიკოსთა „ჯადომ“ და რეიტინგმა მაინც გაჭრა: მთავარი როლის შემსრულებელს, პაულინა გარსიას ფიურიმ „ვერცხლის დათვი“ მიანიჭა. ეს სულ მცირე, თავხედობას გავდა

ლი, რომელიც ზედმინეწით ჰარმონიული ან თემატური პროგრამით გამოირჩევა, არამედ ის, რომელიც თუნდაც ორი-სამი ფილმით ახერხებს ნამდვილ კინემატოგრაფთან დაახლოებას და „ნედლი“ შეგრძნებების გაღვივებას. ამ თვალსაზრისით ბერლინის ფესტივალმა თითო-ორილა ავთენტური მარგალიტი მაინც გამოიმეტა. ცნობილი ავსტრიელი რეჟისორის, ულრიხ ზაიდლის „სამოთხე, იმედი,“ ცხადია, სწორედ ასეთი კინოს ემანაცია იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად „რწმენა“ ტრილოგიის ყველაზე მსუბუქი და დახვეწილი ფილმია, ეგზისტენციური თვალსაზრისით ბევრად უფრო დრამატულია. ...სამწუხაროა, რომ ბერლინალემ (ისევე როგორც, თავის დროზე, კანმა) ულრიხ ზაიდლის ფილმი სათანოდ არ დააფასა, თუმცა მხოლოდ მის შემთხვევაში არ მომხდარა ასე. ბერლინალემ არც ბრუნო დიუმონის დახვეწილ და ასკეტურ არტ-ჰაუზს მია-

გო პატივი და ფილმს „კამილ კლოდელი, 1915“ პრიზი ვერ „გამოუქებნა“. ფილმი ცნობილი სკულპტორის, ნლეების განმავლობაში ოგიუსტ როდენის საყვარლის, კამილ კლოდელის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებულ დღეებზე მოგვითხრობს. დაკონკრეტებულია თარიღიც – 1915 წელი. ჟულიეტ ბინოშმა, რომელიც კამილ კლოდელს ასახიერებს, აშკარად მოახერხა ბოლო ნლეებში დამკვიდრებული სამსახიობო შტამების მსხვერვა. მიუხედავად ამისა, იზაბელ აჯანის მიერ განსახიერებულ კამილთან ბინოშის შედარება (ბრუნო ნიუტენის ფილმი „კამილ კლოდელი“ 1988 წელს აჩვენეს ბერლინის კინოფესტივალზე), ცხადია, გარდაუვალი აღმოჩნდა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ბინოში თავისი გაცრეცილი სახით და „გამო-

ფარდა“ (სცენარი „ვერცხლის დათვით“ აღინიშნა) იმ საშინელი სიტუაციის მეტაფორული გააზრებაა, რომელშიც რეჟისორ-დისიდენტს ცხოვრება უხდება. ჩამოშვებული შავი ფარდით სამყაროსგან თითქოს გამოყოფილი პერსონაჟები, მისტიკური სახლი და მასში მცხოვრები უცნაური ხელოვანი, მოულოდნელად გამოჩენილი ძალი და ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პოლიცია ეძებს – ეს ყველაფერი მეტაფიზიკურ კინემატოგრაფს უფრო ჰგავს; ან ადრეულ დევიდ ლინჩს გვახსენებს. ფინალში ფარდები ეშვება და ფანჯრის მინები იმსხვერვა, მაგრამ ეს იმედს მაინც არ გვიტოვებს. ბერლინაზე მაინცდამაინც, იმედიანად არც ჰოლივუდში კარგა ხნით გადასახლებული და ყოფილი „დამოუკიდებ-

მაღვეე უპირისპირდებიან ეკოლოგ აქტივისტს, რომელიც სინამდვილეში ასევე „გლობალის“ წარმომადგენელია. მოკლედ, გას ვან სენტმა ერთგვარი ეკოლოგიური ფილმი გადაიღო, კვანძის მოულოდნელი გახსნით. თუმცა პრესა მის მიმართ საკმაოდ კრიტიკული აღმოჩნდა. ბერლინაზე არც სტივენ სოდერბერგი დაინდო, რომელიც ასევე უპრიზოდ დარჩა. რეჟისორმა ერთგვარი „ფარმაკოლოგიური ტრილერი“ გადაიღო. ჯუდ ლოუ მოხერხებულ, გაიძვერა ექიმსა და ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენელს თამაშობს, რუნი მარა – სომნამბულურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს, რომელიც ე.წ. დასამშვიდებელი აბების მიღების შემდეგ წამალდამოკიდებული ხდება. თუმცა, ფინალ-



„კამილ კლოდელი, 1915“

შიგნული“ დრამატიზმით, კამილის როლში გაცილებით საინტერესოა. პარადოქსია, მაგრამ ირანელი რეჟისორის, ჯაფარ პანაჰის ბოლო ფილმი „ფარდაც“, რომელიც მან კამბოჯია პარტოვისთან ერთად გადაიღო (პანაჰის 20 წლის განმავლობაში აკრძალულია აქვს ფილმის გადაღება) სწორედ „კამილ კლოდელის“ თემას ეხმაურება – ხელოვანის შინაგან და აუცილებელ თავისუფლებას.

ბელი“ რეჟისორები გამოიყურებოდნენ. კანის „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი რეჟისორის, გას ვან სენტის „აღთქმული მინა“ გაზის მსხვილი კომპანიის თანამშრომლებზე მოგვითხრობს. ისინი ცდილობენ, პატარა ქალაქის მცხოვრებლები დაარწმუნონ – მინა სარფიანად გაყიდონ, რადგან მალე კომპანია „გლობალი“ ბუნებრივი გაზის მოპოვებას დაიწყებს. თუმცა ლობისტები (ამ როლებს მეთ დეიმონი და ფრენსის მაკდორმარტი ასრულებენ)

ში სოდერბერგმა, ჰიჩკოკის მსგავსად, პერსონაჟები ჯერ მასობრივ-საზოგადოებრივი, ხოლო შემდეგ, პიროვნულ-ეგზისტენციური სიგიჟის „ორმაგ სივრცეში“ მოაქცია. თუმცა, ჟიურის გულის მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალის უბრალოდ, აღმოსავლეთ ევროპული ფილმების წასახალისებლად „განირეს“.

ბრძელი, ღრუბლიანი და „ბადაჭედრილი“ დღეები

ნანა ექვთიმიშვილისა და ზაზა რუსაძის ფილმები ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ავტორი დავით ბუხრიკიძე



„ბრძელი ნათელი დღეები“

ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე, კერძოდ „პანორამას“ და „ფორუმის“ პროგრამებში ორი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის, ზაზა რუსაძისა და ნანა ექვთიმიშვილის ფილმები მონაწილეობდა. ორივესთვის გერმანია ნახევრად მშობლიური ქვეყანაა, რადგან კინოგანათლება ორივემ სწორედ გერმანიაში, კონრად ვოლფის სახელობის კინო-ტელე აკადემიაში მიიღეს.

„ჩემი საბნის ნაკეცი“ რეჟისორ ზაზა რუსაძის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ნამუშევარია, რომლითაც წელს ბერლინში „პანორამა“ გაიხსნა. ფილმის საპრემიერო ჩვენებას პრესტიჟულ „სინემაქსის“ დარბაზში თავად „პანორამას“ დირექტორი, ბატონი ვილანდ შპეკიც ესწრებოდა. ფესტივალის დღეებში ზაზა რუსაძის ფილმი ხუთჯერ უჩვენეს, თანაც სხვადასხვა დარბაზში, რისი პატივიც, მგონი, ოთარ იოსელიანსაც არ ღირსებია.


ზაზა რუსაძისა და ინეკე სმიტის სცენარით შექმნილი „ჩემი საბნის ნაკეცი“ ქართულ-ჰოლანდიურ-რუსული კოპროდუქციაა. ფილმი უც-

ნაური, ხელოვნურ-ჰერმეტიულ სამყაროში გამოკეტილი პერსონაჟებითაა დასახლებული, რომლებიც საბჭოთა ინტელიგენციის „ნაკეცებსაც“ მოგაგონებენ. მათ დიდი და პათეტიკური წარსულით დამძიმებული ქართველი მსახიობები თამაშობენ: თეატრალურობით გამორჩეული ავთანდილ მახარაძე (რომელიც დაბერებულ აბელ არავიძეს მოგაგონებთ „მონანიებიდან“); შეკუმშული ზამბარასავით მუდამ დაჭიმული ზურა ყიფშიძე; საბჭოთა ინფანტილურ-კეთილშობილი ინტელიგენტივით დაბნეული მარინა ჯანაშია (რომელსაც რატომღაც თან სდევს საოპერო არიები); ორ-სამ ეპიზოდში „მოხვედრილი“, მაგრამ მაინც თავგანწირული გიორგი ნაკაშიძე; ოდნავ დაბნეული დარეჯან ხარშილაძე (რომელიც, თავისთავად, ცუდი კინოსახიობი არ არის, მაგრამ ფილმში რა გააკეთოს, არ იცის)... და ორი ახალგაზრდა მთავარი გმირი, ორი თორნიკე – ბზიავა და გოგრიჭიანი. პირველს მთავარი როლი აქვს, „სისტემას“ ემსახურება, მაგრამ მთამსველობითაა გატაცებული, მეორეს გაცილებით მომგებიანი კინოგარეგნობა აქვს, მაგრამ

უიღბლო ლოტოს თამაშობს, რომელსაც ფინალში სავარაუდოდ, „სისტემა“ შეინირავს.

ფილმში არ არის დაკონკრეტებული დრო. თვალშისაცემია ვიზუალური მხარე – ცოტალიტარული სისტემის არქიტექტურით, საბჭოთა დროის ლაბირინთებით და ინტერიერებით. იმასაც ხვდებით, რომ რეჟისორს ბევრი კარგი ფილმი უნახავს – რენე, გოდარი, ანტონიონი, ფერერი... ზაზა რუსაძის ფილმს, დახვეწილი ზოგადაკულტურული კონტექსტის მიუხედავად, აშკარად აკლია ვენება, ენერჯია და სოცოცხლისუნარიანობა. ბოლომდე გაუგებარი რჩება მთავარი გმირების ურთიერთობა თუ ლტოლვა. მოკლედ, „საბანი“ ოდნავ მოკლე ჩანს, ხოლო „ნაკეცი“ – უსწორმასწორო.

ნანა ექვთიმიშვილის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ კი, რომელიც მან სიმონ გროსთან ერთად გადაიღო, „ფორუმის“ პროგრამაში მონაწილეობდა. ეს რეჟისორის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ბერლინის არტ-ჰაუზის კინოთეატრების საერთაშორისო გაერთიანების პრიზით დააჯილდოვეს, რაც „ფორუმის“





ფანტაზია სისოცხლის გადასარჩენად – გივი მარბველაშვილთან „მეყურებელთა დარბაზებში“

ავტორი მარიკა ლაფური
ფოტო ლევან ხერხეულიძე

გერმანიაში დაბადებული, გერმანულენოვანი მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე, თავის ყველა ფილოსოფიურ თუ მხატვრულ თხზულებებში, გამოსავალს რეალური სამყაროს უსამართლობებისაგან ეძებს, ეხება სამყაროს სიღმისეული ალქმის საკითხებს და გვთავაზობს ორიგინალურ ალტერნატივებს, რომლებიც კაცობრიობის ჰუმანური იდეების ტრადიციებიდანაა გამომდინარე.

ავტორის ენა გერმანულია. ეს მისი უჩვეულო ბიოგრაფიის ერთ-ერთი ატრიბუტი და თავისებური დილემაცაა.

მისი ცხოვრება უჩვეულოდ განვითარდა. მეორე სამამულო ომის შემდეგ დახვრიტეს მამამისი, ფილოსოფოსი ტიტე მარგველაშვილი, ახალგაზრდა გივი საქსენჰაუზენის საკოცენტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც ორი წლის შემდეგ საქართველოში გადასახლეს. საქართველოში ყოფნისას გივი მარგველაშვილმა წერა გერმანულ ენაზე დაიწყო, რაც მისი წარსულის ერთადერთი რეალური დადასტურება აღმოჩნდა. ამ პერიოდში შექმნა მან ფუნდამენტური ფილოსოფიური თხზულებები. 1990-იანი წლებიდან კი ისევ გერმანიაში დაბრუნდა. ამ პერიოდში გივი მარგველაშვილის ნაწარმოებები გერმანიის ყველა სერიოზულმა გამომცემელმა გამოსცა. მისი შემოქმედება მრავალჯერაა ნომინირებული, მათ შორის 2006 წელს დაჯილდოვდა გოეთეს პრემიით, 2008 წელს კი გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, ჯვრის ორდენი გადაეცა.

14 დეკემბერს გივი მარგველაშვილს 85 წელი შეუსრულდა. საქართველოში მცხოვრებ მწერალსა და ფილოსოფოსს დაბადების დღე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოახიმ გაუქმა მიულოცა. 1 თებერვალს გოეთეს ინსტიტუტის ინიციატივით და DVV-International-ის კავკასიისა და თურქეთის რეგიონალური განყოფილების ხელშეწყობით გივი მარგველაშვილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც

გამოცხადდა ავტორის სახელობის ახალი ქართულ-გერმანული პრემიის დაარსების შესახებ. იმავე დღეს შედგა მარია ლაფაურისა და ნიკო ტარიელაშვილის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „მაყურებელთა დარბაზების“ პრემიერაც.

გივი მარგველაშვილმა „მაყურებელთა დარბაზები“ 1980-იან წლებში დაწერა. პიესის გმირი, მეფე, ხვდება, რომ ის და ყველანი მის გარშემო თეატრალურ სამყაროში არსებობენ, სადაც ომი, კვლავ და კვლავ განმეორებადი სასაკლაო, მაყურებელთა გასართობად იმართება. მან ეს არამარტო თეორიულად იცის, არამედ აღმოაჩინა გამჭირვალე კედელი, საიდანაც მაყურებლები მის სამყაროში იმზირებიან. მეფე გადაწყვეტს, ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ამ სამკვდრო-სასიცოცხლო სცენებს. თუ მაყურებლებს აღარფერი დარჩებათ სეირის საყურებლად, მაშინ დამთავრდება კიდეც ეს სისხლიანი ისტორიები. თუმცა იმისათვის, რომ მეფემ მიზანს მიაღწიოს, იძულებულია, ბრძოლა გამოუცხადოს მათ, ვინც ამ შეხედულებებს არ იზიარებს. ეს „ბოლო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ პიესის მანძილზე გამჭირვალე კედლის წინ, მაყურებელთა თვალწინ იმართება. რალა თქმა უნდა, მეფე ლაღატიტ მარცხდება. კვდება მისი ერთ-ერთი მონინააღმდეგეც, რომელიც ბოლო ამოსუნთქვის წინ გამჭვირვალე კედლის მეორე მხარეს, მაყურებელთა დარბაზში ვარდება.

პიესა „მაყურებელთა დარბაზები“ ფილოსოფიური ზღაპარია, რითაც ავტორი კიდე უფრო სცილდება სივრცობრივ ობიექტივიზაციას და ტექსტუალური სამყაროს სტრუქტურის გამაფრებით ცდილობს რეალური სამყაროს ისტორიული მსვლელობის შეცვლას. მარგველაშვილთან ადამიანები პირველ რიგში „ნიგნის პერსონაჟები“ არიან და მხოლოდ ამის შემდეგ – „რეალური არსებანი“. ადამიანის სულიერი ცხოვრება ნიგნებით, ტექსტებით არის განსაზღვრული.

რუსი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ჰუმანსტი ვასილ ნალიმოვი თავის ნიგნში „Спонтанность сознания“

წერს: „...ცდილობთ, ვაჩვენოთ რომ ადამიანით, მის სამყაროში ყოფნით ცხადდება საზრისი. საზრისი იხსნება ყოველთვის ტექსტების საშუალებით. ადამიანი ჩვენთვის ტექსტია, უფრო ზუსტად ტექსტების მრავალფეროვნება, რომლის გრამატიკა და სემანტიკა გვსურს, მოვიცვათ შესაძლო ერთიანი ხედვის გავლით.“

მარგველაშვილი ადამიანების კონტექსტუალური ცნობიერების გაღრმავებით ეძებს „ათემატურობას“, რომელიც ისტორიისაგან გაგვათავისუფლებს. მარგველაშვილის მიხედვით, მსოფლიო კულტურა „ნიგნის-მიერი განზომილებაა“ და ადამიანმა „პოლი-ონტო-თემატური“ ცხოვრების წესითა და ცნობიერებით, უნდა შეძლოს „ეკოლოგიურად მოაზროვნე პარლამენტარიზმის“ შექმნა.

მრავალფეროვანი კულტურული ფენომენების სინტაქსის უგულველყოფა, გივი მარგველაშვილის პიესის ერთ-ერთი ეპიზოდური პერსონაჟის, დორნროზეს დაბნეული და უშუალო შეკითხვით არის გამოხატული: „თქვენ! თქვენ... თუკი ადამიანები ხართ, რატომ არ შემოხვალთ სცენაზე საშველად! ნუთუ, გული არ გაგაჩნიათ? ნუთუ, შეგიძლიათ, ასე მშვიდად უყუროთ მკვლევობას!“

გივი მარგველაშვილი ჩვენი საუბრის მსვლელობისას სწორედ დორნროზეს ამ რეპლიკაზე ამახვილებს ყურადღებას: „დაიხ, დორნროზე მოისაკლისებს ერთობას, სხვის მიმართ თანაგრძობას. გრძობებით განცდილი ურთიერთგაგება ერთადერთი ხსნაა იქ, სადაც დრაკონებს ერთმანეთის გადასანსვლა სურთ.“

ბატონო გივი, მთელი თქვენი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებში, სხვათა ლიტერატურულ ნაწარმოებებში მოძებნოთ ის მომენტები, სადაც შესაძლებელია ისტორიის შემობრუნება, პოულობთ ისტორიული მსვლელობისათვის გადამწყვეტ მომენტებს და თქვენი ტექსტებით ერევით მასში, ახდენთ კორექტირებას და ცდილობთ მის გამოსწორებას, მის ჰარმონიამდე სრულყოფას. თუმცა ვერასოდეს

ვერ ვხედავთ ამ სრულყოფას, რადგან გმირების მოქმედების გასაგრძელებლად საჭიროა მკითხველი, რომელიც მაშინ ეცლება ხელიდან ამ ისტორიას, როდესაც წიგნს ხურავს და კითხვას აღარ აგრძელებს. თქვენი გმირი ველარ „მოქმედებს“. ეს ლალი და სახალისო იდეა საინტერესოა მკითხველისათვის, რომელიც ამ მოქმედების აქტიური მონაწილე ხდება. მართლაც, არსებობს რაიმე მომენტი, როდესაც ჩვენ გვაქვს ისტორიის შესწორების შესაძლებლობა?

სახალისოა და ამავე დროს, ტრაგიკული... ეს ლამაზი იდეაა, თუმცა „დუბლიკატი“. რეალობა მაინც სხვა არის. რეალობა ქმნის სასტიკ წინააღმდეგობებს, რომლებიც ვერ ერთიანდებიან, ისინი დაპირისპირებული დგანან და მათ არ, ან ცოტა თუ ეს-მით ერთმანეთის.

იმის თქმა მსურს, რომ რეალური ადამიანი და წიგნის პერსონაჟი ერთი და იგივეა. რეალური ადამიანი, როგორც ორგანიზმი, უფრო მეტადაა „წიგნის-ადამიანი“, ვიდრე ის რეალურია. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი თემებს მიჰყვება, ის თემებით ცოცხლობს. წიგნის პერსონაჟები მხოლოდ თემებით არსებობენ. ის იქ ცხოვრობს, იქაა დაბადებული, სადაც ის დაწერილია. ადამიანიც ზუსტად ასეა. ადამიანი თემატური არსებაა. მე კი „წიგნის-ადამიანების“ (Buchpersonen) გათავისუფლება მინდა! მათ აქვთ თავისი ცხოვრება, სურვილები. მათ მეტი არათემატურობა სურთ. ისინი ზუსტად რეალური-ადამიანებით (Realpersonen) არიან, რომლებიც რეალურ პრობლემებთან ჭიდილში არიან და ყველანი თემები (Themata) არიან.

რა იქნებოდა ადამიანის ის „ისტორიულობის მიღმა“ ცნობიერება, რომლითაც შევძლებდით ჩვენს ცხოვრებასთან გამკლავებას? ყველას ხომ ვერ მოვთხოვთ დორნროზესნაირი ბავშვური სისადავით გაიაროს და იცხოვროს რეალობებს შორის? ადამიანები ხომ სულ ისტორიებში არიან გახლართულნი?

დარჩი შენს წარმოდგენებში, მა-

გრამ მოახერხე ისე, რომ სხვამ განვითარება შეძლოს, არ შეუშალოთ ერთმანეთს, იქნებ ერთმანეთით გამოთლიანება შესაძლებელია? ეს (მთლიანობა) არის სამყარო. ქვეყანა მართლაც მაყურებელთა დარბაზია, ადამიანები მხოლოდ მომხდარს შესცქერავენ.

თქვენი პიესა, „მაყურებელთა დარბაზები“ ძლიერი ინსპირაციაა საკუთარი თავისთვის შეკითხვის დასასმელად. ჩვენ ადამიანების ცნობიერების იმ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, როდესაც ისტორიულობასთან გამკლავ-

ახსოვს უნდა მოითხოვო, ბაღარჩენის გზა შუალედურშია. ყველასთან უნდა მოხერხდეს თანამშრომლობა. მთელი ხელოვნება სწორად სინთეზია და დაკავშირება. ისე, როგორც ამას რეჟისორი აკეთებს, ან დირიჟორი, როდესაც რთულ მუსიკას დირიჟორობს.

ვება შესაძლებელია, თუმცა ცალკეულ ადამიანებს არ ძალუძთ ისტორიის მსვლელობის შეცვლა.

მსოფლიო იღუპება ეკოლოგიურად. სხვადასხვა კონფერენციებზე ამბობენ, რომ გამონაბოლქვი უნდა შეიზღუდოს და სხვა, მაგრამ ფაქტობრივად არაფერი იცვლება. მთელი მსოფლიო ერთ დიდ ნაგვის გროვად იქცა, საშინელებაა ამის ყურება! მე ასე ვიფიქრე: ქრისტიანობა ხომ ზეიმობს შობის დღესასწაულს, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიან.

ჩუქება ადამიანის ბუნებაში დევს. ყველა ჩუქნის რალაცას სხვას. შობის დღესასწაულიც აჩვენებს, რომ ჩუქების სურვილი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. თუკი ჩუქების საჭიროება ადამიანებისთვის სწორედ იქნება მიწოდებული, მაშინ კლიმატის ასეთ კონფერენციებზე გვჭირდება ვინმე, ვინც აჩუქებს, გაიღებს თანხას ალტერნატივის გაჩენისთვის. დედამიწის გადარჩენისთვის საჭიროა ამ ყველაფრის ერთგვარი დასასრული. ამ მჩუქენელს სხვებმაც უნდა მიბაძონ, ჩუქება უნდა გაგრძელდეს. საკმარისი ადამიანები არსებობენ დედამიწაზე, ვისაც ეს ხელეწიფებათ. აუცილებელია ეკოლოგიური საშინელების შეჩერება. მსოფლიო შეიძლება ალაფრთოვანო ჩუქების ასეთი აქტივით. ჩვენ გვჭირდება ეკოლოგიური საშობაო ზეიმი! ადამიანებმა უნდა გაიგონ ამ შესაძლებლობის არსებობის შესახებ რადგანაც, ვიმეორებ, ჩუქება ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა.

ჩვენ, ჩემი აზრით, მშვენიერება სურათებად და ობიექტებად ვაქციეთ და მას ვათვალისწინებთ მხოლოდ. იქნებ მართლაც ისე მოხდა, რომ მშვენიერების განცდა ნაკლებად აქვთ ადამიანებს. და თუ ადამიანს ამის განცდა არ შეუძლია, მას, ალბათ, არც ჩუქება შეუძლია. „ეკოლოგიური საჩუქარი“ მხოლოდ პრაგმატული ხომ ვერ იქნება?

მშვენიერება იდეალურია. ადამიანი არაა მშვენიერი, თუ საზომად მშვენიერებას ავიღებთ. იდეალი არსებობს, მაგრამ ის შორსაა. ადამიანი არ ზრუნავს იდეალზე. ის ნელია, ახასიათებს გარკვეული უზრუნველობა. ადრე ეს ასე არ იყო. ძველ ბერძნებს უყვარდათ მშვენიერება, სჯეროდათ მასთან მიახლოების შესაძლებლობისა. დღეს ვინლა საუბრობს იდეალზე? ერთხელ ერთი ბალერონი ვნახე საოპერო თეატრის სცენაზე. იდეალურად მშვენიერი იყო. არაფერს აკეთებდა, მხოლოდ მიდიოდა! ეს ისეთი საოცრება იყო, რომელიც გიტოვებს საშინელი დისტანციის შეგრძნებას, რომელიც შენ თავად გაგაჩნია იდეალთან მიმართებაში. ადამიანი მხო-

ლოდ წუხს, რომ თავად ასეთად ქცევა არ შეუძლია. ის აღიარებს, რომ მას ამ მანძილის დაძლევა არ შეუძლია და „ბედნიერია ის, რომელიც ივინყებს იმას, რისი გაკეთებაც მას არ შეუძლია“ (ციტატა იოჰან შტრაუსის ოპერეტიდან „ლამურა“ – მ. ლაფაური) და ამიტომაც ამბობს, ეშმაკსაც წაუღია ეს იდეალი!

„მაყურებელთა დარბაზების“ პერსონაჟებს რომ მივუბრუნდეთ, მეფე იქ უტოპისტია, რომელსაც იდეალი გააჩნია და ამის მისაღწევად ის ძალის გამოყენებას ცდილობს.

ეს შეცდომაა. იდეალის მიღწევა უნდა გაინტერესებდეს, მაგრამ ძალისმიერი მეთოდებით ეს არასოდეს არ უნდა გააკეთო.

მარიკა ლაფაური: თქვენ ერთ თქვენს ლირიკულ ლექსში „უ-ტოპია“ ამბობთ, რომ ადამიანი, აი, ამ „უ“-ს გარშემო უნდა მოძრაობდეს და „ტოპოსს“ (ადგილს) ხედავდეს რათა, როგორც თქვენ ამბობთ, „არ გადაიქცეს უდაბნოს მაგვარ, არამაჟამიერ სასიცოცხლო სივრცედ“. მეფის შეცდომა არღვევს ამ სქემას?

გივი მარგველაშვილი: მეფე მთლიანად ამ „უ“-ს გარშემოა, ის მომავალზე კონცენტრირებული. ამგვარად მომავალი უარყოფილია. ეს არის შეცდომა. მაშინ ილუპავ თავსაც და ანადგურებ მთელ შენს იდეოლოგიასაც, როდესაც ის, რისი გამოსწორებაც გინდოდა, გაზიარებული არაა და თავად ჯალათი ხდები.

გამოდის, რომ ფრანგული რევოლუცია გრძელდება?

ფრანგული რევოლუცია, ის ყველაფერი რაც მოხდა, საშინელებაა. მათ საკუთარი მეფე მოკლეს. ბოლშევიკებმაც იგივე გაიმეორეს. ამ ყველაფერს ბოლო არ აქვს. განხორციელებული ცვლილებები სინამდვილეში იგივეა, რაც მანამდე არსებობდა. თანამედროვეთა შორის, მაგალითად გერმანიაში, სადაც ასევე იყო ფრანგული რევოლუციის მხარდაჭერა და სულისკვეთება, არსებობდა ერთი გამოწვევის – გოეთე! შესანიშნავი ადამიანი იყო!

თქვენ ხაზს უსვამთ, რომ მატერიალური სამყარო დაწერილი სიტყვით იწყება, სადაც კომუნიკაცია ეგზისტენციალურ მნიშვნელობას იძენს“. შეგიძლია, ვთქვათ, რომ არსებობს რაიმე შემაკავშირებელი საშუალება, რომლის მოძებნაც შეიძლება?

ერთიანობა და მშვიდობიანი მსჯელობა! განსხვავებული თემები ისე უნდა დალაგდეს, რომ ერთ თემად იქცეს. საქმე კონტექსტშია, არა მარტო სიტყვაში, არამედ კონტექსტში!

ადამიანის თემა ამ კონტექსტში ხომ მუდამ იცვლება?

ხომ არსებობს მარადიული თემები. ადამიანს იმიტომ შეუძლია რაიმე თემით აღფრთოვანება და ასევე მისი უანგარო ერთგულებაც, რომ ის თავის საფუძველში პოლითემატურია. ადამიანი თემატურად უსაზღვროა, ის პოლითემატურად უნდა არსებობდეს და არ უნდა მოექცეს მონოთემატურებაში. მონოთემატურობა ცხოველურია და თუ ის კონსეკვენტურად განხორციელდება, საშინელებაა. ისტორია თავისი მონოთემატურობით აუტანელი გახდა. ადამიანის პოლითემატურობიდან გამომდინარე გახდა შესაძლებელი დემოკრატიის გამარჯვება, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ მოვდივართ „მონო“-დან. მონოთემატური ნაწილია ის, სადაც ჩვენ ისტორიულად ჩამოვყალიბდით.

თუმცა დღევანდლობა საკმაოდ მონოთემატურად გამოიყურება. დემოკრატიის მიუხედავად, ყველას თავი ინდივიდუალისტად უფრო წარმოუდგენია, ვიდრე რაიმე თემად და კონტექსტის მონაწილედ.

იდეალისტობა კარგია, მაგრამ მატერიალური მხარე არ უნდა დაგვაგინყდეს. ეს ძალიან ძლიერი ფაქტორია და გულახდილად უნდა ვალიაოთ მისი არსებობა. მატერიალიზმი გაცხადებული საჭიროებაა, მაგრამ იდეალიზმი და მატერიალიზმი ერთი მთლიანობის ორი მხარეა, ორივე ერთმანეთს უნდა ეხმარებოდეს.

მაგრამ ის დისბალანსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და-

მყარდა, პოსტმოდერნული აზროვნების განვითარებისათვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა. რა არის თქვენთვის პოსტმოდერნი?

პოსტმოდერნი ერთმანეთთან აკავშირებს, საპირისპიროს უყრის ერთად თავს, აღარ არსებობს წინააღმდეგობა, ყველა კარი ღიაა. ეს არის პოსტმოდერნი.

მაგრამ ამ, პოსტმოდერნული აზროვნებით რომ არ ვცხოვრობთ?

ეს საზრისია, რომელიც ცხოვრებას საფუძვლად უდევს, მაგრამ ჩვენ მას არ მივყვებით, რადგან ჩვენ მაინც ამ მონოთემატურობას ვართ მიწებებულნი და ვერ ვთავისუფლდებით. ავიღოთ გერმანია, – იქ უცხოელი ხარ, რადგან სხვა გვარი გაქვს, ირიბად შემოგცქერიან, არ გაქვს იგივე შანსები, რაც სხვას. თვით დემოკრატიაშიც კი ასეა დღეს. არსებობენ ცალკეული ხელოვანები, ვისაც ეს მელოდია ესმის და მღერის, ვინც ასე ცხოვრობს, მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. დანარჩენები – უმრავლესობა კვლავ თავის წვენი იხარშებიან.

მუსიკის გამო დამინტერესა ბაროკოს ეპოქამ. უცნაური პერიოდი, თავისი საშინელი, ხანგრძლივი ომებით, შავი ჭირით, ინკვიზიციით. მეორე მხრივ, მეცნიერებების აღმავლობა და მთელი რიგი დღემდე რელევანტური აღმოჩენები – მუსიკაში ოპერის, ინსტრუმენტების განვითარება, სერვანტესი თუ მოლიერი, პირველი ლიტერატურული საზოგადოებების ჩამოყალიბება და სხვა, ამ ეპოქაში ხდება. თითქოს დღევანდლობასთან გარკვეული მსგავსებები არსებობს, მაგრამ ერთი არსებითი განსხვავებაცაა. თუ იოჰან კეპლერს მოვიყვანთ მაგალითად, ვიტყვით, რომ მაშინდელი სწავლულის წარმოდგენა სამყაროზე უფრო გამთლიანებული იყო. რატომ ვერ შევინარჩუნეთ აზროვნების ეს მთლიანობა?

ყველაფრის ქონა შეგიძლია თუ ფანტაზია გაგაჩნია, ყველაფრის შეძლება კი შეუძლებელია. ფანტაზიის წინააღმდეგ, სწორედ მის საპირისპიროდ ჩამოყალიბდა ზუსტი მეცნიერებები.

ზუსტმა მეცნიერებებმა სინამდვილეში დეტალები უნდა გამოიკვლიოს, მთლიანობის ცალკეული ნაწილები. ცალკე ერთეული თავის თავში იგივე უნივერსუმი. ინფორმაცია, რომელსაც სპეციალისტების საშუალებით იღებ, ალგორითმებს. დეტალების კვლევის სიზუსტის საჭიროება, – ამ მონოთემატურად დაინტერესებული მეცნიერებისა, მოითხოვს კონკრეტული საკითხების საფუძვლების ძიებას, რომლებიც ასევე კონკრეტულია. მაგრამ ამასობაში სამყაროს ხატი დავინყებულა. ასე მოიკიდეს ზუსტმა მეცნიერებებმა ყველგან ფეხი და ვიღას ახსოვს ფილოსოფია!

დეტალების დაზუსტებით შემოფარგლული ცოდნა, როგორც ჩანს წარმოსახვის ნიჭს აუფერულებს – თვით ფანტაზია განხდა უფანტაზიო. ადამიანები ვერ პოულობენ თემებს თქვენ მიერ ნახსენები კონტექსტისათვის.

უცნაურია, მაგრამ შემდეგი იქნებოდა სწორედ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. ეს მთელ მსოფლიოში უნდა მოხდეს. ადამიანებმა გვერდით უნდა გადადონ წინასწარი შეფასებები, გადალაზონ საზღვრები, იდეოლოგიური და სხვა. უნდა სცადონ ერთმანეთთან საუბარი და პრობლემების მოგვარება. მაგრამ ამ დამოკიდებულებისაგან ძალიან შორს ვართ! არსებობენ ერთმანეთთან დაპირისპირებული სკოლები, რომლებსაც ერთმანეთისაგან არაფრის გაგონება არ სურთ. პოლიტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! აბსოლუტური არ უნდა მოითხოვო, გადარჩენის გზა შუალედურშია. უღირსი ადამიანები შენს გუნდში ყოველთვის აღმოჩნდებიან. ყველასთან უნდა მოხერხდეს თანამშრომლობა. მთელი ხელოვნება სწორედ სინთეზია და დაკავშირება. ისე, როგორც ამას რეჟისორი აკეთებს, ან დირიჟორი, როდესაც რთულ მუსიკას დირიჟორობს.

მუსიკაში ეს პროცესი თვალნათელია. თუ არ უღერს დისონანსი, არ იქნება კონსონანსი. ჰარმონიას ორივე ქმნის. თუ არ გაქვს წარმოდგენა თემაზე, მის დროში განვითარებაზე, ამ მსვლელობაში ფორმის ჩამოყალიბებაზე, მაშინ

მუსიკალური ნაწარმოები არ შეიქმნება. მე, როგორც მუსიკის მასწავლებელს, მაინც მაქვს ამბიცია და იმედი, რომ სწორი და სიღრმისეული პედაგოგიკით ბევრი რამის მიღწევა შესაძლებელი.

პედაგოგიკა ერთ-ერთი მომენტი. ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, იძლევა პესიმიზმის საფუძველს, მაგრამ პესიმიზმის ადგილი არ უნდა იყოს! უკვე ვთქვი, გამოსავლი შუალედურის მოძებნაა და არა გადაჭარბება! იგივეს ამბობდნენ ძველი ბერძნებიც. ყველაფერი უკვე ნათქვამია. მე მხოლოდ ვიმეორებ. თუ არ გადაამეტებ, მაშინ გამთლიანება უფრო ადვილია. ეს

ადამიანს იმიტომ შეუძლია რაიმე თემით აღფრთოვანება და ასევე მისი უანბარო ერთგულებას, რომ ის თავის საფუძველში კოლითემატურია. ადამიანი თემატურად უსაზღვროა, ის კოლითემატურად უნდა არსებობდეს და არ უნდა მოექცას მონოთემატურობაში.

არის გზა იმ სიმტკიცისკენ, რომელიც დაშლას გადაურჩება. ეს უნდა ასწავლო ადამიანებს, – არ გადაჭარბება!

ჩვენ ბაროკო ვახსენეთ, გოეთე. ყველაზე გვიან სწორედ ამ დროიდან გაიყო საბოლოოდ ერთმანეთისგან აღმოსავლური და დასავლური მსოფლმხედველობა. აღმოსავლურში მაინც შემორჩენილია „სიცარიელის“ არსებობის ტრადიცია, მაშინ როდესაც დასავლურ აზროვნებაში „ყველა ადგილი“ დაკავებულია. აღმოსავლურისა და დასავლურის ეს დაპირისპირება უკიდურესად არაბუნებრივ მდგომარეობამდგა მისული.

აღმოსავლეთი იდეალთან უფრო ახლოს დარჩა, მიუხედავად ყველა უკუღმართობისა, რაც იქ მოხდა. თუ ისლამურ კულტურებს გადავხედავთ, მაგალითად, ქალის მდგომარეობა საშინელია. აღმოსავლეთშიც ვერ ვნახულობთ იმას, რასაც შენ გულისხმობ. დასავლეთის არსებული თავისუფლებაც პირობითია. ის მხოლოდ იმისგანაა თავისუფალი, რაც აღმოსავლეთში მარწუხებშია მოქცეული.

თქვენი ცხოვრება მონოთემატურობაში იყო გამომწყვდეული – ჯერ საქართველოში, შემდეგ ისევ გერმანიაში. რა განსხვავება იყო ამ ორ „გამომწყვდევას“ შორის?

მე წინააღმდეგი ვარ მთელი ამ ისტორიისა. მე ვათავისუფლებ გმირებს და ამით საკუთარ თავს. 1992 წლიდან 2012 წლამდე უკვე მეორედ ვცხოვრობდი გერმანიაში. 20 წელი!

ე.ი. ცხოვრება საკუთარი თემის პოვნას და მის გაღრმავებას უნდა მოანდომო. ისტორიულობა, სადაც ჩვენ შეგრძნებები და საზრისი ყალიბდება. ჩვენ საკუთარ თემაზეც და ისტორიის მსვლელობაზეც პასუხისმეგებლნი ვართ.

რა თქმა უნდა, იპოვე საკუთარი თემა! ეს არის სწორედ პრობლემა! ჩვენ ყველაფერზე ვართ პასუხისმგებელნი, განსაკუთრებით საკუთარ თემაზე.

P.S.: ერთხელ, ჩემს თხოვნაზე, გამოეგზავნა რაიმე მოკლე ტექსტი „მაყურებელთა დარბაზების“ შესახებ, გივი მარგველაშვილმა რამდენიმე წინადადება მოიწერა და მათ შორის ეს ფრაზაც: „Let’s come together! Right now! In sweet harmony! Let’s come together“. გივი მარგველაშვილი, ჰუმანურობის ფილოსოფიურ ტრადიციას ეყრდნობა, ფორმითაც და შინაარსითაც, ორიგინალურად და ახლებურად, უაღრესად დახვეწილი, კომპლექსური ენით გვთავაზობს მრავალშრიან მხატვრულ ნაწარმოებებს და „ბიბლიო-ბიოლოგიური“, პლანეტარულად მოაზროვნე მკითხველის აღმოჩენის იმედს გვინერგავს.

ექსპერიმენტი ნიკა ფასური

ავტორი სალომე აფხაზიშვილი



პირველად ნიკა ფასურის კომპოზიციებს სამეფო უბნის თეატრში, ნიკა თავაძის სპექტაკლ „სტრიპტიზში“ მოუფსმინე. სპექტაკლის ბუნდოვანმა და აბსურდის ელემენტებით გაჯერებულმა შესავალმა ჩემზე რომ ასე ძალიან იმოქმედა, სწორედ ნიკას ნაწარმოების ბრალი იყო – მისტიკური ხმების და სიჩუმის მუსიკის, რომელიც რაღაც მნიშვნელოვანისთვის გამზადებს, გადაბავს...

ნიკას სახელსა და გვარს, სპექტაკლის ნახვამდე, ქუჩებში გამოკრულ აფიშებზე, თითქმის ყოველდღე ვამჩნევდი, მაგრამ „სტრიპტიზის“ მერე უკვე საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, დამენერა ნიკაზე.

წერის დაწყებამდე ნიკას გამოგზავნილ კომპოზიციებს ვუსმენ – ბელა ბარტოკი, ალბან ბერგი, პიერ ბულეზი, პიტერ ჯილბერტი, ბახი, შონბერგი, ბრამსი, ანტონ ვებერნი და იგორ სტრავინსკი – აქ თანამედროვე, ექსპერიმენტული და კლასიკური მუსიკის ყველა მნიშვნელოვანი ბგერაა თავმოყრილი. ეს ბგერები 22 წლის კომპოზიტორის, სიტყვაძუნნი და ოდნავ ფრთხილი ნიკა ფასურის ამოსახსნელად მჭირდება, რადგან „აქვს მას დაფარული მხარეები, რომელთაც არავისთან ავლენს, მაგრამ მუსიკის ენით ბევრი რამ თავისთავად ვლინდება“, – მეუბნება ნიკას დაც.

ნიკა სამეფო უბნის თეატრის კომპოზიტორია. დაწერილი აქვს ოცამდე მუსიკალური კომპოზიცია – მინიპიესა, საფორტეპიანო და საორკესტრო ნაწარმოები და ორიგინალური მუსიკა ათამდე სპექტაკლისთვის.

ორი წლის წინ კი თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, სწავლობდა ჰუმინატარულ-სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და ეკონომიკის მართვას და მუსიკას მხოლოდ გატაცებად თვლიდა, რომელიც აინტერესებს, რომელსაც იკვლევს. ერთხელ უთხრეს, რომ დის, ლეკა ფასურის მეგობარი, ნინო ჩაკვეტაძე სპექტაკლს დგამდა სამეფო უბნის თეატრში – ბრიტანელი დრამატურგის, პენელოპ სკინერის „ბრმა ფერის“ მიხედვით; და ეს საქმე ნიკას შესთავაზეს – შენ ხომ წერ რაღაცებს, იქნებ გამოვიდესო.

ნიკამ „ბრმა ფერის“ ხმის დიზაინზე იმუშავა და ორიგინალური კომპოზიციები დაწერა. ასე შედგა მისი თეატრალური პრემიერა, რის შემდეგაც მუსიკით სამეფო უბნის თეატრის სხვა სპექტაკლებიც გააფორმა. „მიაუ“ (ერთჯერადი დადგმა, რომელიც ფესტივალ „არდიფესტის“ ფარგლებში გაიმართა), „კაცელმახერი“, „საპნის ოპუსი“, „ქუსლები ჭერში“, „ფრეკენ უული“ – ამ და კიდევ რამდენიმე სხვა დადგმას სწორედ ნიკას მუსიკა ახლავს.

ოთახი-კვადრატი

რომ არა ეს კვადრატის ფორმის, ერთი ციკცნა ოთახი – მკრ-თალი განათებით, ძველი, ყავისფერი ფორტეპიანოთი, ჩალით გაფორმებული კარადით, შონბერგის, მოცარტის, ბახის პარტიტურებით და მუსიკალური თეორიის სახელმძღვანელოებით დახუნძლული თაროებით; რომ არა ეს სახლი და მისი ბინადრები – დედა, მამა, და და ბებია, ნიკა ფიქრობს, რომ მუსიკა ასე ძალიან არ ეყვარებოდა. სახლი არაფორმალური მუსიკალური განათლების სტუდიას ჰგავდა. ერთი საათიც არ გადიოდა ისე, რომ რაიმე კომპოზიცია არ ყოფილიყო ჩართული. მშობლებს განსაკუთრებით უყვარდათ ჯაზ-როკი და ძილის წინ, და-ძმას ბაბინებზე ჩანერილ მუსიკას ასმენინებდნენ. თუმცა, ნიკას ყველაზე მძლავრ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს შორის, ბაბუასთან ერთად სახლში, პირველად მოსმენილი გუსტავ მალერის მეხუთე სიმფონია ახსოვს.

„ბიჭი გუნდში უნდა მღეროდეს“, – დაჟინებით იმეორებდა ბებია, მომღერალი ნაზი ღუმბაძე, ვიდრე ნიკა მუსიკალურ სასწავლებელში არ მიიბარეს. 7 წლიდან ნიკამ რამდენიმე მუსიკალური სკოლა გამოიცვალა, რადგან პირველი შეხება მუსიკასთან საკმაოდ არასასიამოვნო იყო. ფორტეპიანოს პედაგოგი მხოლოდ დაკვრას ასწავლიდა და არა მუსიკით შთაგონებას, „თუნდაც ბგერებით ფერების წარმოდგენას“... ამ მოსაწყენი და მონოტონური მიდგომის გამო, ნიკა ორ პედაგოგს გამოექცა.

მაშინ კონსერვატორიაზე არც ფიქრობდა. მუსიკა მართალია, მნიშვნელოვან და ბევრის მომცველ, მაგრამ მაინც გატაცებად რჩებოდა მისთვის. თინეიჯერობის წლებში კი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. 14-15 წლის ასაკში ნიკა როკმუსიკით დაინტერესდა. სულ ახალ ქვეყნარებასა და შემსრულებლებს ეძებდა. მეგობართან, ლევან ძნელაძესთან ერთად ექსპერიმენტულ-ელექტრონული პროექტის კეთებაც დაიწყო, სათაურით – „კომა“. ბიჭები მუსიკის შესაქმნელად ხშირად ჭიქების ჟღარუნს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ხმებსაც იყენებდნენ. „არასდროს ვკმაყოფილდებოდით ერთი მიმართულებით, მეტალს რომ ამოვწურავდით, სხვა ჟანრში გადავდიოდით. ასე მივედით შტოკპაუზენამდე და აკადემიური მუსიკის დიდ სახელებამდე – პიერ ბულეზი, შონბერგი და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სხვა უმნიშვნელოვანესი მუსიკოსები“.

ახალი მელიოდიების, ახალი ფერადობის შესაქმნელად ამ წლებში დაწყებულ ექსპერიმენტებს ნიკამ ბევრი ძიებისა და ფიქრის შემდეგ მოგვიანებით უპოვა პასუხი: „როდესაც ხმების ჩანერას ხელოვნურად ცდილობ, მაგალითად, ჭიქის ხმებს, მანქანის მუხრუჭის ხმებს, უნდა იაზრებდე, რომ იმავს გაკეთება ინსტრუმენტთანაც შეგიძლია და მეტაფორულად უფრო მეტ ემოციურ ეფექტსაც აღწევ, ვიდრე უბრალოდ ჭიქის ხმა. არ მომწონს ავანგარდული მუსიკა, სადაც დიდი ნაწილი ელექტრონულ ხმებს უჭირავს. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო ძლიერი მეტაფორა შეიძლება შექმნა, როდესაც ჭიქის ხმას ნოტებით გადმოსცემ. მახსოვს, ბევრს ვფიქრობდი, იქნება მუსიკაც შეზღუდულია და თავი ხომ არ დავანებო-მეთქი, სულ მანუხებდა იმაზე ფიქრი, რკინის გამოხატვა რომ მომიხდეს მუსიკაში და ვერ გამოვხატო, მერე სად წავიდე-თქო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამის გაკეთება ფორტეპიანოზე თავისუფლად შეგიძლია“.

ინსტრუმენტებმა, კერძოდ კი ბას-გიტარამ, ნიკა კონტრა-

ბასამდე მიიყვანა, რის შემდეგაც ჯაზმა გაიტაცა. ჯაზური მუსიკის სპეციფიკის გამო, სადაც სწორედ ინსტრუმენტების ძალა და ყლერადობა უფროა ხაზგასმული, ნიკას ინსტრუმენტებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდა: „ამ დროს აკუსტიკური გიტარებით და მიიმე ვოკალით შესრულებული მუსიკის მიმართ საშინელი პროტესტი გამიჩნდა. მუსიკაში სიმღერა უკვე აღარ მომწონდა, რადგან მასში სხვა რაღაცების შემჩნევა დავინწყე“.

სიახლის ძიების ეტაპს დაემთხვა ალექს ჩილვინაძესთან ერთად აუდიო-ნიგნზე მუშაობის პერიოდი. „უკანასკნელი სახარება“ – ასე ერქვა ნიგნს, რომლის მთავარი გმირის, კომპოზიტორის პროტოტიპი თვითონ ნიკა იყო. თითოეული გვერდისთვის ნიკა განსხვავებულ კომპოზიციას წერდა. ტექსტის ნაკითხვაში კი მკითხველს სწორედ ეს დამატებითი საუნდტრეკი ეხმარებოდა და პირიქით – საუნდტრეკის ალქმაში მსმენელს ეხმარებოდა ალექსის ტექსტი.

აუდიო-ნიგნზე მუშაობა დაასრულა თუ არა, ნიკა პირველად დაინტერესდა იმ კარადით, რომელშიც მშობლების და ბებუის მიერ შენახული პარტიტურები ენყო. ყველაფერი საკუთარ ოთახში შეზიდა, იქვე გადაიტანა ოჯახის რელიკვია – ფორტეპიანო და იქ, ოთხ კედელს შორის ნებაყოფლობით გამოკეტილმა, მუსიკაზე ფიქრი და პატარა პიესების წერა დაიწყო.

კონსერვატორიის სტუდენტი ნიკა შარშან გახდა. მანამდე, დიდი მონდომების და ძალისხმევის ფასად ისწავლა კომპოზიციის წერისას ნოტებით აზროვნება – თავში დაბადებული მელოდიის ფურცელზე გადატანა. დაახლოებით ამ დროს გააცნობიერა, რომ თუკი სურდა, მუსიკის წერა თავის ძირითად საქმედ ექცია, საჭირო იყო, აკადემიური განათლების მიღება. თუმცა, ფორმალურ სასწავლო გარემოსთან პრეტენზია მაინც გაუჩნდა:

„მიუხედავად იმისა, რომ სახელოვნებო სასწავლებლებს შორის, კონსერვატორია ყველაზე მონესრიგებული სისტემაა, უკმაყოფილების მიზეზები მაინც მაქვს, თუმცა ეს მიზეზები უფრო მეტად ალბათ სტუდენტებს უკავშირდება. სტუდენტობა განვითარებას ნიშნავს, რისთვისაც მხოლოდ ლექციები საკმარისი არ არის. სასწავლო პროგრამა ბოლომდე არ უნდა გაკმაყოფილებდეს. მეც მუდმივად ამას ვდილობ და დამატებით გამოცდილებას ვეძებ“.

აკადემიური მუსიკა

მეორე ინტერვიუსთვის, ნიკას კონსერვატორიაში შევხვდი. შესასვლელთან დამხვდა და პარტიტურით, სანოტო რვეულითა და ფანქრით ხელში, კონსერვატორიის თეთრ და სტერილურ სივრცეში გამიძღვა. მოგზაურობა ბიბლიოთეკიდან დავიწყეთ. თაროებზე უამრავი პარტიტურა დევს, რომლიდანაც ერთ-ერთს იღებს. ნიკა მეუბნება, რომ მისი სამეცადინო დღე კონსერვატორიაში სწორედ ამ ოთახიდან იწყება. შემდეგ შანდლების მსგავსი ბრებით განათებულ ცარიელ დერეფნებში სწრაფად ვმოძრაობთ. კლასებში კარში ჩატანებული ვინრო ფანჯრიდან მახედებს. ოთახებს უცნაური კარი აქვთ. მასში დაკვირვებით უნდა შეიხედო, რომ ინსტრუმენტთან მყოფი სტუდენტები დაინახო. შიგნიდან არაფერი ჩანს, რადგან ფანჯრის მეორე მხარეს, მინის ნაცვლად სარკეა ჩადგმული. მუსიკოსის სრული ჩაღრ-



„ნიკა თეატრში მოსვლისას უსებ იბრძნო, რომ ეს მისი პროფესიაა. შეიძლება ვსდები, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, თეატრში რომ არ მოსულიყო, იმ კომპოზიტორებით იქნებოდა, მუსიკას მხოლოდ მებოზრებისთვის ან თავისთვის რომ წერა“.

მავებისა და გარე სამყაროსგან იზოლაციისთვის, ასეთი კარი თითქოს სპეციალურად დაუმზადებიათ. ჩვენ ერთ-ერთ თოახში შევდივართ, ნიკა როიალ „ესტონიასთან“ ჯდება და ოტელოს ფინალის გარჩევას იწყებს. რამდენიმე აკორდს იღებს, ჩერდება, პარტიტურას ნერვიულად შლის, ისევ ახალ აკორდს იღებს. „გეზარება?“ – ვეკითხები, რაზეც მპასუხობს: „ბევრი შრომაა საჭირო, სიზარმაცესთან ბრძოლა კი ხშირად მიწევს“.

პირველი კლასიკური კომპოზიციის შექმნის დროს ვერ იხსენებს იმიტომ, რომ უნარებს შორის გადასვლის პროცესი თავისთავად, ყოველგვარი დაკვირვების გარეშე მოხდა. თავიდან საფორტეპიანო და სასულე ორკესტრისთვის შექმნილ ეტიუდებს ელექტრონულ მუსიკალურ პროგრამაში წერდა, კონსერვატორიაში ჩაბარების შემდეგ, ხელში ფანქარი აიღო და „პროფესიულ“ მუშაობაზე გადავიდა.

საბაზისო მუსიკალური განათლება რომ არ აქვს, ეს აკომპლექსებს, მაგრამ თან აცნობიერებს, რომ უბრალოდ უფრო

მეტი შრომაა საჭირო: „ჩემი პედაგოგები მეუბნებიან, რომ პირიქით, ეს კარგია. აბსოლუტურად სუფთა ტვინი გაქვს იმისთვის, რომ თანამედროვე მუსიკა შექმნა, რაღაც პრინციპებს არ ემორჩილები და არ იკეტები მათშიო. არადა, რეალურად, ორმაგად მიჭირს და აბსურდულიცაა, მუსიკის ამ დიდ ისტორიას გადაახტე და თქვა, რომ მე თანამედროვე მუსიკას ვწერ! – ამიტომ მეცადინეობის პროცესი ორმაგად რუტინულია ჩემთვის“.

ნიკას კომპოზიციის პედაგოგი ზურაბ ნადარეიშვილი კი თვლის, ფორმალობები რომ არა, ნიკას შეეძლო, პირდაპირ მეორე კურსიდან გაეგრძელებინა სწავლა. „როდესაც მისი კომპოზიციები მოვისმინე, მივხვდი, რომ განსხვავებულად ნიჭიერ ახალგაზრდასთან მქონდა საქმე. ისეთი კომპოზიციები ჰქონდა შექმნილი, რასაც კონსერვატორიის სტუდენტები პირველ და მეორე კურსზე აკეთებდნენ. ნიკა ორიგინალური, განსხვავებული მანერით წერს, ყოველთვის საქმიანად და გააზრებულად“.

ინსპირაციების შესახებ როცა ვეკითხები, ნიკას გამომეტყველება ეცვლება. მგონი, ეს თემა შესაძლო ზედაპირული და ბანალური პასუხების გამო არ მოსწონს. ამიტომ ამბობს, რომ რთულია, განსაზღვრო, როდის ჩნდება შთაგონება და შემდეგ ამის შესახებ განყენებულად ისაუბრო. მიმტკიცებს, რომ მართალია, მუსიკას ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე აბსტრაქტულ დარგად მიიჩნევენ, ის მაინც მთლიანად ლოგიკას ეყრდნობა: „მუსიკის წერის მეთოდი, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე გარკვეულ სისტემას ეფუძნებოდა, მაგალითად, მაჟორულ და მინორულ სისტემას, როდესაც პირდაპირი ფუნქციები გაქვს მოცემული და მისგან ქმნი, რასაც გინდა. ასეთ სისტემას ზოგჯერ შეიძლება მათემატიკაც უწოდო, თუმცა, მე არც ასეთი ფორმულირება მომწონს“.

უსმენს შტრაუსს, ვაგნერს, ბეთჰოვენს, მოცარტს, კრეჩენკს და ბერგს. ქართველი კომპოზიტორებიდან კი სულხან ნასიძეს და მიხეილ შულღიაშვილს გამოჰყოფს: „ეს ნამდვილი ქართული მუსიკაა და სხვა ქართველი კომპოზიტორებისგან განსხვავებით, მასში არ არის ფოლკის ელემენტები, რასაც კომპოზიტორები ძირითადად იმისთვის იყენებენ ხოლმე, რომ მუსიკას კულტურული იდენტობა შესძინონ. ვფიქრობ, ეს არასწორი საშუალებაა იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიო. კულტურული იდენტობა მაშინ შეიქმნება, როდესაც აბსოლუტურად ღია იქნები იმის მიმართ, რასაც აკეთებ და განსაზღვრულ მოცემულობებს არ აყვები“.

ნიკე თეატრი

თუკი ნიკას თეატრალური ნათლობა ნინი ჩაკვეტაძეს შეიძლება მივაწეროთ, მიშა ჩარკვიანი ის რეჟისორია, რომელმაც ნიკას შემოქმედებით ზრდაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. ერთ წელიწადში მათ ოთხ ერთობლივ სპექტაკლზე იმუშავეს. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი და კომპოზიციურად რთული „კაცელმახერისთვის“ შექმნილი ქორალური ნაწარმოებია, რომელსაც მსახიობები ასრულებენ. სპექტაკლის ეს ნაწილი პირობითად, ეკლესიის სცენას ჰგავს, სადაც სტიქარგადაცემული ახალგაზრდები – რეალურად კი ქსენოფობი და მოძალადე ადამიანები – ნიკას მიერ დაწერილ საგალობელს ასრულებენ და წმინდანებს ემსგავსებიან. ამ ჰარმონიული, მშვიდი მუსიკით მაყურებელს სწორედ ეს კონტრასტი უნდა შეეგრძნო. ნიკა ფასურმა თავისი მუსიკით ჩანაფიქრის ზუსტად გადმოცემა რომ შეძლო, ამაზე მაყურებლის და კრიტიკოსების შეფასებაც მტყვევლებდა. მახსოვს, დათო ბუხრიკიძემ ეს ეპიზოდი თავის რეცენზიაში ასე დაახასიათა: „ეკლესიის სცენაში, მუსიკა, ლოცვა და გინება კონტრაპუნქტის პრინციპით ერთიანდება, როგორც კონტრასტული თემები ბახის პრელუდიებსა და ფუგებს შორის“.

2012 წლის სექტემბრის დასაწყისში, სამეფო უზნის თეატრის რეპერტუარში ნიკას მუსიკით გაფორმებული კიდევ ერთი სპექტაკლი გამოჩნდა. აუგუსტ სტრინდბერგის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, თეატრის ახალგაზრდულმა დასმა, შვედი დრამატურგის ყველაზე ცნობილი პიესა – „ფრეკენ ყული“ წარმოადგინა. სპექტაკლში ნიკას მუსიკა ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ ნაწილში ფლერს, როდესაც მსახიობები ერთმანეთისთვის სიგარეტის კვამლის გადანოდებას ცდილობენ. ამ

დროს თითქოს არტისტების თამაშზე უფრო შთამბეჭდავ „სანახაობას“ სწორედ ნიკას მუსიკა ქმნის.

„სპექტაკლის დასაწყისში, მონოლოგისთვის, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ როზგავდა ფრეკენ ყული თავის ქმარს, ნიკამ ძალიან ჩუმი მუსიკა დაწერა. მელოდია თითქოს ჩურჩულის დონეზე ისმის. მე ეს ყველაფერი ასე არ მქონდა წარმოდგენილი და მხოლოდ მერე, ნიკას ვერსიის მოსმენის შემდეგ მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ყველაზე საინტერესო და სწორი მიდგომა ამ ეპიზოდის მიმართ“, – მითხრა სპექტაკლის რეჟისორმა დათა თავაძემ.

სამეფო უზნის თეატრის დასის წევრები ნიკა ფასურზე ამბობენ, რომ ის ქართული თეატრის მუსიკის გავლენისგან სრულიად თავისუფალია, რადგან კომპოზიციები კონკრეტული სპექტაკლებისთვის იქმნება და ის ისეთივე ორიგინალურ ნაწილად რჩება თეატრის ისტორიაში, როგორც თავად რეჟისორის ინდივიდუალური ხედვით შექმნილი ორიგინალური დადგმა. „ნიკაზე არ მოქმედებს ქართული თეატრის სტერეოტიპები, განსახვავებით ჩემგან, რადგან მე ყოველთვის მაქვს ნოსტალგიური კავშირი ქართულ მუსიკასთან. ნიკა კი სუფთა ფურცლიდან იწყებს მუსიკის შექმნას და ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, როცა კომპოზიტორისგან რეჟისორი ახალი, ორიგინალური ჟღერადობის შექმნას ელის“, – მიხსნის დათა თავაძე.

ნიკა თეატრში ხმის დიზაინერის მოვალეობებსაც ითავსებს. პიესების ავტორი დათო გაბუნია მიამბობს: „მუსიკალური გამომწვევების საქმიანობა სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებების მოძებნით და სპექტაკლზე მისი მექანიკური „დადებით“ შემოიფარგლება. ხმის დიზანი ამაზე ცოტა მეტია. ეს არ არის რეჟისორის მოთხოვნის მექანიკური შესრულება, რომ კონკრეტულ ადგილას მას ჭექა-ქუხილი, ან ჩიტების ჭიკჭიკი სჭირდება. ეს არის მუსიკასთან ნაზავი ხმები. ხმის დიზაინს თავისებური კონცეფცია აქვს, რასაც ნიკა ძალიან კარგად აკეთებს, გარდა იმისა, რომ ის ყველა სხვა ეტაპშიცაა ჩართული. ისაა კომპოზიტორი, რომელიც ჩვენთან ერთად ფიქრობს, თან ათობით მუსიკალურ ვარიანტს ამუშავებს“.

ნიკა მეუბნება, რომ თეატრი არაა მისი შთაგონების, მისი ზრდისა და განვითარების მთავარი წყარო. რაღაც დაახლოებით ასე გამოსდის – თეატრი ცალკეა, კონსერვატორია – ცალკე. თუმცა, სამეფო უზნის თეატრის გუნდის წევრებთან საუბრისას პირადად მე სხვაგვარი შთაბეჭდილება მრჩება. დათა თავაძეც მეუბნება: „ნიკამ თეატრში მოსვლისას უცებ იგრძნო, რომ ეს მისი პროფესიაა. შეიძლება ვცდები, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, თეატრში რომ არ მოსულიყო, იმ კომპოზიტორებივით იქნებოდა, მუსიკას მხოლოდ მეგობრებისთვის ან თავისთვის რომ წერენ“.

თუმცა, ესეც ფაქტია: კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი, ნიკა ფასური დღეს მინი-ოპერას წერს. „მარიამის“ ერთი ნაწილი ნიკამ კომპოზიციის კურსის დასასრულს საგამოცდო კომისიასაც წარუდგინა და გამოცდაზე ასი ქულა მიიღო. პედაგოგი, ზურა ნადარეიშვილი ამბობს: „პროგრამით პატარა პიესების გაკეთება ეკუთვნის, მაგრამ ეს ოპერას შეეჭიდა. ოპერის შემდეგ რას დაწერს, აღარ ვიცი იმიტომ, რომ მუსიკაში ამაზე უფრო დიდი ჟანრი აღარ არსებობს“.

ნიკა ფასურის პირველ ოპერას 2013-ის ბოლოს მოვისმენთ.

elsiane

ბრძნობათა მექანიკა

ავტორი ნინო ჩიბაძე





ბიორკს და ბილი ჰოლიდეის რომ შვილი ჰყოლოდათ, შთამომავალი ელსიანე იქნებოდა – ასე დაახასიათა კანადელი მუსიკოსი ელსიანე კაპლეტე (Elsieanne Caplette) რადიო CBS-ის ნამყვანმა, გრეგ ნორისმა.

ფიქრობ, ეს საუკეთესო წარდგენაა ახალგაზრდა მუსიკოსისთვის, რომელსაც სულ მალე, რადიო „ცხელი შოკოლადის“ მონვევით, „თბილისი ივენთ ჰოლში“ მოუვსმენთ. დუეტი ელსიანე, რომელიც ელსიანესა და დრამერის სტეფან სოტოსგან შედგება, თბილისში 5 აპრილს ჩამოვა. 2012 წლის ზაფხულში, პოლონეთში მოგზაურობის შემდეგ, ეს მათი მეორე აღმოსავლეთეგროპული კონცერტი იქნება.

“გვინტერესებს, საქართველოში (თბილისში) არიან თუ არა „ელსიანეს“ ფანები? კონცერტზე გეპატიუებით“, – ეს კითხვა ელსიანეს ოფიციალურ ფაცებოკ გვერდზე თებერვალში გამოქვეყნდა.

პასუხი არ ვიცი, თუმცა, ვვარაუდობ: იუთუბის რეალობაში, როცა მსოფლიოს ყველაზე მივიწყებულ ადგილში მცხოვრებ მელომანსაც კი – თუკი მას აქვს, ინტერნეტი – შეუძლია ნებისმიერი მუსიკა შეიყვაროს და ნებისმიერ მუსიკოსს უსმინოს, ერთგული ფანების წრე ალბათ, ელსიანეს ჩვენთანაც ეყოლება. გახსნილი მუსიკალური საზღვრები ხომ ორმხრივად კარგია – ინტერნეტეპოქაში მუსიკოსებისთვისაც გაცილებით იოლია, საკუთარ მუსიკას სულ სხვადასხვა კუთხეში უპოვონ მსმენელი და მეორე მხრივ, შენ, მელომანსაც, შეგიძლია ნებისმიერ, სრულიად უცნობ, შემსრულებელს დაარქვა „ჩემი მომღერალი“...

რამდენიმე ხნის წინ ელსიანეს მუსიკა მეც ზუსტად ასე გავიცანი. მანერებით ბილი ჰოლიდეის, სპეციფიკური, უცნაური ხმით კი – ბიორკს – მართლა წააგავს, თუმცა, სტილი სულ სხვაგვარი აქვს. ცოტა მისტიკა, ცოტა მელანქოლია – ჯერჯერობით მის ორ მუსიკალურ ალბომში შესული ჩანანერები ასეთ განწყობას მიქმნის.

დუეტი Elsiane ელსიანემ და სტეფან სოტომ მონრეალში 2000 წელს ჩამოაყალიბეს. ერთი წლით ადრე კი ერთმანეთი გაზეთის განცხადებით შემთხვევით გაიცნეს.

„მონრეალის ერთ ადგილობრივ გაზეთში განცხადება გამოავქვეყნე, ბასისტს ვეძებდი რაღაც პროექტისთვის. თუმცა, ბასისტის ნაცვლად ელსიანე გამოემხმარა, რომელიც თვითონვე იყო სიმღერების ავტორიც და შემსრულებელიც. განცხადებაში ჩემს მიერ მითითებულ საყვარელ შემსრულებლებში Massive Attack-ი ამოუკითხავს და ვინაიდან ეს ჯგუფი თვითონაც ძალიან უყვარდა, გადაწყვიტა, დამკავშირებოდა. ასე სპონტანურად დაეინყეთ ერთობლივი მუსიკალური კარიერა“, – იხსენებს ჯგუფის დრამერი სტეფანი სოტო, რომელსაც ელსიანესთან ერთად სკაიპით გავესაუბრე.

ელსიანე კაპლეტე კანადაში დაიბადა, თუმცა რამდენიმე წელიწადში მისი ოჯახი საცხოვრებლად პერუში, ლიმაში გადავიდა. წლები, რომელიც ადამიანის აზროვნებას, გემოვნებას და მსოფლმხედველობას აყალიბებს, მომღერალმა სწორედ პერუში გაატარა. კავშირი პერუსთან დღემდე არ გაუწყვეტია. ლიმაში კვლავ ცხოვრობენ ელსიანეს დედა და ოჯახის რამდენიმე წევრი. იქაური კულტურა და ეთნიკური მუსიკა კი სულ ხდება მისთვის შთაგონებისა და ბიძგის მიმცემი. თუმცა, მუსიკალური გავლენა მხოლოდ პერუს ეთნოსითა და ნაციონალური კულტურით არ შემოი-

ფარგლება. ელსიანემ ლიმაში კლასიკური მუსიკალური განათლება მიიღო, რის შესახებაც მიახმობს:

„მევიოლინე უნდა გამოვსულიყავი, ამისთვის ვემზადებოდი, თუმცა, რამდენიმე წელიწადში მივხვდი, რომ ასე ორიგინალურ ნამუშევრებს ვერ შევქმნიდი: როდესაც ორკესტრში უკრავ, უბრალოდ პარტიტურას მიყვები. მართალია, მე პარალელურად ვმღეროდი კიდევ, მაგრამ ეს მაინც წინასწარ განსაზღვრული, სხვის მიერ შექმნილი ნაწარმოებები იყო, მე კი საკუთარი სიმღერების შესრულება მინდოდა“.

მუსიკას 14 წლიდან წერდა. პარალელურად, უსმენდა ჯაზს, შემდეგ თრიფ ჰოპში იყო გადავარდნილი. 1990-იანი წლების ბოლო პერიოდში კი ცხადია, ვერც ელექტრონულ მუსიკას აუარა გვერდი. შესაბამისად, საკუთარ კომპოზიციებში თითოეულ ჟანრობრივ გატაცებას ასახავდა. საბოლოოდ კი, მივიღეთ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მუსიკალური მიმართულებების ჰიბრიდი; და ჭყბრიდ – ასეც დაარქვა თავის პირველ ალბომს, რომელიც 2007 წელს გამოსცა.

კლასიკური მუსიკის სიღრმე და მელოდიურობა, ელექტრონული არანჟირება, ბიორკის და ბეთ გიბონსის (წორტისჰეად) მსგავსი სახასიათო ვოკალი და ბილი ჰოლიდეივით – ბგერებითა და ტემპით მანიპულირება ელსიანეს მუსიკას სასიამოვნო და საინტერესო მოსასმენს ხდის და გიტოვებთ შეგრძნებას, რომ რაღაც ძალიან ნაცნობს, მაგრამ, ამავდროულად, ახალს და თანამედროვეს ეცნობით. შეიძლება ითქვას, ეს პოსტმოდერნია – ციტატებისგან შექმნილი საინტერესო და მიმზიდველი ნამუშევარი. თუ მაინცდამაინც ჟანრებს ჩავეძიებთ, Elsiane-ს მუსიკა ალბათ ყველაზე ახლოს მაინც თრიპ-ჰოპთანაა. თავად მუსიკოსი კი თავის ყველაზე დიდ ინსპირაციად პიტერ გებრიელს, cacteu Twins-ს, Massive Attacks და Portishead-ს ასახელებს.

პირველი სრულყოფილი ალბომის გამოცემამდე ელსიანემ და სტეფანმა რამდენიმე EP და Dემო ჩანერეს. ალბომი კი მხოლოდ 7 წლის შემდეგ გამოუშვეს. „რამდენიმე წლის განმავლობაში ვეითარდებოდით და ვხვენდით ჩვენს

ბიორკს და ბილი ჰოლიდეის რომ შვილი ჰყოლოდათ, შთამომავალი ელსიანე იქნებოდა – ვფიქრობ, ეს საუკეთესო წარდგენაა ახალგაზრდა მუსიკოსისთვის, როგორცაც სულ მალე თბილისში მოუვსმენთ.



ულერადობას, ვცდილობდით, მიგვეგნო საუკეთესო ვარიანტებისთვის“, – იხსენებს სტეფან სოტტო. ამას გარდა, ალბომის გამოშვებას ფინანსები და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაც სჭირდებოდა, ამ ყველაფერს კი დღემდე თვითონ აგვარებენ, პროდიუსერებისა და მენეჯრების საგრძეზე. მით უმტეს, რომ მონრეალში, და მთლიანად კვებეკის პროვინციაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფრანგულენოვანია, მუსიკოსების უმეტესობა კი ინდი როკს უკრავს, **Elsiane**-ს სტილის ინგლისურენოვანი ჯგუფისთვის თავის დამკვიდრება ადვილი არ იყო.

მათი მუსიკა კომერციულად დიდად მომგებიანი არც დღეს არის, ამიტომ მუსიკოსები პერიოდულად სხვადასხვა

პროექტებზეც მუშაობენ, რომ ფინანსური პრობლემები არ შეექმნათ:

„ზოგჯერ ტელეწარმოებისთვის ვწერთ კომპოზიციებს, ვცდილობთ, პარალელურად სხვადასხვა გვერდითი პროექტები ვაკეთოთ, რომ კონცერტების გარდა სხვა შემოსავალიც გქვონდეს. ეს გამოწვევაა, მაგრამ ასეთია დღევანდელი რეალობა ძალიან ბევრი მუსიკოსისთვის“, – ამბობს სტეფანი.

„თუმცა, ჩვენ მაინც გავგიმართლა, რადგან პერიოდულად კერძო ლონისძიებებზეც გვეპატიუებიან დასაკრავად, რაც ასევე შემოსავლის წყაროა“, – აღნიშნავს ელსიანე.

პირველი ალბომის გამოცემის შემდეგ მათ მონრეალის ჯაზფესტივალსა და ტორონტოს საერთაშორისო კინო-

ფესტივალზეც დაუკრეს, რის შემდეგაც კიდევ უფრო მეტი მსმენელი გაუჩნდათ. **Elsiane**-ს კონცერტები საინტერესო ვიზუალური აუდიო-ვიზუალური გაფორმებით და შოუს ელემენტებითაც გამოირჩევა. კონცერტებს ძირითადად მონრეალისთვის დამახასიათებელ პატარა საკონცერტო სივრცეებში მართავენ, სადაც მათი აუდიტორია საშუალოდ 300-400 ადამიანს შეადგენს.

კანადის სხვადასხვა ქალაქების გარდა მათ რამდენჯერმე შეერთებულ შტატებშიც ჰქონდათ ტურნე. პირველი ალბომი კი 2008 წელს ამერიკაშიც გამოსცეს.

„ძალიან წარმატებული გამოვიდა შტატებში ვიზიტი, თუმცა, იქ დარჩენა და თავის დამკვიდრება არ გვიცდია,

ისტორია

ესეც რთული იქნება ალბათ“, – ამბობს ელსიანე.

მსმენელებს ისევე, როგორც თანამედროვე მუსიკოსების უმრავლესობა, საკუთარ შემოქმედებას ძირითადად ინტერნეტის საშუალებით აცნობენ:

„ადრე ლეიბლზე და პროდიუსერზე იყავი დამოკიდებული, რომ შენი მუსიკის პოპულარიზაცია მოხდინათ. ახლა კი პირდაპირ კავშირზე ხარ მსმენელთან და მათი რეაქცია და განწყობებიც კარგად იცი. ხშირად სწორედ ფანები აქტიურობენ ხოლმე, რომ კონცერტი ჩავატაროთ ამა თუ იმ ადგილზე. ევროპაშიც სწორედ ინტერნეტის საშუალებით ვიპოვეთ ჩვენი მსმენელები“, – ამბობს ელსიანე და ამატებს, რომ საქართველოს შესახებ ლონდონში მცხოვრები ქართველი მომღერლისგან, ქეთი მელუასგან იცოდნენ. 2010 წელს ქეთი მონრეალში იმყოფებოდა და ერთმანეთი იქ გაიცნეს: „როგორც აღმოჩნდა,

ქეთის მოსწონდა ჩვენი მუსიკა და ერთხელაც, მონრეალში ყოფნისას, სტუმრად გვეწვია. ბევრი ვისაუბრეთ და მაშინ მან საქართველოსა და საკუთარი წარმომავლობის შესახებაც მოგვიყვა“, – ამბობს ელსიანე, რომელიც თავისი ქართველი მსმენელის გაცნობას კონცერტამდე საკუთარ ფაცებოოკ გვერდზე ცდილობს.


შარშან მუსიკოსებმა მეორე ალბომი – მეცჰანისცს ოფ ემოტიონს გამოუშვეს. ეს უფრო კომპლექსური ნამუშევარია როგორც ჟღერადობის, ისე რითმისა და მელოდიის მხრივ. როგორც თავად ამბობენ, ამ ალბომში უფრო მეტია ფოლკის და ჭორლდ მუსიკის ელემენტები. „როცა ჯერჯერობით, მაშინ სულ სხვა ადამიანები ვიყავით, უფრო ახალგაზრდები... იქ უფრო მეტი იყო ელექტრონული მუსიკის და ტემპოს ელემენტები, აქ კი ჩემი სამხრეთ ამერიკული გავლენებია უფრო საგრძ-

ნობი“, – მიყვება ელსიანე.

მუსიკოსების სამომავლო გეგმები ევროპას უკავშირდება. ამჟამად ახალ ალბომზე იწყებენ მუშაობას, შემოდგომაზე კი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც უნდათ ტურნეს მოწყობა. გამომხატურებების მიხედვით ყველაზე აქტიური და ერთგული მსმენელი მათ სწორედ ევროპაში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპაში ჰყავთ. ამიტომ არ გამორციხავენ, სამომავლოდ, გარკვეული პერიოდით მაინც ოკეანე გადმოლაზონ და ევროპის რომელიმე ქალაქში სცადონ თავის დამკვიდრება.

საქართველომდე Elsiანე სამხრეთ ამერიკაში გეგმავს ტურნეს მოწყობას. თბილისში ვიზიტის შემდეგ კი ალბომზე მუშაობას გააგრძელებენ და მომავალი კონცერტებისთვის მოემზადებიან.

„მოუთმენლად ველოდებით თბილისში ჩამოსვლას“, – მითხრა ელსიანემ დამშვიდობებისას.



ROOMS HOTELS

KAZBEGI

#1 V.Gorgasali street, Stepantsminda, Georgia; Tel: +995 32 2 710099; Fax: +995 32 2 720099

E-mail: roomskazbegi@roomshotel.com; www.roomshotel.com

მარტოღან

Georgian
Dreamer

50 ახალი
ქართული
კრიზი

სამთავრობო 22:00სთ

ქართული

კონსერვატივიზმი

სამთავრობო 22:00სთ

დამხრე

სამთავრობო დამხრე



www.gdstv.ge

facebook.com/GDSofficial

კინოს სახლი

ავტორი არჩილ ქიქოძე

გადაღების პირველივე დღეს, რომელიც თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. მეორე დღით უკვე ფოტოაპარატით მივედი. მას მერე კამერა არ მომიშორებია. გადავიღე ძალიან ბევრი სურათი, რომელთაგანაც რამდენიმე ახლაც მომწონს. ძირითადად ხალხს ვუღებდი, კინოთი დაკავებულ ადამიანებს და ჩემს ფოტოებზე ისინი ლამაზები და მნიშვნელოვნები ჩანდნენ. ფოტოებს უცხოელ მეგობრებსაც ვუგზავნიდი და ლიტვიდან პირდაპირ მომწერეს: რა ლამაზი ხალხი გყავს გარშემო.

ადამიანები ფოტოზე ბედნიერების დროს გამოდიან ლამაზები. ვიცი, ხმამაღალი ნათქვამია. არ შეიძლება, ორმოცდაათი კაცი ერთდროულად და ამდენი ხნის მანძილზე იყოს ბედნიერი. მაგრამ კინოს კეთება მართლა სახალისო საქმე ყოფილა, ხოლო კინოს სამყარო - ილუზიებით და ცდუნებებით სავსე. იქაურობის მთავარი ხიბლი, მგონი, ერთობის განცდაა, იმ ადამიანებთან ერთობის, რომლებიც ფუსფუსებენ, დარბიან, ანათებენ, იღებენ, ფიქრობენ, კოსტიუმებს არჩევენ, გრიმს გიკეთებენ, ვინ იცის, რას არ სჩადიან დაბოლოს ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ამ თითქოს ქაოსური გადარბენების და ფუსფუსისგან მართლა გამოდის რაღაც. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შემთხვევაში - რაღაც ფასეული, აი, ისეთი, ჩემი უეცარი გამასახიობებით შემფოთებულმა დედაჩემმა, რომ აღმიწერა: კინო ისეთი უნდა იყოს, რომ დარბაზში მჯდომს დამავინყდეს, სადა ვარო...

აი, კინოს გადაღებისას კი მართლა გავიწყდება, სადა ხარ იმიტომ, რომ ბევრ ადამიანთან ერთად ქმნი ტყუილს, რომელიც ძალიან უნდა ჰგავდეს ნამდვილ ცხოვრებას და მაინც რაღაცით უფრო საინტერესო უნდა იყოს სინამდვილეზე.

ახლა, როდესაც გადაღების დასრულებამდე ორიოდე დღეა დარჩენილი, ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი მომენატრება და იმედი მაქვს, რომ მეყოფა ჭკუა და ტაქტი იმისთვის, რომ აღარ დავბრუნდე ამ მონატრებულ სამყაროში, სადაც სიმპათიური რეჟისორის დაჟინებული თხოვნით შევავიჯე მისივე სცენარით მოხიბლულმა და სადაც ამდენი კარგი ადამიანი გავიცანი. ჩვენს გუნდში თითქმის სულ ახალგაზრდები იყვნენ და ყველა საკუთარი საქმის პროფესიონალი. მათში, ანთებული თვალებით ამოიცნობდით რამდენიმე ფანატიკოსსაც, რომელთა გარეშე, ალბათ, არ არსებობს ხელოვნება. თითოეულ ამ ადამიანთან მუშაობა ჩემთვის პატივი იყო და ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ ახალ ქართულ კინოს ვქმნიდით. რა გამოვიდა ამ ყველაფრიდან, სულ მალე ვნახავთ, ოღონდ ჩემი მთავარი შენაძენი ეს ადამიანები არიან, რომლებთან ურთიერთობა იყო იოლი და ბუნებრივი, ისეთი, როგორსაც საუკეთესო მსახიობიც ვერ ითამაშებს, რადგან მსახიობსაც კი, ყველაზე მეტად საკუთარი თავის თამაში უჭირს.





ფოტოგრაფი ლევან კოდუაშვილის ახალი ფილმის გადაღებიდან





შეხვედრა ვინისთან 18 წლის შემდეგ



ავტორი ლავით აბრაიშვილი

1995 წელს იენისის საღამო იყო. შუქი ცენტრში არ მოდიოდა და თემქას ვინ განათებდა... 90-იანების ბავშვებს დღესაც მარტივად ამოიცნობთ: მათ ლამის დადგომა ქირივით ეზიზღებათ ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში გაზრდილებს – აფთიაქში პრეზერვატივის ყიდვა. თუმცა, იყო ისეთი დღეებიც, როცა გეტოს ბავშვებისთვის შუქი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდებოდა. უფროსები თავიანთი მწვანე მოსკვიჩებიდან აკუმულიატორებს იღებდნენ და სახლებში აჭქონდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ დღეს ქინქლაძეს მორიგი შოუ უნდა დაედგა.

ფეხბურთი გეტოს ბავშვებისთვის ერთადერთი რამ იყო, რაც ყველაფერს გვაკონტროლებდა. ჰოდა, იმ დღეს იენისის თბილ საღამოს, მგონი 6-ში, აღმოვაჩინე, რომ შესაძლებელი იყო, უელსი-საქართველოს თამაში მენახა. ეს ისეთივე დაუჯერებელი ამბავი იყო ჩემთვის, როგორც კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავის აღმოჩენა, საიდუმლო კუნძულში. მეც დიდი კაცით შემძლო ფეხბურთის ყურება. მთელი დღის მანძილზე, სარკის წინ, სავარაუდო ფრაზებსაც ვამუშავებდი, რომლებიც მატჩის მსვლელობისას, თავდაჯერებულად, ფრჩხილების კვნეტით უნდა მეყვირა: „ეე, ნემსომ მაგრად

ილორრა, რაა...არ გაეხსნა, აზე ხარ, შოთი... აუ, მაქედან უნდა გაეტანა ყველას“...

ერთი სიტყვით, საღამოს, ძმაკაცები-ძმაკაცების ძმაკაცებთან დაძმაკაცების ძმაკაცების ძმაკაცებთან ერთად, ძმაკაცების ძმაკაცების ძმაკაცებთან, ვინმე გიორგისთან მივედი, ბუთა დამიძახეთო, გაგვეცნო. კარგი სამხედრო დეიჯოკი ჰქონდა, დეიჯოკზე შავი როტვეილერი იყო გამობმული. რა

იცე, რა ხდება ხალხს პურის ტალონებს პარავენო...

აი, იმ ღამეს „გავიცანი“ ვინი. მაღალი, ჯანიანი ბიჭი ჩანდა, აი, ისეთი, ძველი ინგლისელები გემზე ბარჯის მტყორცნელად, პირველ კაცად რომ აიყვანდნენ. თან კაპიტანის სამკლაურიც ეკეთა. ეგ იმათი ვილაა – ვინი ჯონსო, მითხრა მეგობარმა. ხასიათით დეიჯოკზე მიბმულ როტვეილერს ჰგავდა – ილრინებოდა და ყველას ექაჩებოდა. საბოლოოდ 26 წუთამდე გაძლო, მერე მსაჯსაც ამოუვიდა ყელში ვინის ნიხლაობა და გააგდო. საბოლოოდ მოვიგეთ. მეორე დღეს ბუთა სკოლაში შემხვდა, უხასითოდ იყო. დეიჯოკი მომპარეს და ზედ მიბმული როტვეილერიც თან გააყოლეო...

ნაცრისფერი შლაპა. ლუი ვიტონის ჩანთა, რუხი კოსტიუმოდა ლურჯი პერანგი,

არათითზე ოქროს ბეჭედი, მარცხენა მაჯაზე კი „პატეკ ფილიპის“ საათი. რაც უკვე იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავალი საშუალოდ ექვსნიშნა რიცხვში გამოიხატება.

სიმალლეში 4 ფუტამდეა, თმები ძველებურად, ერთზე აქვს გადაკრეჭილი, ფორმაც შენარჩუნებული აქვს, ისევე კარგად ნავარჯიშები ჩანს, ეტყობა, რომ ოდესღაც სპორტსმენი იყო. საუბრისას თვალებს ჭუტავს და კარგად გაკვირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობა ნელ-ნელა აკლდება.

ვინი ჯონსთან ჩემი პირველი „შეხვედრის“ შემდეგ 18 წელი გავიდა, მაგრამ ისევე, როგორც ცხელი ზაფხულის იმ საღამოს, საღატ რეზინს ახლაც ძველებურად ცოხნის და ისევე ისეთი „ბრეივ ჰართია“. პირველი კითხვაც ზედმეტად ახლობლურად გამომივიდა: „How are you and how's your family doing?“ კევის ლეჭვას წამში წყვეტს.. თვალებს ჭუტავს და თავი თითქმის ჩემს ცხვირთან მოაქვს. რამდენიმე წამს ასე უხმოდ მაკვირდება. აი, აქ კი პირველად შემეშინდა: ღმერთო, ჩემს წინ ნამდვილი ვინი ჯონსი ზის!

თბილისში ვინი „ბანკმა კონსტანამ“ ჩამოიყვანა. ის ბანკის დაგროვებითი პროდუქტის – „ინბოქსის“ სახე გახდა და სარეკლამ-

მო კამპანის ფარგლებში გადაღებებშიც მიიღო მონაწილეობა. ქართული სარეკლამო ბაზრისთვის ეს პირველი პრეცედენტი იყო, როცა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის გამიზნულ სარეკლამო რგოლში მონაწილეობა ჰოლივუდის ვარსკვლავმა მიიღო.

„ვინი პიტერ ჯონსი, წარმოშობით ინგლისელი“, – ასე წარადგინეს თავის თავს გაცნობისას, ოდნავ ილიმის, ხელს გინვდის და მერე საქაროდ ამატებს: დედაჩემი გლენდა კი, უელსიდანაა. როცა ატყობს, რომ ჯონსების გელეოლოგიურ ხეზე მეტად, სულ სხვა რალაცები მაინტერესებს, საუბარიც იწყება.

„გავიზარდე ჰიტროუს აეროპორთან ახლოს ისევე, როგორც ყველა ინგლისელი ბიჭი, მეც ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი. დედა, სახლთან ახლოს, პაბში მუშაობდა, მამა კი ნადირობითა და თევზაობით ირთობდა თავს. მთელ სალამოებს სახლის წინ ბურთის დეენაში ვატარებდი. მასხოვს, მამაჩემს ყველა ეუბნებოდა, რომ უფრო აგრესიულ სპორტზე სჯობდა ჩემი მიყვანა, მაგალითად, რაგბიზე, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემგან ფეხბურთელი უფრო დადგებოდა, ვიდრე მორაგბე. მამაჩემს ჩემთვის ყველაზე ნაკლებად ეცალა, ძირითადად მშენებლობაზე მუშაობდა, სამუშაოდან როცა ბრუნდებოდა, როგორც წესი, ეგრევე იარაღს და ანკეს იღებდა და ისევ მთელი კვირით იკარგებოდა. ეს, ალბათ, ის ერთადერთი მეშვიდრეობითი ჩვევაა, რაც მამისგან გამომყვა, მეც ანალოგიურად შემიძლია, მთელი თვე ნადირობასა და თევზაობაში გავატარო. აი, ახლაც, ჩემს გრაფიკს რომ გადავხედოთ, მხოლოდ იენისის თვე მაქვს თავისუფალი, თბილისიდან პირდაპირ ლოსანჯელესში მივფრინავ. იქ შვარაცნეგერთან და სტალონესტან ერთად ახალ პეროექტში ვმონაწილეობ. ბევრი საქმეა, ძალიან ბევრი, მაგრამ ოჯახი, როგორც ჭეშამრიტი ბრიტანელისთვის, ჩემთვის პირველ ადგილზე დგას. მეუღლე მილენ ელისტონი ირლანდიელია, ის არაჩვეულებრივი მზარეულია. საერთოდ ირლანდიელები ძალიან გემრიელ კერძებს აკეთებენ, ჩემი სახლიდან ყოველთვის ყველაზე გემრიელი საუზმის სუნი გამოდის. არასდროს მეშინია, მეგობრების სახლში დაპატიჟების, რადგან ყოველთვის ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ცოლი ყველას გემრიელი კერძებით გავგიმასპინძლდება. დღესაც მა-



ხსოვს, როცა არაონი დაიბადა, ლონდონის არცერთ პაბში არ დამიტოვებია ადამიანი, ვისთან ერთადაც ჭკუის დაკარგვამდე არ გამოვტყვევრი. როცა ფილმებიდან შემოსავალმა იმ ნიშნულს მიაღწია, რომ თავისუფლად შემეძლო, ოჯახის ნებისმიერი წევრი დამესაჩუქრებინა, მეუღლეს მანქანა ვუყიდე და სპეციალურად ნომერიც ავიღე – ჯონსი 99, ჩემთვის კი – ჯონსი 100. მართალია, მილენი ძალიან კარგი ცოლია, მაგრამ ვერასდროს გახდება 100 პროცენტით ჯონსი.

წარმოშობით ინგლისელი ვარ, მაგრამ როცა უელსის ნაკრებიდან შემოთავაზება მივიღე, ბევრი არც მიფიქრია. სახლში ნამდვილად ვერ დავვადებოდი და ვერ დაველოდებოდი ჩემით აღფრთოვანებული ტერი უენეიბლზის დაძახებას ინგლისის ნაკრებში“.

ვისაც 90-ანების გარიჟრაჟზე უიმბლდონი ახსოვს, ისიც ემასხოვრება, რომ ეს პროვინციული გუნდი ინგლისურ პრემიერ ლიგაში თავს მხოლოდ იმით იწონებდა, რომ მისი ბიჭები მაგრად ჩხუბობდნენ, ლენავდნენ და იგინებოდნენ. ეს ყველაფერი კი არა პაბებში, არამედ მოედანზე ხდებოდა. მათთვის სანახაობაც და პურიც ბურთის გაგორებით იწყებოდა. მსაჯის სასტვენის შემდეგ, მოედანზე ნამდვილი ნადირობა ცხადდებოდა, როგორც ამერიკულ ფეხბურთში ხდება-ხოლმე, ყველა „თავის კაცს“ ეძებდა დასაგდებად.

„ჩელსისთან მატჩში მასხოვს, მეტოქე ზუსტად 3 ნაშმი წავაქციე. მსაჯმა ყვითელი ბარათი ამიფრიალა ცხვირწინ, როგორც მერე გავიგე, ამ უხეშობით მსოფლიო რეკორდებში შევედი. პრესა და ტელევიზია ყველა ჩვენზე წერდა, ცუდ აღზრდაში და ფეიერპლეის ტრადიციის დანგრევაში გვადანაშაულებდნენ. ნაჯახო, ნაჯახო – მიყვიროდნენ ტრიბუნებიდან. თუმცა, ეს სულ სხვა ფორმაციის გუნდი იყო. აქ დედიკოს ბიჭებისთვის ადგილი არ იყო, უიმბლდონში მხოლოდ ცუდი ბიჭები აგორებდნენ ბურთს. ვისაც ეს არ მოსწონდა, შეეძლო ბადმინტონით დამტკბარიყო. გახსოვთ „ლიდს იუნატიციდი“? ლი ბოიერი, ალან სმიტი, ჰარი კუელი და კომპანია – იქ ყველა ჩხუბობდა, მინდორზეც და მის გარეთ. სხვანაირად შენ ადგილს პრემიერ-ლიგაში ვერ დაიკავებდი. ეს არაა ესპანეთის ჩემპიონატი და არც იტალიაა. იქ ფეხბურთელები სხვა საზომით ხდებიან.

აქ კი, თუ გინდა, პუბლიკამ შეგიყვაროს, ამისთვის შენც უნდა გააკეთო რამე, გარდა იმისა, რომ ბურთს კარგად აგორავებ. უბრალოდ, „ლიდს“ ზედმეტი მოუვიდა. ბოლოს ვილაცხამ ჯგუფურ გაუპატიურებაზეც კი უჩივლა და მგონი, ვილაცხებ უბრალოდ, აღარ აწყობდათ ასეთი „ლიდსის“ არსებობა...

ისევე როგორც „უიმბლდონში“, „ლიდსშიც“ ძნელი იყო დედიკოს ბიჭი ყოვილიყავი, ვარჯიში არ გაგეცდინა, სიგარეტი არ მოგენია, წამალზე ბარიგებთან ჩელსიში არგერბინა და ვისკის ბოთლებით კეგლი არ გეტამამა... „უიმბლდონის“ კვართი უკვე გარანტია იყო იმის, რომ ცუდი ბიჭი იყავი. ბილეთებიც იყიდებოდა და „პლიგ ლინზე“ ხალხი, როგორც კოლინუეში, სისხლის მოლოდინში იყინებოდა. აქ ფეხბურთელის თითოეულ დაცემას, როგორც კორიდაზე, ოლეს ძახილით ესალმებოდნენ...

მოკლედ, ვინი ფსიქოპატების ბანდას კაპიტნობდა და სხვაგვარად არც შეეძლო, მის უკან ათასობით გულანთებული ინგლისელი ფანი იყო. მისგან სანახაობას ითხოვდნენ, ის ხომ გუნდის მთავარი ფსიქოპათი იყო. როცა ბიგ ბენი 9-საათს ჩამოჰკრავდა, ლონდონის სამხრეთით ყველა პატარა პაბი ცარიელდებოდა და ვინრო ქუჩებში, სიმღერ-სიმღერით ადგილობრივი ქარხნის მუშები უმბლდონის თამაშზე დასასწრებად მხოლოდ იმის გამო მოდიოდნენ, რომ გაშხლართული კანტონა, ფეხმოტეხილი შერინგემი და სიმონისგან ანთილბულია-ლექს ფერგიუსონი ენახათ.

„პირველად წითელი ბარათი „არსენალთან“ თამაშში მივიღე, ეს იყო განზრახ უხეშობა, ერთი სული მქონდა, როდის დაინწყებდა მსაჯი მატჩს, რომ გრემ რიკსი წამექცია, სანამ მატჩი დაინწყებოდა, გასახდელში „ჭუჭყიანი გლეხები“ გვიწოდებდა და ამიტომ. შეჯახება მართლა უხეში გამოვიდა, რიკსის კინალამ ფეხები წავანყვიტე. თუმცა, იყო ჩემი კარიერის ყველაზე საშინელი ეპიზოდიც, „უაიბ ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემთან“ მატჩისას, ჩვეულებრივ, ორივე ფეხით შევედი ბრძოლაში გარი სტივენსონთან და... გარი მოედინდან საკაცით გაიყვანეს. ის 23 წლის იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, მოედანს ველარასდროს დაუბრუნდებოდა – ორივე ფეხი ჰქონდა მოტეხილი. გასახდელში მწვრთნელი ყვირილით შემოვარდა: „თქვენ ბარბაროსები ხართ, 11 ფსიქოპათი, მეყო, საკმარისია, თქვენთან

მუშაობის არანაირი სურვილი არ მაქვს!“

ჩვენი გუნდი პატარა უსახელო გუნდი იყო, რომელიც პრემიერ-ლიგის ბობოლბთან შედარებით, ნახევრად პროფესიული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. „ლივერპულელები“ კი, ნამდვილი არისტოკრატები იყვნენ, დიდი ხელფასებით, ძვირფასი მანქანებით და ლამაზი გოგოებით. ჩვენ კი, უბრალო მსახურები ვიყავით მათ კარზე. დღესაც მასხოვს, როგორ მოუთმენლად ველოდი უმბლდონის ფინალს, „ლივერპულთან“ თამაშს. მე ვიცოდი, რომ იმ დღეს GIANT-KILLER-ი ვიქნებოდი.

...ფინალის დღეს სტადიონზე ბევრი არავინ გვეკომავობდა. უიმბლდონელები უიმბლდონზე სულ ალბათ 5-ათასამდე იყვნენ. სტადიონი „ლივერპულის“ ფერებში იყო გადაწყობილი. ამ ყველაფერმა კიდევ უფრო დააჩქარა პროცესი, ჩვენს თავში გმირები აღმოგვეჩინა და „გოლიათი“ დაგვემარცხებინა. საბოლოოდ არისტოკრატებს ერთით ნოლი მოუვგეთ. მეორე დღიდან, როგორც მტრების, ასევე მეგობრების რიცხვმა 10-ჯერ იმატა. მენეჯერმა კვირაში 3-ჯერ მეტი ხელფასი შემომთავაზა“.

ვინი რომ მაგარი ბიჭია, ამაზეც ისიც მეტყველებს, რომ უპატრონოდ მიგდებულ, მოსანევისგან ძალაგამოცლილ და დასალევისგან თვალუზრატვენილ გაზას, გაგანია პრემიერ-ლიგის დროს, ხელი მოჰკიდა და აქაოდა, ვიცი, თევზაობაზე გიყვებო, ზელანდიის ერთ-ერთ კუნძულზე წაიყვანა. „ჰოო, ზუსტად ასე იყო, – აგრძელებს ვინი გასკოინზე საუბარს, – ვუთხარი, რომ კუნძულზე მხოლოდ 2 დღეს გავჩერდებოდი. დიდად არ ესიამოვნა, ძაღლის უკანალივით მოსანეყენი საქმიანობაა ეგ შენი თევზაობაო. ეგ კი არა, კუნძულზე მგონი მხოლოდ ორნი ვიყავით, მე და გაზა... როგორც რობიზონი და პარასკევა. პირველ დღეს, რაც კი თამბაქო და მარიხუანა ჩამოიტანა თან, ყველაფერი გააბოლა, ლუდიც იმდენი სვა, ცარიელი ბოთლებით კეგლსაც ვითამაშებდით. მეორე დღეს იმაზე გადაირია, უახლოეს გაჩერებაზე დასალევი რომ ვერ იყიდა“, – აქ ვინი თხრობას წყვეტს, კევის ცოხნას აგრძელებს, თვალები ერთ ნერტილზე უშტერდება და ჩუმად, თითქოს, თავისთვის აგრძელებს ლაპარაკს: „მთავარი იყო, მავნე ჩვევები გადაეგდო სმა და მოწევა, ჩემი მთავარი მიზანი ეს იყო. კი, სულ იფურთხებოდა და იგინებოდა და ვარჯიშებსაც პერიოდულად აცდენდა, მაგრამ თქვენ არ

იცით, რა გულის პატრონია გაზა...“

ვინი თვითონვე კარგი ადამიანი და იცის, ვის როგორ და რანაირად უნდა მოექცეს, თორემ ბრიტანეთში არც დაღვევა უკვირთ და არც გაფლანგული ნიჭი. ეგ კი არა, რაინდად კურთხევამდე, სანამ სკოტების მთავარი მწვრთნელი იყო, ფერგიუსონს ჰკითხეს, შენი ბიჭები თუ სვამენო, ამან კი უპასუხა, მე ვიპოვე ისეთი 22 შოტლანდიელი, რომელიც არ ეწევა და ახლა თქვენ იპოვნეთ დანარჩენი 22, რომელიც არ სვამსო. და მართლაც, იქ, სადაც ჯორჯ ბესტი ცეროზით მოკვდა, პოლ გასკოინის სიმთვრალე და ვინი ჯონსის შფოთიანობა ვის გაუკვირდებოდა.

...ვინი კარიერის ბოლოს „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მოთამაშე მწვრთნელი იყო, მაგრამ თამაშისთვის თავი არ დაუწებებია. ხშირად, გუნდის გადასარჩენად, მოედანზე აბსოლუტურად დაუგეგმავად, პირდაპირ მწვრთნელის სკამიდან გადიოდა, გაიძრობდა შარვალ-კოსტუმს, ამოიცვამდა „ქუინზ პარკის“ შორტს და...

„ზუსტად იმ პერიოდში მომიწია ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში გამოსვლა. გადაცემის შემდეგ ჩემმა აგენტმა მითხრა, გაი რიჩი დაინტერესდა შენითო. მეორე დღეს გაიმ პირადად დამირეკა და პატარა ეტიუდში გასინჯვა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რომელი იდიოტი იტყოდა უარს. გაიმ ცუდი ბიჭის როლში გამომცადა, შეიძლება ითქვას, ვინი ჯონსის როლზე შემამონმა. ჩემს თავს აბა, სხვა ვინ ითამაშებდა ჩემზე უკეთ. მეორე დღეს კი „კარტი, ფული და ორი ლულის“ სცენარი მივიღე მეილზე. ვკითხულობდი დიდი კრისის როლს და თითქმის ყველაფერი ჩემს ხასიათს ემთხვეოდა, ფილმის გმირთან გაორებაც კი მჭირდა.

... ყველაზე მეტად არ მომწონს, ჩემში დღემდე რომ ეძებენ ფეხბურთელს. ფეხბურთელი, სახელად ვინი ჯონსი 90-იანებში დარჩა. ახლა მე მსახიობი ვარ. არ მიყვარს წარსულში ცხოვრება და ადამიანების წარსულით დაფასება. ეგ კია რა, ფეხბურთის ყურებაზეც კი იშვითად მიმდის გული. ამ ბოლო დროს უფრო ბეისბოლს ვუყურებ, ასე მგონია, ხალხთან ეს სპორტი უფრო ახლოს. ვინი საუბარს უცებ წყვეტს. მაჯაზე შევიცარულ საათს აკვირდება. 4-ის 15 წუთია. „შენი დრო გავიდა, ძმაო, ახლა უსახლ-კარო ბავშვები უნდა მოვინახულო. კიდევ შევხვდებით“, - მიღმის GIANT-KILLER-ი.

ფოტოპროექტი

აქვს თუ არა პროფესიას გენდერი?

ავტორი სერგი ხარისაშვილი

ფოტოპროექტი მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ – ფარგლებში.



გაერო, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) დაფინანსებით, ახორციელებს ერთობლივ პროგრამას „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“. ამ პროგრამაში ჩართულია გაეროს სამი სააგენტო: UNDP (გაეროს განვითარების პროგრამა), UNFPA (გაეროს მოსახლეობის ფონდი) და UN Women (გაეროს ქალთა ორგანიზაცია).

ამ ერთობლივი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა საქართველოში, რაზეც პროგრამის ფარგლებში აქტიურად მუშაობს UNDP (გაეროს განვითარების პროგრამა).



Enhancing Gender Equality in Georgia





ლენა ნოვიკოვა

30 წლის, მამული

ლენას სულ მოსწონდა ტელევიზორში ნანახი მამული ქალები, რომლებიც ადამიანებს ექსტრემალურ სიტუაციებში ეხმარებოდნენ. თვითონაც უკვე ოთხი წელია, თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურში მუშაობს. ზოგჯერ ისეთ სიტუაციებში უწევს მუშაობა, როგორცაა ხანძარი, ნგრევა, მძიმე ავარიები. მიუხედავად ამისა, გვარწმუნებს, რომ მისი სამსახური არაფრით გამოირჩევა სხვებისგან.



ვანო კრანაშვილი

20 წლის, ბაგა-ბალის მუსიკის მასწავლებელი

ვანო თეატრალურ უნივერსიტეტში ფოლკლორის ფაკულტეტზე ქართულ სიმღერასა და გალობას სწავლობდა. როცა ბაღში მასწავლებლის ადგილი შესთავაზეს, დათანხმდა, რადგან ბავშვებთან ურთიერთობა აინტერესებდა, თან ახალი გამოცდილების მიღება სურდა. თავიდან ცოტა გაუჭირდა ბავშვების ამღერება, თუმცა ახლა ყოველდღე ზეიმებს უწყობს მათ. პატარებიც ხალისით მღერიან.



ეკა ქვლივიძე

26 წლის, მფრინავი

ეკამ სკოლის ასაკში გადაწყვიტა სამხედრო მოსამსახურე გამხდარიყო. დიდი ფიზიკური დატვირთვა, სამხედრო ფორმის ტარება, მუდმივი სკეპტიკური დამოკიდებულება მამაკაცების მხრიდან – გზა მფრინავის პროფესიამდე რთული და წინააღმდეგობებით სავსე იყო. თუმცა დღეს ეამაყება, რომ ქართული ავიაციის უახლეს ისტორიაში პირველი მფრინავი ქალია.



გიორგი კვარაცხელია

31 წლის, ფარმაცევტი

გიორგიმ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო „ავერსში“ მუშაობა. ამბობს, რომ ფარმაცევტობაში ყველაზე მეტად მოსწონს ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა და იმის შეგრძნება, რომ სხვებს ეხმარება.



ლელა ხარშილაძე

24 წლის, ტელეოპერატორი

როდესაც მარნეულის ტელევიზია იხსნებოდა, მეგობარ ჟურნალისტს გასაუბრებაზე გაჰყვა და მაშინ პირველად დაიჭირა ხელში ვიდეოკამერა. მას შემდეგ მუშაობს ტელეოპერატორად და ყველა პრესკონფერენციაზე პირველ რიგში დგას.



ედგარ არუთუნიანი

26 წლის, მკერავი

ედგარმა მკერავის პროფესია შეგნებულად აირჩია. ამბობს, მკერავი მამაკაცები გარშემო არ იყო და ამ საქმის შესწავლა ამიტომაც გადაწყვიტა. ბოლო 5 წელია, პეკინის №2-ში მდებარე ატელიეში მუშაობს და ყველანაირი სტილის ტანსაცმელს კერავს.



გიორგი ლომიძე

25 წლის, დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი

გიორგის პროფესიულ არჩევანზე ბევრი არ უფიქრია. ყველაზე მეტად სიმაღლეზე მუშაობა მოსწონს. თვეში ორჯერ ძალიან მაღალი შენობების განმენდა უწევს – იუსტიციის სახლი იქნება ეს, თუ „პიქსელის“ შენობა. მისი თქმით, ასე, ყოველ სამუშაო დღეს, ორგანიზმს – ადრენალინი, გონებას კი მძაფრი შეგრძნებები გარანტირებული აქვს.



ხატია შავერლაშვილი

26 წლის, „ბაზისბანკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი

ხატია პროგრამირების ფაკულტეტზე შემთხვევით მოხვდა, თუმცა ახლა თავისი პროფესია ძალიან მოსწონს. იცის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებაში მომუშავე გოგონას დანახვა დღესაც ბევრს აკვირებს. ამიტომ თვითონ განსაკუთრებით ეამაყება, რომ ტექნიკის ენას ზედმიწევნით კარგად ფლობს და თანამშრომლებსაც და მეგობრებსაც ხშირად ეხმარება.



SINCE 1884

SARAJISHVILI

შარაიშვილი

სხანი შეპირდაღი

ლიტერატურა



მოსტროვა
ის დღე
თამთა მალაშვილი

პოეზია
კატო
ჯავახიშვილი



როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი

ავტორი ლაშა ბულაძე
ილუსტრაცია თათია ნადარაიიშვილი

„გუშინ ყრილობაზე მეექვსე თუ მეშვიდე რიგში ვიჯექი. მოვიხედე უკან – ბორის პასტერნაკი. მივედი მასთან და წინა რიგებში (ჩემ გვერდით თავისუფალი სავარძელი იყო) გადმოვსვი. მოულოდნელად გამოჩნდნენ კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ანდრეევი, ყდანოვი და სტალინი. რა დაემართა დარბაზს! იგი კი იდგა, ოდნავ დაღლილი, ჩაფიქრებუ-

ლი და მედიდური. იგრძნობოდა ძალაუფლებისადმი უდიდესი მიჩვევა, ძალა და, ამასთან ერთად, რალაცა ქალური, რბილი. ისევ უკან მოვიხედე: ყველას შეყვარებული, ნაზი, მადლმოფენილი და მომღიმარი სახე ჰქონდა. მისი დანახვა – მხოლოდ დანახვა – ყოველი ჩვენგანისთვის უდიდესი ბედნიერება იყო. მას რალაც სიტყვებით ნამდაუნუმ

მიმართავდა დემჩენკო. ჩვენ კი ვეჭვიანობდით და ყველას მისი გვშურდა – ბედნიერი! ყოველ მის ჟესტს მოწინებით ალვიქვამდით. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მსგავსი გრძნობები დამეუფლებოდა. როდესაც ყველა ტაშს უკრავდა, მან ამოიღო საათი (ვერცხლის) და მომხიბვლელი ღიმილით აჩვენა აუდიტორიას – ჩვენც ეგრევე

ავჩურჩულდით: „საათი საათი, საათი გვიჩვენა“ – და შემდეგ, როდესაც ვიშლუბოდით, უკვე გასახდელთან კვლავ ვიხსენებდით ამ საათს. პასტერნაკი და მე ერთმანეთს ბავშვური აღტაცებით ვუჩურჩულდით რაღაც ამალღებულ სიტყვებს და ბოლოს ორივემ ერთხმად ვთქვი: „ოჰ, ეს დემჩენკო, როგორ ეფარებოდა მას!“

სახლში პასტერნაკთან ერთად მივდიოდი და ორთავე ჩვენი სიხარულით ვტკბებოდით“.

ეს ჩუკოვსკის სიტყვებია, საბავშვო მწერლის.

დღიურში ჩაინერა, თავისთვის. სხვა ცნობილ რუს მწერალზე, ალექსეი ტოლსტოიზეც ამბობდნენ, რომ დღიურს წერდა, თუმცა ჩუკოვსკისგან განსხვავებით (ან ჩუკოვსკის მსგავსად) საშინლად არაგულწრფელს. უფრო სწორად, გულწრფელად არაგულწრფელს. და როგორც გაირკვა, მისნაირად სხვაც ბევრი ჰყვებოდა თავის ცხოვრებას.

ოღონდ, საინტერესოა, როგორ ცხოვრებას?

კაცი ყოველდღიურად იწერდა განვლილი დღის მოვლენებს, შთაბეჭდილებებს, აზრებს, მაგრამ არც განვლილი დღე იყო ისეთი, როგორსაც აღწერდა, არც შთაბეჭდილებები და არც მით უმეტეს აზრები.

ეს კაცი დღიურს ტირანისთვის წერდა.

დასაჭერად რომ მისულიყვნენ, მისი ქალღმერთები გაექეპათ და ეს დღიური აღმოეჩინათ, ადვილად დარწმუნდებოდნენ, რომ მასზე ერთგული სტალინის არავინ ჰყავდა. დღიურშიც ტყუილებს ხომ არ დანერდა!

მაგრამ წერდნენ. წლების განმავლობაში. საშინაო დავალებასავით. ყოველ ღამე ერთი სიმულაციური დღის აღწერა... ერთი განვლილ-არ განვლილი, არ არსებული დღის თხრობა... სასიყვარულო ხოტბის აღვლენა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო საბჭოური ღმერთისთვის.

თუმცა როცა წლები ამ საქმით ხარ დაკავებული (თუკი, ვთქვათ, ჩუკოვსკი-ტოლსტოიზე შექმნილი ლეგენდის მიხედვით ვიმსჯელებთ), ბოლოს, ცხა-

დია, სწორედ შენ მიერ შექმნილი ფიქცია მოგეჩვენება რეალობად... რადგან, არც მეტი, არც ნაკლები, შენს გადარჩენას ჩაწერ ამ ფსევდო-დღიურში. ოღონდ კარგად უნდა წერო. დამაჯერებლად. გულწრფელი სიყვარულით, თორემ თუკი ჩეკისტები ვერა, ბელადი ხელად აღმოგიჩენს ხელოვნურობას. სტალინი ავი მკითხველია; წითელი ფანქრით ხელში უზის წიგნებს: მინდორი საესეა მისეული მინანერებით: „სისულელეა!“, „და რა?“, „ხა-ხა-ხა“...

და როცა მართლაც გადასახლდები შენ მიერ მოგონილ დღეში, როცა მართლა შეიყვარებ ბელადს და როცა ფიზიკურად ნაცხოვრები დღე სიზმრად გაგახსენდება, ჩეკისტი მაშინ მოგადებს კეფაზე იარაღს... როგორც დაჩლუნგებულ მოხელეს, „1984“ წლის ბოლო გვერდზე.

საბავშვო მწერალი ჩუკოვსკი შეყვარებულია. ჰო, ეს სასიყვარული წერილია და არა მემუარული ჩანახატი. შეიძლება ოდესღაც ცინიკური იყო, ან, სხვათა მსგავსად, მანაც თავის გადასარჩენად დაიწყო ფიქტიური დღიურების წერა, მაგრამ აქ უკვე გატეხილია, აქ უკვე უიმედოდ აგზნებული წერს...

სინამდვილეში ხომ სწორედ მაშინ გიყვარდება, როცა მართლა გაშინებენ. იქ, სადაც ნახევრად გეშინია, სიყვარულიც არაა სრული. ისტორია გვასწავლის: როცა გეშინია, ბელადი ფიზიკურადაც გიზიდავს. გინდა შეგეხოს, მოგაფეროს, დაგამშვიდოს...

ამ მოგონებაში კარგად ჩანს – სტალინი მასზე შეყვარებულ და მისით სასიკვდილოდ შემინებულ მწერლებს ეპრანჭება... ტრიბუნაზე დგას ყოვლისშემძლე მომფერებელი (თუ მოსაფერებელი) არსება, მოუხელთებელი საყვარელი, ერთგვარი კეკლუც-სასტიკი კატა... ფისო-ჯალათი...

ოღონდ ეს სიყვარული ბევრს შეინიარავს. უმეტესობას უპასუხო ვენება მოკლავს. თუმცა (და შეიძლება სწორედ ამიტომაც) დარბაზი ფლუიდებითაა სავსე. ამ ფატალური ერექციის ბოლო სიკვდილია და არა ორგაზმი.

მწერალი აგზნებულია, თითქოს ჩანახატს კი არა, ეროტიკულ სცენას აღწერდეს: შემოგვხედე, შეგვეხე, გვაკოცინე...

ოდესღაც, სტალინიც ვნებიან წერილებს უგზავნიდა თავის გადასახლებიანდროინდელ საყვარელს: „გოცნით მაგრად. სხვანაირ კოცნას აზრი არა აქვს. თქვენი სულელი იოსები“.

ჰო, სხვანაირ კოცნას აზრი არა აქვს...

მსახიობი აკაკი ხორავა ყვებოდა, როგორ მიიწვია ბელადმა აგარაკზე აფხაზეთში. რაღაც ქეიფის მსგავსი გამოსულა და ოდნავ შემთვრალან კიდეც (ყოველ შემთხვევაში, ხორავა ასე ამბობს „ვლელავდი და მალე მომეკიდაო), ბოლოს კი, წამოსვლის წინ, კოცნის უფლებაც მიუცია მისთვის.

„მინდოდა ლოყაზე მეკოცნა, – იხსენებს ხორავა, – გავიწიე კიდეც, მაგრამ ბოლოს შევდრკი... ვერ შეგებედე... მხარზე ვაკოცე“.

მაგრამ როგორ უნდოდა...

„ბერლინის დაცემის“ ფინალშიც სტალინ-გელოვანს მხარზე კოცნის მასზე შეყვარებული პროლეტარი, თუმცა მანამდე რიხით და ჟინით ეუბნება: „შეიძლება, გაკოცოთ?“.

ეს პროლეტარი ბელადის სექსუალობით შეპყრობილი ასექსუალური ლოლიტაა, რომელთა ნაკლებობასაც, პრინციპში, სტალინი არც არასდროს უჩიოდა. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მხოლოდ კობა იყო. საბრალო აქსელერატი ლიდია პერეპრიგინა ცამეტი წლის ასაკში გახდა მისი საყვარელი და როგორც ამბობენ, შვილიც გაუჩინა – მავანი ალექსანდრე, რომელიც სტალინის ზეობის დროს უცნაურად სწრაფად აიქანა მაიორის ჩინამდე. ძველი ლოლიტები დროდადრო ტაქტიანად ახსენებდნენ თავს: „ძვირფასო ძმაო იოსებ ბესარიონის ძე, მე ვარ ლიზა, თქვენი ძალიან ლამაზი მეზობელი, რომელიც მხარში ედგა დედათქვენს თქვენი ციმბირში ყოფნის დროს...“

მაგრამ ეს უწინ. ახლა კი კობას სხვანაირი ლოლიტები სჭირდება. ახლა სხვანაირად უნდა ემტკიცებინათ მისთვის სიყვარული. როგორც ჩუკოვსკის. როგორც პასტერნაკს. როგორც ტოლსტოის.

ოღონდ დასაშვები იყო ჭირვეულობაც: „მშობლიურ, ძვირფასო, საყვარელო, რატომ დამივიწყე, რატომ არა მწერ? (პოეტი დემიან ბედნი)“.

„ჩვენ უნდა შევხვდეთ, საყვარელო იოსებ ბესარიონის ძევ, და სიკვდილ-სიციოცხლეზე ვილაპარაკოთ“ (ბ. პას-ტერნაკი).

„თავს მოვიკლავ, თუკი ამხ. სტალინი არ დამირეკავს“ (მ. ბულგაკოვი – სტალინის მდივან პოსკრებიშევს).

„ცუდად ვარ... გული მერევა“ (შოს-ტაკოვიჩი – სტალინი).

ეს ავადმყოფურად შეშინებულ სა-ტრფოთა ამოძახილება...

თუ არ გეფერება, ესე იგი, მოკვლას გაპირებს... ამიტომ შენ უნდა დაასწრო.

„ჩვენი მონაზონი როგორ გრძნობს თავს?“ – სტალინი მონაზვნად მოი-სხენიებს პოეტ ანა ახმატოვას. და ეს მხოლოდ მოსხენიება არაა, ეს ვალ-დებულებაა. მასხადამე, მონაზვნად ყოფნაა საჭირო. თორემ დიდი კავკა-სიელი საყვარელი იეჭვებს, განრისხ-დება და ღმერთმა ნუ ქნას, შესაძლოა შურიც იძიოს. არავის არ უნდა მიეცე, მხოლოდ ბელადს... გადარჩები, თუკი ღმერთს გაუწევ ცოლობას. ამიტო-მაც ეჭვიანობს ქმარივით, როცა ანა ახმატოვასთან მთელი ღამით რჩება ახალგაზრდა ისაია ბერლინი (თანაც რა საეჭვო სახელ-გვარია). „ბოზი“, – ქირქილებს.

„შეეშვით ამ ცის მობინადრეს“, – ამბობს სტალინი დასაჭერად გამზადე-ბულ პასტერნაკზე, – „შეყვარებული-ვით ჰაერში დაფრინავს“. და მას მარ-თლაც ეშვებიან... მოსკოვის ცასა და მინას შორის გაკიდებულს.

და ესენიც წერენ, წერენ სამადლო-ბელ დღიურებს, როგორც ადრესატთან გაუგზავნელ (მაგრამ, სავარაუდოდ, ადრესატის მიერ წაკითხვად) სასიყვარულო ბარათებს...

ჰო, რთულია, არ შეგიყვარდეს, როცა დესპოტი თავად გეპრანჭება.

სტენდალი (ესეც დღიურში!) ვრ-ცლად აღწერს იმ ეპიზოდს, როცა ნა-პოლეონმა ტუილრის ბაღში ჩაისიერნა და მას ღიმილით გამოხედა (“თვალე-ბი არ უღიმოდა, თუმცა აშკარად კე-თილგანწყობილი იყო ჩემ მიმართ”). აქ სტენდალს ერთი ქალბატონის სიტყვე-ბიც მოჰყავს, რომელიც დანანებით ამბობს, თუკი ბონაპარტმა ერთხელ მაინც ჩაგხედა თვალეში, ძალიანაც რომ ეცადო, ვეღარ დაივიწყებო. მე კი

არა იმდენად დესპოტებთან, რამდენა-დაც.

თვალეებით კომუნიკაციასთან ასო-ციაციის გამო, ქართველი მუსიკოსი ქალბატონის მოგონება მახსენდება, რომელიც მას 1994 წლის ერთ მონყე-ნილ საღამოს წასცდა: „თუკი ზვიადი (ესე იგი, პრეზიდენტი, მაშინ კი დი-სიდენტი ზვიად გამსახურდია) მზერას გაგისწორებდა, როგორც არ უნდა მოგენდომებინა, მეორედ აღარაფრით ჩაგხედავდა თვალეში. სად აღარ ვდ-გებოდი, როგორ აღარ ვუყურებდი, მაგრამ თვალეში არც ერთხელ არ შე-მოუხედავს... ამ დროს, ხომ ვგრძნობ-დი, მხედავდა.“

თვალეები არა, მაგრამ ჰაიდეგერს ჰი-ტლერის ხელები შეჰყვარებია. „ასეთი ლამაზი ხელები, როგორც ადოლფ ჰი-ტლერს აქვს, იშვიათად მინახავს... ეს დიდი, ღრმა და სათნო ადამიანის ხე-ლებია“.

თავად ჰიტლერს კი იოსებ გებელსი ანცვიფრფევს:

„– როგორ შეიძლება, ადამიანი ასე ლაღად იცინოდეს და ცუდი კაცი იყოს, – ეუბნება ლენი რიფენშტალს, – შეხე-დეთ, როგორი მომხიბვლელია...“

ლენი, ცხადია, თავადაა შეყვარებუ-ლი, მას ჰიტლერის „გვერდით ყოფნა ათბობს“. არ ამხელს, მაგრამ მისი შე-ხება და აღერის უნდა. ამას ფიურერიც გრძნობს, უცებ ეხვევა და კისერზე კოცნის, თუმცა მოულოდნელად იშო-რებს.

„– არა, – ამბობს, – ჩემთვის ქალის სიყვარული არ შეიძლება, მე გერმანია უნდა მიყვარდეს!“

ჰო, მთელი გერმანია... კაციან-ქა-ლიან-ბავშვიან-ცხოველებიანად.

რიჰარდ ვაგნერის რძალი, მგზებარე ჰიტლერელი ვინიფრიდ ვაგნერი, ათწ-ლეულების თვითგვემისა და მონანიე-ბა-ბოდიშების შემდეგ (ადვოკატებმა ძლივს მიაღწიეს მის „დენაციფიკა-ციას“), სიკვდილის წინ, უკვე მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში, უცებ ისევე ფიურერის თვალეებზე იწყებს ლა-პარაკს და გაოგნებულ ჟურნალისტს შეყვარებული თინეიჯერის გულწრფე-ლობით უმხელს: „ახლა რომ „ვოლფი“ შემოვიდეს ამ ოთახში, ჩემზე ბედნიე-რი არავინ იქნებოდა, ულამაზესი გა-

მჭვირვალე თვალეები ჰქონდა...“

ჰო, სიყვარული და სილამაზე ძალაუ-ფლების აუცილებელი ატრიბუტებია. ცახეს ცინობერი ვარსკვლავებიჭუნად უნდა მოგეჩვენოს. ოღონდ ცახესი ვერ შეიცვლება, შენ უნდა იმუშაო საკუთარ თავზე – როგორმე უნდა მოინონო...

შეყვარებულები ჩვენც ვყოფილ-ვართ. და არა მხოლოდ დესპოტებში. ოღონდ აქ შიშთან და კეკლუცთან ერთად, იმედიც მნიშვნელოვანია. ეე-პრანჭვით მას, ვინც, როგორც წესი, არანორმალურად, ავადმყოფურად და უაპელაციოდ გვეიმედება.

ისტორიამ დიდი სიყვარულის ერთი სენტიმენტალური ეპიზოდი შემოგვი-ნახა: ედუარდ შევარდნაძე გადადგომას აპირებს, მასზე შეყვარებულ და მისით დაიმედებულ ხალხს მთავარი პროსპე-ქტი აქვს გადაკეტილი, კათოლიკოს-პა-ტრიარქი ილია მეორე კი, „კურთხევას აძლევს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა კვლავაც განაგრძოს ქვეყნის მართვა“. გახსოვთ, როგორ უღიმიან ერთმანეთს მეთაური და ეკლესიის საჭეთმპყრო-ბელი? როგორ უყურებენ თვალეში (ეს უმცირესი პაუზაა, მაგრამ რაოდენ მრავლისმთქმელი), მერე კი სახეგაბა-დრულები, თითქოს შერცხვენილები, მაგრამ ბედნიერები კოცნიან ერთმა-ნეთს.

ეს ამბორი სიყვარულისაა. აქ მათ ჩვენც ვკოცნით (პატრიარქს ქვეყნის მეთაურის პირით, ქვეყნის მეთაურს – პატრიარქის); ამ ამბორში ჩვენც ვეკვებებით. ჩვენც ვეჭეჭყებით ჩვე-ნი იმედებითა და შიშებით. ოღონდ ამ ადიულტერზე არავინ ბრაზობს, რად-გან ეს ქორწილს უფრო ჰგავს, ვიდრე ცალმხრივ სიყვარულს.

თუმცა მე ისიც მახსოვს, როგორი გა-ბუტული უყურებდა გადამდგარი ექს-პრეზიდენტი პატრიარქს 2003 წლის ნოემბრის მიწურულს... ჰო, როგორც ნანყენი და მოტყუებული სატრფო. პა-ტრიარქმა მას საჩუქარიც კი მიუტანა მაშინ (პატარა ხატი, სამწუხაროდ, არა წმინდა ვალენტინის) და მორიდებით უთხრა, თქვენ სასწაული მოახდინეთო, თუმცა ნალალატეე მეგობარს არაფერი უპასუხია...

ამ დროს, როგორ ვეპრანჭებო-დით მანამდე ამ უფროსს. ერთმა

მომღერალმა ქალბატონმა ჩემი თანდასწრებით შესჩვილა: ბატონო ედუარდ, მომღერლებს თქვენი მოფერება გვაკლიაო...

ჰო, მაინც და მაინც მისი მოფერება უნდოდა. მოხუცი და მაგიურად მიმზიდველი პრეზიდენტის – შეკრულ მუჭში ჭრელი ფანქრებით, „სტალინური“ ჭიქით და გაუცინარი თვალებით.

ისიც მახსოვს, როგორ გაეპრანჭნენ ერთმანეთს დიდი რეჟისორი და დიდი პრეზიდენტი. პრეზიდენტი სპექტაკლიდან გამოვიდა და ყველას (უპირველეს ყოვლისა კი, წარმოდგენის რეჟისორის) გასაგონად თქვა: „სილა გაგვანა – ბღღვირი გაგვადინა...“ ამ დროს, რა ბღღვირი, რის სილა, მგონი, ეძინა სპექტაკლზე. მაგრამ იცოდა, შეყვარებულს ესამოვნებოდა. თუკი სწორად არ შეურჩევდა კომპლიმენტს, შესაძლოა ეკბინა კიდეც, დაეპორტყუნა, ცუდად ელაპარაკა მასზე... და მახსოვს, როგორ გაინაბა „სილის გამნავი და ბღღვირის გამდენი“, როგორ მოხუჭა თვალები სიამოვნებისგან... „ვუყვარვარ, ჩემი ეშინია, სილას ვანნავ... და მეც მეშინია მისი“.

სიყვარულის ამგვარი ენის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა ჩვენს მომდევნო პრეზიდენტს. თუმცა ტესტოსტერონების სიჭარბე აქაც საგრძნობი იყო. ეს სიყვარული, საერთოდ, ნებაყოფლობითი გაუპატიურებით დაიწყო. მოგვწონდა, რომ გვიყვიროდა, გვცემდა და მათრახებს გვირტყამდა... ეს რალაც ახალი და უჩვეულო იყო ჩვენთვის.

ამბობდნენ, რომ ის ყველას ეპრანჭება ყოვლისშემძლე და თავშეუკავებელი იუპიტერივით... ერთხელ, წლების წინ, გამარჯვებული და ბედნიერი უჯდა რომელიღაც პროვინციულ აუზს (ამ შემთხვევაში, როგორც პოსეიდონი), მის წინ კი – და მხოლოდ მისთვის – ლეგიონებად ცეკვადნენ ბედისა და მისი გულის მძიბელი ქალები და კაცები. სალომეას ცეკვის მსგავსი იყო. ოღონდ ერთგვარი კოლექტიური სალომეასი: „Tanz Für mich, Salomee!“.. თუმცა ისეც არავის უცეკვია, ვინმესთვის თავის მოჭრა რომ გამხდარიყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში, იქ და იმ დროს...

ერთი კია: ფალსიფიცირებულ დღიუ-

რებს აღარ ვწერდით, მაგრამ უმეტესობა მისთვის გასაგონად ვლაპარაკობდით ტელეფონზე... ვაითუ გვისმენენ? ვაითუ გვისმენს?

ნაცნობი მყავს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ტელეფონში ერთს ლაპარაკობდა და მეორეს – უტელეფონოდ. სულ სხვა კაცი ხდებოდა ტელეფონზე თვითგამოხატვის დროს. სხვა ხმა ეძლეოდა, სხვა თემები, სხვა აზრები... იქ შეყვარებული იყო (როგორც ტოლსტოი თავის კათარტულ დღიურში). და ეს ნამდვილი ავადმყოფობა გახლდათ – შეყვარებული და შეშინებული კაცის სტრესი... უკუენა. ენა-კოდი. სარკეში წასაკითხი (მოსასმენი) ტექსტი.

რამდენი გვილაპარაკია ასე ტყუილად...

სიყვარული და შიში შიზოფრენიად გვექცა: სანამ ლაპარაკს დაიწყებდნენ, ადამიანები ნაწილ-ნაწილ შლიდნენ ტელეფონს. იმ იმედით, რომ ვერაფერს გაიგონებდნენ დაქუცმაცებული გულიდან...

სასიყვარული რომანის ბოლოს კი ისევ ჯორჯ ორუელის რომანში აღმოვჩნდით: გავრცელდა სრულიად დამაჯერებელი ტყუილი, რომ არათუ ტელეფონებიდან, არამედ ტელევიზორებიდანაც კი გვისმენდნენ... და ჯანდაბა, გვიყურებდნენ კიდეც! აბა, ვის ვუყვარვარ და ვის არა?

ეს უკვე სიყვარულიც არ იყო, რალაც დამთრგუნველად პერვერსიულ და იდუმალ თამაშში მოვხვდით: თუ გიყვარვარ, მაყურებინე...

აბა, სხვანაირად როგორ! რამდენჯერ დამიჭერია ჩემი თავი: როცა სახელმწიფოს მეთაურს ელიმობოდა, მეც შეყვარებულივით ვიღიმოდი. უნებლიედ. ინსტინქტურად.

რადგან ჰიტლერის ბრძნული სიტყვების არ იყოს, თუკი ბელადს კარგი ღიმილი აქვს, ესე იგი, კარგი ადამიანიც უნდა იყოს. ღიმილიანთა შეყვარებას კი უფრო ადვილად შევძლებ.

მეთაურთა გაცინება და ჩემი რეფლექსიური გაღიმება ერთია (მერე კი – კომპლექსი და სირცხვილი: რატომ მეღიმება მასთან ერთად?).

ახლაც ვიღიმებით, როცა ახლადმოსული პრემიერ-მინისტრი ხუმრობს...

მნიშვნელობა არ აქვს, წარმატებულად თუ წარუმატებლად.

ჟურნალისტიები (განსაკუთრებით, ისინი, ვინც პრემიერის უცნაურ და ირაციონალურ სიტბოს გრძნობენ) და მისთვის მცხოვრებ-მოსაუბრე პოლიტიკოსები შეყვარებული გოგო-ბიჭებივით, ექსტაზისგან სახედამანჭულები უცქერენ-ხოლმე და ლამისაა კანიდან გამოძვრენ, ოღონდ კი სიყვარულის დამტკიცება შეძლონ მისთვის. ის კი, პრემიერი, აშკარად ჩანს, ჩვენდა სამწუხაროდ მაინცდამაინც ისეთებს ეპრანჭება, ვინც მის გარდა ფაქტობრივად არც არავის მოწონს; და ჩვენც, უფრო ლამაზები, უფრო ვნებიანები და ობიექტურად უფრო კარგები, საშინლად ვეჭვიანობთ (როგორც ვინმე დემინკოზე ეჭვიანობდნენ ჩუკოვსკი და პასტერნაკი), როცა ახალი მმართველი შეყვარებულივით სახელით მიმართავს რომელიმე შავრაზმულ-მონსტრუალური გაზეთისა თუ მედიის წარმომადგენელს...

ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩვენს სატრფოს გემოვნება არ ჰქონდეს?

მაგრამ აქ სხვაგვარ პრობლემასთანაც გვაქვს საქმე: ჩვენი ახალი საყვარელი თავადაა უთავებოლოდ შეყვარებული... ოღონდ საკუთარ თავში.

შეიძლება ითქვას, რომ მისი მთავარი სატრფოც სწორედ თვითონაა. მეთაურის გულის მოგების შანსი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუკი მასვე დავემსგავსებით – რადგან, ფაქტია, თუკი ვინმეს შეიყვარებს, ოდენ თავის მსგავსს.

თუმცა, საბოლოოდ, რამდენი დღიურიც არ უნდა წერო, როგორც არ უნდა ემსგავსებოდე და რამდენი ხანიც არ უნდა ელოდე უმაღლესი სატრფოს დამაიმედებელ პასუხს, დაგლეჯილი ბარათები, დაშლილი ტელეფონები და იმედგაცრუებისგან დაქუცმაცებული გულები ყოველთვის შეგახსენებენ, რომ არავინ და არაფერია მოტყუებულ შეყვარებულზე უფრო სასტიკი...

შურს აუცილებლად იძიებს.

რადგან ეს სიყვარული მალე გადის. და თან არაგულწრფელია.

ამ ღიმილთა ნდობა არ შეიძლება.

მკვდარი მირაბო სამჯერ ამოთხარა მასზე შეყვარებულმა ბრბომ.



ის დღე

ავტორი თამთა მელაშვილი
 ილუსტრაციის თათია ნადარეიშვილი

ისეთი იყო: თითქოს მეხი დამცემოდეს. რა დაგიშავე-მეთქი, დედიკო, რა დაგიშავე, – ესლა ვუთხარი. ასე, უკან-უკან წავედი. ან ეს კარი როდის გამოვალე, ან კიბე როდის ჩავიარე, ან ქუჩაში როდის გავვარდი. ერთი კი მახსოვს, იმას ვფიქრობდი, ახლა არავინ უნდა დამინახოს, არავინ უნდა დამინახოს-მეთქი. დავდექი გაჩერებაზე და გამიმართლა, არავინ შემხვედრია. მოვიდა რაღაც ავტობუსი და ავვარდი ეგრევე, არც ნომრისთვის შემიხედავს, არც ხალხისთვის. დავჯექი ასე მოკუნტული. მერეღა აღმოვაჩინე – ჩანთა მქონდა ხელში. მოვუჭირე ამ ჩანთას ხელები და აგერ, დავინახე, მძღოლს თავზე ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა გაკრული. ნეტა-მეთქი, ღმერთო, ნეტა, რამე ლოცვა ვიცოდე, ხო შეგთხოვდი, მარიამ ღვთისმშობელო, ხო გთხოვდი, შეგავედრებდი, ტყუილი იყოს ეს ყველაფერი, სიზმარი იყოს, ცუდი სიზმარი იყოს, არ იყოს, მეჩვენებოდეს. ლოცვა მინდოდა და ვერ ვილოცე. სიტყვა ვერ გავიხსენე. არადა, ადრე დავდიოდი ხოლმე ეკლესიაში, ლოცვებიც კი წამიკითხავს. ხანდახან ჩემითაც მილოცია, ასე, ჩემი სიტყვებით. მაშინ გამომდიოდა ხოლმე. ახლა ენა ვერ მოვიბრუნე. რაც შეეძელი, პირფარი გადავიწერე რამდენჯერმე, ეგ იყო. მახსოვს, ამ დროს მითხრა ვიღაც გოგომ – გვერდით მეჯდა – ცუდად ხომ არ ხარ, ქალბატონო, ეტყობა რაღაცები ხმამაღლა ვთქვი კიდევ, და მეთქი არა, კარგად ვარ. კარგად ვარ, დიდი მადლობა. გაჩერდა ეს ავტობუსი კიდევ ერთხელ და მერე მივხვდი რომელსაც გავყევი. მაინცდამაინც ის იყო, სასაფლაოზე გამვლელი. ვიღაც ცოცხიანი და ყვაილებიანი ქალი ჩადიოდა და იმას გავეკიდე. იმას კი ჩავეყევი, მაგრამ იმას არ გავყოლივარ. ის მარჯვნივ წავიდა, ახალი სასაფლაოებისკენ, მე მარცხნივ წავედი. ბევრი არც მივლია, ვერ შეეძელი. რომელიღაც საფლავზე შევნიშნე, ძელი იყო რაღაც გადებული – სკამივით, შევედი შიგნით და ჩამოვჯექი. ჩამოვჯექი და ამივარდა ტირილი. თავი აღარც შემიკავებია, აღარც დამიშლია საკუთარი თავისთვის. მარტოდ ვიგრძენი თავი და ამოვუფუჭი. თუ ვინმე დამინახავდა შორიდან, ჭირისუფალი ვეგონებოდი, ახლოს კიდევ ვინ მოვიდოდა ნახევარი საუკუნის მკვდართან. არც აღდგომა ყოფილა რამე, არც სხვა დღესასწაული. ვიტირე და ვიტირე, სულ დავისივე თვალები. თავიდან ისე ვიტირე, არა ვფიქრობდი. მერე თან ვტიროდი, თან ფიქრი დავიწყე. ფიქრი დავიწყე და თან იმას ველაპარაკებოდი. ასე ვიცოდი – სულ იმას ველაპარაკებოდი, რაც დაიბადა, იმის მერე.

სანამ დამებადებოდა, მანამდეც. მაინც იმის მეტი მე არასოდეს, არავინ მყოლია. რა დაგაკელი, დედიკო-მეთქი, ვფიქრობდი, და იქნება და ჩემი ბრალი იყო ყველაფერი? სილარიბეში და ამობრუნებულ ტაბურეტში რომ გავზარდე, მაგიტომ? უმამოდ რომ გავზარდე, მაგიტომ? კაცი მისი დამლაპარაკებელი რომ არ იყო ოჯახში, მაგიტომ? იქნება და მამამისი რომ მირტყამდა ფეხმძიმობაზე, მაგიტომ? იქნება და არ იყო ჩემი ბრალი? იქნება და სულ ის ეშმაკის მანქანა იყო ყველაფერი? რაც ის მოიტანა დღე აერია და ღამე, ოთახიდან აღარ გამოდიოდა. იქნება და მართლა კომპიუტერმა დამართა რამე? არადა, შვილო, რა სახე ჰქონდა, რომ მოიტანა. ასე ბედნიერი მე ეგ ბავშვობის მერე არ მინახავს. იქნება და იმ თავის ნაგროვებ სტიპენდიაზე არ უნდა წამემატებინა ჩემი საცხოვრის ქალების ლატარიის ფული? მაგრამ როგორ არ მექნა ეგ, მითხარი? მერე მისი სახე დამიდგა თვალწინ, ის სიტყვები რომ მითხრა. აქამდე ვერაფერს ვხედავდი და უცებ დამიდგა თვალწინ. მითხრა ის სიტყვები და იქვე მოკვდა. მითხრა და იქვე მომიკვდა, თვალი ვერ გამისწორა. ღმერთო, მე კიდევ ასე გამოვვარდი დამთხვეული ქალივით, მივატოვე, მარტო დავტოვე. ჩემი მარტოობაში და სიმწარეში გაზრდილი შვილი სულ მივატოვე. რამე რო

ბალერა



გიორგი ზიზიბაძე

უქნას თავის თავს? არაფერი უქნას თავის თავს – გამკრა და წამოვვარდი ფეხზე ეგრევე. გიჟივით დავიწყე ჩანთაში ხელების ფათური, ტელეფონს დავუწყე ძებნა. არ მქონდა. ეტყობა მაგიდაზე მივატოვე იქვე, როცა გამოვიქეცი. აბა, ტელეფონი ვისლა გაახსენდებოდა. საათიც არ მქონდა, არაფერი. არადა, ის მანქანა სამზე უნდა მოსულიყო და წაეყვანა. გამოვიქეცი თავპირისმტვრევით, მაგრამ სანამ იმ საფლავიდან გამოვიდოდი ერთი კი შევავლე მზერა ქვას. ქალი იყო, ჭალარა. ნეტა-მეთქი, შენ როგორი დედა იყავი, როგორი შვილი გყავდა?

ავტობუსი დავინახე შორიდან, მოდიოდა და გავეკიდე. მივუსწარი გაჩერებაზე. გიჟივით ავირბინე კიბეები, ახლა უკვე სულ ერთი იყო ვინ დამინახავდა, ვინ არა. ვის რას გამოაპარებ, მარინა გადმომიდგა აივანზე

ბალერა



გიორგი ზიზიბაძე



გიორგი ზიზიბაძე

და რა იყო ქალი, რა გიჟივით დარბიხარ წინ და უკან ეს მთელი დღეო და ჩემი სანდრიკა მიყავთ-მეთქი, რეზერვში, მარინა, მაგიტომ დავრბივარ – ქოშინით ავძახე და წაიყვანეს შენი სანდრიკა უკვეო და არ მოვუსმინე მაინც, შევვარდი ოთახში და აღარსად იყო ჩემი ბიჭი. ვერ მივუსწარი. მივვარდი მაგიდაზე ტელეფონს. ერთადერთი უპასუხო ხარი იყო – ეგეც მაგისი. მაშინვე ლენას დავურეკე. ქალო, სადა ხარ, ნორმალური ხარ შენო? და მეთქი, ლენა, შენი ჭირიმე, შენ მითხარი, სადა ხარ, ბიჭები წაიყვანეს-მეთქი? და არა, სადგურზე ვართ და ჩქარა მოდი, სანამ წაუყვანიათ, აქაა შენი ბიჭიცო. დავტაცე ჩანთას და ტელეფონს ხელი, მარინა მეძახდა კიბეებზე კიდე რალაცას, მაგრამ აღარც გამიგია. დავიჭირე პირველივე ტაქსი და ჩქარა სადგურზე წამიყვანე-მეთქი, შენი ჭირიმე, ოღონდ ჩქარა წამიყვანე-მეთქი. იმან, რა იყო, ქალო, ფერი არ გადევს სახეზეო, იმ ტაქსის მძღოლმა და რეზერვში მიყავთ ჩემი ერთადერთი ბიჭი-მეთქი... და მერე, რეზერვში მიყავთ, ომში ხო არ მიყავთო... და შენი ჭირიმე, ჩქარა მიმიყვენე-მეთქი და დააჭირა ამანაც გაზს ფეხი, წამებში იქ ვიყავი. ჯერ ის დიდი მანქანა დავინახე, რალაცა, სამხედრო, მერე ლენა და მერე ბიჭები. ისიც დავინახე, კუთხეში იდგა სადღაც, მთლად პატარა ჩანდა იმ სხვა ბიჭებთან, სულ დაპატარავებული. სად დადინარ, გოგოო, – ლენამ, – და დამაგვიანდა-მეთქი, სამსახურიდან მოვდივარ... და მივვარდი ამას. დამინახა და კიდევ უფრო დაპატარავდა. მივუახლოვდი და მაინც მოხვედი, დეო? ჩუმად თქვა. მოვედი, აბა, რას ვიზამდი-მეთქი, დედიკო. და მაპატიე, დეო, და შენ მაპატიე-მეთქი, შვილო. ასე ვიდექით, ერთმანეთის წინ, ვერც ვუახლოვდებოდი, ვერც ხმამალა ვამბობდი ვერაფერს, ყურადღება არ მივიქციო-მეთქი. მეო, – ისევ ჩუმად თქვა, ძლივს გასაგონად, – იმიტო გითხარი ტანსაცმელი რო ვნახე არეული, იქ ნაწერები მედო და მეგონა, ის ნაიკითხეო. არა-მეთქი, დე, ტანსაცმელს რომ გილაგებდი ჯარისთვის, იმიტო იყო არეული, მე შენ რამეს ხელს როგორ ვახლებდი უკითხავად, ან შენი როდის რა წამიკითხავს-მეთქი. მე კიდევ მეგონა ნაიკითხე და მაგიტომ გითხარი, თორე არ გეტყოდი, არაფრით არ გეტყოდით. რას ამბობ-მეთქი, დედიკო, უნდა გეთქვა, ადრე თუ გვიან ხო უნდა გეთქვა, ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს, არც არავინ გვყოლია-მეთქი და აქ შემომხედა პირველად თვალებში. მე კიდევ, მანდ მიმინყდა ხმა. არ იტირო, დეო, ისევ ჩუმად მითხრა, თვალეები იმასაც ცრემლებით ჰქონდა სავსე და არა-მეთქი, თავი გავუქნიე. რა ვქნა, დე, მიყვარს მე ის ბიჭიო და... ჰე, ჰეე, გავდივართ უკვეო, ვილაცა ფორმიანმა დაგვძახა მთელი ხმით თავზე და... ასე, ხელი გავუწვდინე და იმანაც ჩამავლო, ბავშვობაში რომ იცოდა ისე, და გიყვარდეს-მეთქი, შვილო, ხო გიყვარს, ხო არ გძულს-მეთქი... ჰეოოო, გავედითო, ისევ დაიღრიალეს იქედან და... ჩემი შვილი ხარ-მეთქი, დე, როგორიც არ უნდა იყო, ჩემი ხარ-მეთქი და აგერ, თითქოს ჩემთან ვიგრძენი მისი პულისის ცემა და სანამ ხელს გავუშვებდი, ერთხანს კიდევ მყავდა გულში ჩაკრული.



რას გაბუა ნავილა

ავტორი თამაზ ბალაშვილი
ილუსტრაცია თათია ნალაჩიშვილი

მოთხრობა


- ვიზიარებთ, - მითხრეს შორიდან.
- მადლობთ. - ვთქვი მე.

ოთახიდან ისე გამოვედი, ვერავინ შემამჩნია. ჯიბეში სიგარეტი და სანთებელა მოვძებნე და სანამ ვერანდაზე გასასვლელ კარს გამოვადლებდი, მანამდე მოვუკიდე.

გარეთ ანა დამხვდა. ისიც ეწეოდა. ბელურასავით მობუზული. გვერდით მიუჯექი. ერთხანს ორივე ვდუმდით. ორივე თითქმის ერთდროულად ვუშვებდით კვამლს პირიდან.

- ბაბუა მომიკვდა, - ცოტა ხნის მერე ვთქვი მე.
- უი, - თქვა ანამ.
- წელან დამირეკეს, - სახე ავარიდე.
- უნდა წახვიდე?
- ხო, დაკრძალვის დღეს ჩავალ.

ბალერა



გიორგი ზიზიბაძე



გიორგი ზიზიბაძე

- მეც ვერ ვიტან ცერემონიებს, - თქვა ანამ, - შევალ, კაი? ანგარიში მაქვს დასამთავრებელი.

-კაი, - ვუთხარი მე და მეორე ღერს მოვუკიდე.

ოთახში ჩემი დაბრუნება ისევ არავის შეუმჩნევია. მაგიდას მივუჯექი და კომპიუტერში თავი ჩავრგე. 61 ახალი წერილი მქონდა. აქედან 17 კორპორაციული, დანარჩენი კლიენტურის. ზემოდან ქვემოთ დავუყევი და ყველა სათითაოდ გავხსენი. მერე ქვემოდან ზემოთ ავუყევი და სათითაოდ შევუდექი დეტალური პასუხების გაცემას - ჩემს მონოტონურ საქმიანობას დედამიწაზე.

ქვემოდან ზემოთ მეხუთე მეილის წერისას ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება მომივიდა. „წესი ავუგეთ“ მომწერა ჩემმა დამ „შავი გაქვს რამე“? არ მიპასუხია. ტელეფონი გვერდით გადავდე.

ქვემოდან ზემოთ მეჩვიდმეტე წერილი ის-ის იყო გავაგზავნე, თავზე მენეჯერი წამომდგა.

- ძალიან ვწუხვარ. ანამ მითხრა. განცხადების დაწერა მოგიწევს გასათავისუფლებლად.

- რა თქმა უნდა, - ვუთხარი მე.

- რამდენი წლის იყო?

- ოთხმოცდახუთის.

- დიდხანს უცოცხლია, - უნიათოდ გამიღიმა მენეჯერმა.

- ხო, - ვუთხარი მე, უნიათო ღიმილი დავუბრუნე.

ქვემოდან ზემოთ ოცდამეექვსე მეილს ვუპასუხე. მერე ტელეფონი ავიღე და საპირფარეშოში გავედი. ისევ არავის შევუმჩნევია. ყველა თავნახილი მუშაობდა.

საპირფარეშოს კარი გადავკეტე და ბებიჩემს დავურეკე.

- ბებიკო! - ვთქვი მე და ხმა მიმეკარგა.

- არ იდარდო, ბებიკო! - თქვა ბებიჩემმა, - ისე უცებ მოკვდა, ისე ლამაზად, შეგშურდებოდა მაგის სიკვდილი.

- კაი, ბებიკო. - ვთქვი მე და ხმა დამიბრუნდა, - დაკრძალვაზე ჩამოვალ. ტელეფონი საერთოდ გავთიშე და ოთახში დავბრუნდი.

ქვემოდან ზემოთ ოცდამეთოთხმეტე წერილის წერისას ისევ ჩავრთე ტელეფონი.

„ბაბუა მომიკვდა“, - მივწერე ჩემს ცოლიან საყვარელს - „უკანასკნელი პატარა გოგო მოკვდა ჩემში, ხო ხედები“, „დანარჩენს შენ მიკლავდი გზადაგზა“, - გავიფიქრე, მაგრამ აღარ მიმიწერია.

ქვემოდან ზემოთ ორმოცდამეორე წერილის წერისას მისი პასუხი მომივიდა. „წესი აუგეთ?“

ისევ გავთიშე ტელეფონი.

ქვემოდან ზემოთ ორმოცდამეცხრედან ორმოცდამეცხრემეტე მეილის წერისას ჩემი თანამშრომლები სათითაოდ გაიკრიფნენ.

- დამთავრდა, გოგო, სამუშაო დღე, - მითხრა იმათგან უკანასკნელმა. პალტოს იცვამდა.

- ბარემ ვუპასუხებ ყველა წერილს და წავალ, - ვუთხარი მე.

- რა მონდომებული ხარ დღეს, - მენეჯერის ღიმილი მომაგება და გავიდა.

ქვემოდან ზემოთ უკანასკნელი მეილის წერისას დამლაგებელი წამომადგა თავზე.

– ამინე, ჩემი გოგო, ფეხები, ბარემ აქაც გამოგვიჩვენე. ფეხები ავნიე, ისე რომ სკამიდან წამოდგომა არც მიფიქრია.

– ბაბუა მომიკვდა, ლენა დეიდა. – ფეხებანულმა ვუთხარი.

– რას მეუბნები, გოგო? – მაგიდის ქვეშიდან თქვა ლენამ – საწყალი.

– ხო, ბაბუა მომიკვდა, – ისევ ვთქვი მე.

– რამდენი წლის იყო? – ლენა გაიმართა, მე ფეხები დავუშვი.

– ოთხმოცდახუთის. ოთხმოცდაშვიდის.

– დედა, ნეტა ყველა ვიცოცხლებდეთ მაქამდე.

– კარგად იყავი, ლენა დეიდა, – ვუთხარი მე და კომპიუტერი გამოვრთე. ტელეფონი ჩავრთე.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს შვილო. – მეორე ოთახიდან გამომძახა.

ლიფტში ისევ მომივიდა ტექსტური შეტყობინება. „ძალიან ვწუხვარ“ ჩემი მეგობარი იყო „ბაბუის სიკვდილი სულ სხვანაირია“.

“წესი აუგეს“ ვუპასუხე მე.

სახლში ფეხით გადავწყვიტე წასვლა. უკლებლივ ყველა შუქნიშანს დაველოდე და ისე გადავჭერი გზა. მალაზიაში შევიარე და თმის საღებავი ვიყიდე. მერე, იქვე, კაფეს წინ შევჩერდი. გადავწყვიტე ყავა დამელია.

– ესპრესო, თუ შეიძლება – ვუთხარი დახლთან მდგარ გადაღლილ გოგონას.

– სუსტი თუ ძლიერი? – მკითხა მან.

– ძლიერი, – ვუპასუხე მე.

– ძლიერი, ესე იგი, – თქვა მან.

სანამ აპარატთან მიტრიალებული ჩემს ესპრესოს ამზადებდა, სათითაოდ გამოვადრე ათი ხელსახოცი სადგამიდან და ჯიბეში ჩავიტენე.

ისე მოვახერხე დაჯდომა, რომ ზურგი შემექცია ყველასთვის. ყავა სწრაფად დავლიე და კაფე დავტოვე. უკვე ძალიან ბნელოდა. დავაპირე, წიგნის მალაზიაშიც შევსულიყავი, მაგრამ გადავიფიქრე. გულმოდგინედ დაველოდე ბოლო შუქნიშანს და ქუჩა გადავჭერი. სახლთან მისულს, სიცვიისგან სახეანითლებული ორი გოგო გადამიდგა წინ.

– იყიდეთ ჩვენი გლინტეინი. ამით თქვენ წინის დაეხამრებით. წინი ინვალიდია.

წინი, ისიც სახეანითლებული, იქვე ეტლში იჯდა.

ფული უხმოდ გავუწოდე და პატარა, ქალაქის ჭიქაში ჩასხმული გლინტეინი გამოვართვი. ცოტა გავიარე. ჭიქაზე ხელები გავითბე და იქვე, ურნაში ჩავაგდე. ვეცადე, გოგოებს არ დავენახე.

სახლში მისულმა, წინა დღის სპაგეტი ვჭამე ისე, რომ არ გამიცხელებია.


მერე ჭურჭელი დავრეცხე.

მერე დაგროვებული სარეცხი მანქანაში შევყარე.

მერე კომპიუტერი ჩავრთე, მაგრამ ისევ გამოვრთე.

მერე საღებავი ამოვიღე ჩანთიდან. ემულსია ფერს შევურიე.

და ავტირდი.



ტოკ-შოუ

ლიბერალი



სსიპი
შოკიდაძე
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე

რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali



კატო ჯავახიშვილი
პოეტი

კატო ჯავახიშვილი არის ოთხი პოეტური კრებულის („შენიდან ჩემამდე“ – გამომც. „საარი“, 2008წ; „მარცხნივ“ – გამომც. „საუნჯე“, 2010 წ; „ჭუპრი“ – გამომც. „საუნჯე“ 2011 წ; „ნაცვალი სახელი“ გამომც. „საუნჯე“ 2012 წ.) და პუბლიცისტური ნარკვევების ავტორი. დაიბადა 1979 წლის 3 მაისს – ქალაქ თბილისში.

არის ბევრი ლიტერატურული კონკურსის პრიზიორი და ნომინანტი (2009 წელს ლიტერატურული პრემია „მესხეთი“ – ლაურეატი; 2010 წელს – ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ წლის პრემია პოეზიაში; 2011 წელს - გურამ რჩულიშვილის სახელობის კონკურსის ლაურეატი; 2011 წელს – „ლექსების გამოფენა“, ლაურეატი; 2010–2011 წლის ლიტერატურული პრემია „საბა“ – ნომინანტი; 2012 წელს ლიტერატურული კონკურსი „მერანი“ – ინოვაცია; 2012 წლის მთავარი ლიტერატურული პრემია „გალა“ – ფინალისტი).

არის ჟურნალ „არტ—ხომლის“ სა-რედაქციო კოლეგიის წევრი;

ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ – ავტორი რუბრიკისა „ორი ფინჯანი“.

მისი ლექსები შეტანილია სხვადასხვა ანთოლოგიებსა და ალმანახებში.

ლექსები თარგმნილია არაბულ და რუსულ ენებზე.

ნაცვალსახელი

„სარკვე, თვალები გადამაღე,
სულ აღარ მგავხარ“..

დღის შუაღელში, წუთის თუნდაც მეათასედში,
საკუთარ თავებს პატივებს თუ შევიპირდებით,
დრო – უმიზეზო სტუმარივით დაგვათენდება,
უკანასკნელად შევიყვარებთ, თითქოს პირველად
რაც იყო უკვე აღარ გვახსოვს, და თვალებიდან
სარკეები – გვპარავენ დუმისს.

პირი. პირველი:

ჩვენ დაბადება დაგვაბრალეს.

ჩვენ გაგვაჩინეს.

ჟანგირიანი ონკანებიდან გამოგვიშვეს და

მდინარეები ჩარეცხეს ჩვენით.

ჩვენ რახანია ფერად სიზმრებს აღარ ვნახულობთ

და ცხადშიც, ჩვენს წილ გადარჩენას

საფლავეში ვმღერით.

ჩვენ არ ვარსებობთ.

ჩვენ საღათას ძილში ვიზრდებით.

ტანზე შემოკრულ ბედინსერას

ხელისკანკალით უმუზადებთ აკვანს.

და არაფერი გაგვაჩნია, გარდა ხმელეთის

მოშიებული, წყალნაკლები ხმელეთის გარდა.

იქ, სადაც ვცოცხლობთ.

სადაც ვკვდებით.

სადაც ყოველდღე, გვცოვა ეს ჩვენი დაბადება და საბანს ვიხდით,

და როცა თვალში მთვარის შუქი შემოგვაკლდება,

თითქოს ქუთუთო გადმოკეცეს სამპირად, მაშინ

ჩვენ დავიძინებთ.

ჩვენ სიზმარში გაგველიძება.

ნამონეული მდევარივით ჩვენივე გვამებს შევჭამთ და დავხრავთ.

ჩვენ აღარაფრის გვეშინია როცა ვმარცხდებით,

და არ ვმარცხდებით, როცა შიში საფლავეში გვახლავს.

და მაშინ ჩვენ ვთქვით:

რომელმან შექმენ სამყარო, და რომელმან შეგვქმენ ჩვენ, და

რომელმან მთელი

კაცობრიობა მოაქციე მზეებით სავსე ვარცლში, და დაარქვი ყანა.

რომელმან თვეს დედაკაცი, მამაკაცს თივა გაუხადე ზურგიით სათრევი

და თავთავები მოგვიჩინე, და ხან მწიფე, და ხან მკვანება ჩვენი ქვეყანა,

რომელშიც ჩვენი გასაჭირი, გასაჭირი რომელშიც, რძესავით დულდა.

ობლის კვერი კი ხან ცხებუბოდა, ხან პირიქით – გამოუმცხვარს

ვყლაპავდით დღეებს.

რად არ ჩანდით, უნდა გითხრა, რამდენჯერ „ქალაქს“ –

სავაჭროდ მოველ, ნავაჭრი კი ისევ ვერ გამაქვს.

უკან და გზაზე ამოუსვლელ ჩემივე მზეებს

ვიღამებ, გარეთ ქარია და სიჩუმეს ზეფრავს

სასაფლაოდან ამოთხრილი ჩემივე გვამი

ჩემივე სიკვდილს გახლჩილი ვაშლივით ჰგავდეს,

ერთხელ ხომ მაინც მიყვარდი და

ერთხელ ხომ მწამდი.

-ყურთასმენა წაიღეს.

როგორ კვირან სველ ქალებში მიკოტები.
წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო თავად
მოდი და
წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო თავად
მოდი და
შენ ისევ ზიხარ. ცხოვრებიდან გცვივა
კოლტები -
ლოდინის.

ლამის მიწურულს, რომელიმე დღის
გასაყართან,
როცა მაჟორულ ნოტზე დილა ფოქსტროტს
ასრულებს
გაგვასხენდება, რომ ოდესღაც ვილაც
გვიყვარდა
გაგვასხენდება, რომ ოდესღაც, მასაც...
და სადღაც შიგნით, უმომავლო სულის
საყდარში —
სარკეები – ჩვენს სახელებს იმეორებენ.

პირი. მეორე:

ჩვენ სიყვარული დაგვაბრალეს.
ჩვენ არ გვიყვარდა.
ერთმანეთის ხელები შემოგვხვიეს და
ხელოვნურად ვსუნთქავდით ყანგბადს.
დაბადებიდან შეგვიძლია ვიყოთ დიდები,
ჩვენი ბავშვობა
ბავჯალოს სქელ რგოლებში ვყანგოთ.
ჩვენ ვერ ვისწავლეთ.
ვერაფერი ჩვენ ვერ ვისწავლეთ.
და იყო „როდის“, და იყო „მაგრამ“, და იყო
„თუმცა“,
გვინდოდა – „მუდამ“.

ჩვენ ვერასოდეს გვეყვარება, როგორც
ვუნდოდით,
და ვერასოდეს ვეყვარებით, როგორც ჩვენ
გვსურდა.
და როცა გვიყვარს.
მერე ვხედავთ.
მერე შეხება,
იგრძელებს ხელებს და საბანქევმ
სიძულვილს მალავს,
და უჟანგბადოდ აგვიტყდება როცა ხველებს,
და ერთმანეთის სიძულვილით ვიღლებით,
როცა

ჩვენ დროს ვიცილებთ.
სხეულიდან ვშლით ჩვენს საათებს.
როგორც ქვიშაში თამაშისას, ისე გვრჩება
ფრჩხილებში ჭუჭყი,
და ჩვენ ვერავინ გვეშეულება, როცა
გვჭირდება.
და ვერც ვერავის ვეშეულებით, როცა მათ
უჭირთ.

და ახლა ჩვენ ვთქვით:

რომელმან კაცთა, ყოველთა კაცთა და მთელ

მის ნაშიერთ მოგვავე პური,
და პური, და წყალი, და ღვინო, და ჩვენ კი
მანც, მოუხნავს ველაპავდით ბელტებს
იმ ცისას, იმ ზღვისას, იმ მთისას, და ქალაქში
ვეძებდით დამჭყნარ სამყურებს
იმ ცაში, იმ ზღვაში, იმ მთაში რომ ვძირკვეთ
და მანც ზევიდან დავყურებთ -
სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცოცხლობთ და
კვდებით, და რომელშიც ვივსებით ცოდვით,
სამყაროს – რომელშიც ვსუნთქავთ, და
გვიჭირს, და უპაერო სივრცეებს ვგავართ.
რად არ ჩანდით, ხომ გითხარი, ბოლოს რომ
აეხდი,
კუბოში მენვა დედამინა. ტირიდა სახლი
და უარყოფას, ან არყოფნას ვითხოვდი.
გთხოვდი
და უარყოფდი, ან არყოფნად ქალაქში
ვთოვდი,
და მოვდიოდი ისევ ისე მოხრილი წელში
დასასრულიდან ვინყებდი და სანყისად
გნერდი.

– ყველაფერი გაიღეს.

ალარაფერი დარჩათ უკვე ჩემთვის
სათქმელი.
წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად
მოვალ და
წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად
მოვალ და
შენ უკვე ტანით დიდ მდინარეს მიადგაფუნებ
-ცხოვრების.

დღის დასასრულში, რომელიმე ღამის
არყოფნას
საკუთარ თავში, სინანულით რომ
დავიძიებთ,
და როცა ციფრი, ცხოვრებაზე არ გაიყოფა
და როცა აბი, არ გვჭირდება მისთვის
საძილედ.
ჩამობნელებდა იმ ზღაპარში, სადაც ნაყოფი
ვკრიფთ სიზმრების.
სარკეებიც – დავგივინწყებენ.

პირი. მესამე:

ჩვენ სიძულვილი დაგვაბრალეს.
არავინ გვჭულდა.
ბრძოლის ველზე ხბორებივით გავვრეკეს და
ერთმანეთის გაგვადღეს ხორციით.
ჩვენ ერთმანეთი შევითავსეთ, ისიც
ხანდახან,
და როცა გვიყვარს, მაშინაც კი ერთმანეთს
ვზოცავთ.
ჩვენ მარტოობა დაგვაბრალეს.
ჩვენ მარტო არ ვართ.
უსინათლო თვალები ავვიხვიეს, რომ
გადარჩენა

გვეპოვა კენჭად.
ჩვენ ვერასოდეს გამოვალწვეთ შენი
მუცლიდან
ვერც ვერასოდეს შევსახლდებით ამაზე
მეტად.
სიჩუმე მოდის.
ჩვენ არ ვფხიზლობთ.
და გვეჩვენება, რომ ეს სამყარო – მზის
გადმოსწვრივ ჩავარდა ჭაში
და როცა ფიქრებს სამშვიდობოს ჩუმად
გავხიზნავთ,
როცა თვალეში გუბებში დაშრება, მაშინ
— ჩვენ გავიღვიძებთ.
ცხოვრებაში გაგვეღვიძება.
და ისევ ისე გავაგრძელებთ დარდას და
გმინვას.
აღამიანებს, არ ელოან, როცა მიდიან.
აღამიანებს იქ ხვდებიან, სადაც ჩვენ
მივალთ.
და ვთქვით:

რომელმან შექმენ სამყარო და რომელმან
შეგვქმენ ჩვენ და რომელსაც გკლავდით
ყოველდღე გკლავდით და გძირკვავდით და
სტომამქებს ვივსებდით სისხლით
რომელსაც შიშველ, ხან გასანთლულ, ხან
დაღვინილს, გიშვერდით მკლავებს
და მერე სუფთას, ხან გასანთლულს, ხან
სისხლიან სუდარებს ვხევდით
და შენ რომელმან შეგვქმენ ჩვენ და შენად
და ჩვენად და მსგავსად და ხატად
და ჩვენ, რომლებსაც გვასწავლეს სისხლი
და ომი და ზიზი და კარგვა —
პირისპირ ვდგავართ.


ჩვენ ყველაფერი დაგვაბრალეს.
ჩვენ უბრალოდ გამოგვიგონეს.
ჩვენ ყოველდღე ერთმანეთს ვკარგავთ.
და არაფერი გაგვაჩნია, გარდა ხმელეთის,
მომიებული, წყალნაკული ხმელეთის
გარდა.

სამშვიდობოს იძინეთ.
გალევიდებამდე ზამთარია გადასავლელი.
წყალმა თქვა: წყალზე თუ ჩამოხვალ ფეხებს
დაგბან და
შენ უკვე წევხარ. გალვიდებას უკვე არც ელი –
ინყები.

გამიმეორე – უნდა ავიხედ
თვალი დავხუჭო
სიზმარით გამოგეცხადო,
იქ, სადაც უკვე სიზმარია ეს ყველაფერი
და სადაც იქნებ,
არასოდეს დავბადებულვართ.

ნეტა რობორია ნიგნი, რობელის სულ იკითხება...

ლელა კოლაშვილი



„მთავარი გამთავაშებელი“
ბესიკ ხარანაული

ბესიკ ხარანაულის ბოლო წლებში გამოცემული ნიგნები ლიტერატორთა თავისსამტვრევ საკითხად იქცა – პოეზიაა, პროზა პოეზიად, თუ პოეზია პროზად... ყველამ თავისებური ფორმულირება მოუძებნა, რადგან მკითხველი მიჩვეულია ჟანრის კანონებს. მოსწონს, როცა წინასწარ იცის, თუ რასთან აქვს საქმე... ბოლო წიგნმა კი, „მთავარი გამთავაშებელი“, მოუხდევად იმისა, რომ ეს-ესაა დაისტამბა და ჯერ ძალიან ცოტა ადამიანს ჩაუვარდა ხელში, უკვე გამოიწვია მითქმა-მოთქმა.

კანონების მოყვარული მკითხველი დაიბნა – რა არის ეს, რომანი, პოეტური კრებული თუ ერთი ვრცელი პოემა? სულ რაღაც ორი-სამი გვერდის ნაკითხვის შემდეგ კი ყველაზე კონსერვატორებიც მიხვდნენ, რომ ამაზე ფიქრი სისულელეა. მთავარი თავისუფლების ხარისხია, რომელსაც ავტორი სახელწოდებიდანვე გაგრძობინებს და მერეც, ყოველ ნაბიჯზე გახსენებს, მაგალითს გაძლევს, კლიშეებს გიმსხვრევს, ყველაფერზე, რასაც განვდის, ხელის შევლების საშუალებას გაძლევს, შენთან ერთად იწუნებს და იწონებს, მალაყებს გადადის, ოღონდ გათავისუფლ-

დე, მიჰყვე, მასთან ერთად იაზროვნო, იცხოვრო და ითამაშო.

როგორც სპორტსმენი ხურდება და მოთელვით ვარჯიშებს ასრულებს თამაშის დაწყების წინ, ასევე ამ ნიგნის დასაწყისიც „მოსათელი“ ტექსტების, უფრო სწორად, ტექსტების, როგორც აზროვნების „ნაგლეჯების“ ერთობლიობაა. თითოეული მოსათელი ფრაზის უკან ნამდვილი ვარჯიში, ანუ მთელი ტექსტი დგას. თითოეული მათგანი „კუნთის გახსნას“, სათამაშო მოედანზე მკითხველისა და ავტორის „ფორმაში მოყვანას“ ემსახურება...

ავტორი „ინსტრუქციებს“ მრავლად იძლევა, რათა მკითხველმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რამდენად უღირს ნიგნში ღრმად „შეტოკვა“. ეს რჩევა-დარიგებები ერთის მხრივ თითქოს გაშინებთ, მეორეს მხრივ, ინტრიგას გიძლიერებთ და სულ უფრო მეტის ნაკითხვის სურვილს გიჩენთ... რაც მთავარია, არ გტოვებთ განცდა, რომ ავტორი თქვენ გვერდითაა და საჭიროების შემთხვევაში დაგეხმარებათ.

ამგვარი ნიგნის განხილვისას მეტისმეტი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, რათა არ მოექცეთ ნაწარმოების რომელიმე შიდა ნაკადის ტყვეობაში, არ ჩაერთოთ ერთმა გზამდევს არ დაგრჩეთ დანარჩენი. ასეთ დროს ჩნდება საფრთხე, მხატვრული ტექსტი, თქვენდაუნებურად, დოგმატურ ფორმულირებამდე დაიყვანოს, ცალკეული ფრაზები იზოლირებულად განიხილოთ და მერე იქ თეორიების ძებნას შეუდგეთ... ამით ირღვევა ნაწარმოების უნიკალურობა, მისი კარკასი. ხოლო შეფასება გაუგებარი, შეუსაბამო კრიტიკრიუმებით ხდება.

ამ ნიგნის განხილვისას ასევე აუცილებელია, მოიცილოთ ყოველგვარი შეხედულება, რომელიც ბესიკ ხარანაულის მიმართ მანამდე ნაკითხული ნაწარმოებების მეშვეობით გაგანცდათ, რადგან ყველაფერი ეს ამ ნიგნის საღაღამოში ხელს შეგიშლით. ავტორის გენიალური გათვლა იმაში მდგომარეობს, რომ მან წინასწარ დაიზღვია თავი სკეპ-

ტიკოსებისგანაც, თავისი მცემელთა არმიის პანეგირიკისგანაც და მისი შემოქმედების მოძულეთაგანაც. მან ერთ სიბრტყეზე გაანონასწორა მკითხველთა მთელი ეს სპექტრი და გონს მოგებიისაკენ მოუწოდა... აი, რას წერს ის: „ხუთიანზე დაწერილი ნიგნი არ ვარგა.“

არ ვარგა, სტილის ზეიმი როა. არ ვარგა აზრით დატენილი, სისულელენაკულული. უნდა ადამიანივით ცდომილი იყოს“.

ავტორმა ყველაფერი უხვად გადმოგვაფრქვია, რაც კი გააჩნდა – „მე რომ ნაწერის დალაგება ვინყო, ჩემი საკუთარი სენი არ იქნება. ეს იქნება, უბრალოდ, – ლიტერატურა“. ამიტომ ახლა მისი კი არა, ჩვენი გონიერების დროა, თუ როგორ გამოვარჩევთ ერთმანეთისგან სიბრძნესა და სისულელეს. ახლა ერთად ვართ მოედანზე, ან მასთან ერთად ვიმარჯვებთ და ვბრძენდებით, ან ვბრძიდებით და ხელჩაქეულები ვბრუნდებით სახლებში...

აქვე უნდა ითქვას, რომ ბესიკ ხარანაულს მწემოსინე აშკარად სწყალობს – „კაცის გონება საძაგელი მუხუთმიო“ და ყველა ფიქრი მოიხელთა, რაც კი თავში მოუვიდა, ყველა მოგონება აღადგინა, ყველა თამაშის ფინალი გაიხსენა, ყველა მარცხი და სისუსტე აღიარა და თქვა: „როცა მიხვდებით, რომ არაფერი ხართ, რომ ნული ხართ მსხვილ ერთეულებს შორის, ანტიპოდურ ვარჯიშებს მიმართეთ: გაიხსენეთ, ზოგადად ადამიანის საზომი ნულიდან უსასრულობამდეა, კონკრეტულად კი – გლახაკიდან გმირამდე, ლატაკიდან მდიდრამდე, კოჭლიდან ფეხმარდამდე, სულელიდან ჭკვიანამდე, დაბლიდან მალღამდე... ამიტომაც გახსოვდეთ, ანტიპოდური ვარჯიშით თქვენ ამარცხებთ საკუთარ ნაკლსაც და ანტიპოდსაც...“

„მთავარი გამთავაშებელი“ ამბავთა, იდეათა, ლექსთა, ანდაზათა, სიტყვათქმათა დიდი სკივრია. აქ არაფერი არ არის აკინძული. აქაური სტრუქტურა არქიტექტურულ კანონებს არ ემორჩილება. ათასობით სიუჟეტი, ისტორია, მოგონება, ნამდვილი თუ გამოგონილი

FM
სენტი
98.0



რეკლამა

ამბავი თავგზას გირვეთ და მორვევიით გატრიალებთ თავის ქკუაზე.

ამ ნიგნში ხშირად წააწყდებით სხვაგან წაკითხულ მოსაზრებებს, ე.წ. გავლენებს, ან მსგავს მეტაფორა-სახეებს, მაგრამ ავტორი იმდენად თვითნაბადია, იმდენად ახალმოვლენილს ჰგავს ბუნებითი წიაღიდან, იმდენად ნაიფური და ეგზოტიკურია მისი ენა და თავადაც გაცეხული შეჭხარის იმას, რაც ახლახანს შექმნა, ძალაუნებურად იწყებთ ფიქრს, რომ ეს უნებლიე დამთხვევაა, უნებლიე ინტერპრეტაცია და თვითცნობიერებაა.

ლიტერატურულ სამყაროს ინტენსიურად სჭირდება განახლება. ბოლო წლებია, გადაიკეტა ძველი გზები, ამოიწურა ძველი კრიტიკიუმები, ძველი სათქმელები და მოდელები. ყველაფერი ხელახლა გახდა აღმოსაჩენი და ახლებურად მისაწოდებელი. მობზრდა მკითხველს ერთი და იგივე გარინდებული ნიჭიერება, ერთი და იგივე სამოთხის ბალების ტკეპნა... საჭირო გახდა ახალი კარი,

ფანჯარა, თუნდაც ბზარი, რომელიც ამ მომბზრებული ნიჭიერებიდან სადღაც სხვაგან გადაგვისროდა. და აი, აქ გაჩნდა სწორედ ბესიკ ხარანაულის ეს ნიგნი – სინკრეტიზმის ახლებური ნიმუში და გააზრება. ალბათ თავადაც ამიტომაც უწოდა „ნიგნი – კონცერტი“, რომელშიც სტრავინსკის ორკესტრის დისონანსები და არითმია, მისეული მოულოდნელობები, მჭახე ბგერების უნისონი ჩაგესმის.

ხარანაული ერთდროულად საკუთარი თავის ოპოზიციონერიცაა და მომხრეც, ირონიულიცაა და დამყვავებელიც. მისი „გამადიდებელი ლუპა“ შინაგან და გარე სამყაროს ერთდროულად ხედავს და მისი ეს ნიგნიც სწორედ ამ ორი საწინააღმდეგო სამყაროს ერთმანეთში გარდატეხის, გადამსხვრევის მიჯნაზე აფიქსირებს. და ცხადია, გამოსავალს ვერ პოულობს – მიდის და „მითამაშობს ბერიკაცობას“.

„ბიოგრაფია სამყაროსთვისაც არასამყოფია და კაცისთვისაც,

ამას გვიდასტურებენ ზღაპრები და კაცის მიერ ოდესღაც ხელში ნაჭერი საგნები.“

„მთავარი გამთამაშებელი“ შეიძლება ნებისმიერ გვერდზე გადაშალო და კითხვას ნებისმიერი მიმართულებით, ან, სულაც, ალაგ-ალაგ შეუდგე. ეს ნიგნი ემპირიულ ფაქტს არ წარმოადგენს. ის არ არის უცვლელი ტრანსპარენტის ან მიმართულების. პლასტელინით იზილება, შეგიძლია, შენს გემოზე მოირგო, საბანივით დაიხურო, სადილივით მიირთვა, საგზალივით გამოიზოგო, ფილმით ნახო, ნიგნივით წაიკითხო. შეგიძლია, შენ მაგივრად აფიქრო, რჩევები მოაცემინო, ალელგებისას დააყვავებინო, სიმშვიდისას თავი აამღვრევირო, უმეგობრობისას დაიმეგობრო, მტრადაც მოიკიდო, თავი ალანძღვირო ან გამოაფხიზლებინო... „რადგან დაქსელილია სულ ასე ქვეყანა და გადაბმულია ყოველი საგანი და არის განუწყვეტელი მიმოსვლა საგანთა და ადამიანთა – ურთიერთ შორის“...



ნიგნის სახლი
BOOK & COFFEE HOUSE
განტარიონის

თანამედროვე
ქართული და
უცხოური გამოცემები

სამოგადოებრივი სივრცე
სალონური შეხვედრებისა და
სალამოებისთვის

ცნობილი მხატვრების
ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა


კაფე

Wi-Fi

ბახტარიონის 11^ბ, ტელ: 2 33 28 18
bookandcafe@gmail.com

აქ და ახლა – წერილები (2008-2011)

პოლ ოსტერი, ჯ.მ. კუტზეე
 სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“
მთარგმნელები: ქეთი ქანთარია, ირმა ტაველიძე
გამომცემლობა: დიოგენე
გამოცემის წელი: 2013
ფასი: 9.90 ლარი



მართალია, ერთმანეთის ნაწერებს წლების განმავლობაში კითხულობდნენ, ურთიერთობა კი 2005 წლიდან აქვთ, პოლ ოსტერი და ჯონ მაქსველ კუტზეე ერთმანეთს მხოლოდ 2008 წელს შეხვდნენ. შეხვედრიდან ძალიან მალე კუტზეემ ოსტერს წერილი მისწერა, რომელშიც თანამშრომლობას სთავაზობდა. მისმა წინადადებას ოსტერი დააინტერესა. საპასუხო წერილში მან კუტზეეს მათთვის საინტერესო თემებზე ხანგრძლივი დიალოგის წამოწყება შესთავაზა. ასე გაჩნდა ის მიმოწერა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი.

იშვიათია შემთხვევა, როცა წიგნის თარგმანი ორიგინალზე ადრე გამოიცემა. ეს მიმოწერა სწორედ ასეთი შემთხვევაა. „აქ და ახლა“ პირველად ქართულად ნათარგმნი გამოდის, ინგლისური ორიგინალი კი 2013 წლის მარტში გამოქვეყნდება.

კოლექციონერი

ჯონ ფაულზი
მთარგმნელი: გია ბერაძე
 სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“
გამომცემლობა: დიოგენე
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 11.90 ლარი

ჯონ ფაულზი 1926 წელს ინგლისში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ საზღვაო ქვეითად მსახურობდა,

მოგვიანებით კი ოქსფორდში ფრანგულს სწავლობდა. რამდენიმე წელი ფაულზმა საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე გაატარა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა. სწორედ ამ დროს დაიწყო წერაც.

„კოლექციონერი“ – ახალგაზრდა მხატვრის, მირანდა გრეისა და მასზე შეყვარებული კლერკის, ფრედერიკ კლევის შემზარავი ისტორია – ფაულზის პირველი გამოქვეყნებული რომანია. წიგნს დიდი წარმატება ხვდა. მწერალმა შეძლო, მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა და მთელი დრო ლიტერატურისთვის დაეთმო. იგი ინგლისის სამხრეთით, პროვინციულ ქალაქში დასახლდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ჯონ ფაულზი – მეოცე საუკუნის ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსი – 2005 წელს გარდაიცვალა.

რომანი და პიესები

ავგუსტ სტრინდბერგი
მთარგმნელები: დავით გაბუნია, ლიკა ჩაფიძე, ბაკურ სულაკაური
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2013
ფასი: 15.90 ლარი

იუჰან ავგუსტ სტრინდბერგს (1849-1912), შვედური ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენელს, საერთაშორისო აღიარება ძირითადად დრამატურგიამ მოუტანა; თუმცა, მისი ორმოცწლიანი შემოქმედება მოიცავს სხვა ჟანრის ნაწარმოებებსაც.

კრებულში წარმოდგენილი სამი პიესიდან „ზმანება“ სამართლიანად მიიჩნევა მოდერნისტული დრამატურგიის შედეგად; „ფრეკენ ჟული“ კლასიკური ნატურალისტური დრამაა, რომელიც მსოფლიოს სათეატრო რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დადგმული პიესაა. „მასზე ძლიერი“ კი სტრინდბერგის კიდევ ერთი ინოვაციის, მონოდრამის მცირე ნიმუშია.

კრებულში ასევე შესულია რომანი „ჰემსელები“ – სტრინდბერგის შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები. მასში აღწერილია სტოკჰოლმის არქიპელაგის კუნძულ

ჰემსეს მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფა და წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოებაში ადამიანის თვითდამკვიდრების პრობლემა. თავის დროზე სტრინდბერგი მკაცრად გააკრიტიკეს პროვინციული შვედეთის ყოველდღიური ცხოვრების მისეული აღქმის გამო – იმდენად, რომ რომანის გამოცემის შემდეგ (1887 წ.) მწერალს არქიპელაგზე ჩასვლა კი აუკრძალეს.

გროზნოს ანგელოზი

ოსნე საიეშტადი
მთარგმნელი: თამარ კვიციანიძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2013
ფასი: 14.90 ლარი



ჩეჩნეთის შესახებ ჩანაწერების კეთება ნორვეგიელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ოსნე საიეშტადმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში, რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის პერიოდში დაიწყო – მაშინ, როცა მოსკოვში ჩეჩნეთის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გართულდა და ნორვეგიული გაზეთის ახალგაზრდა რეპორტიორმა ქალმა საომარ ზონაში გამგზავრება გადაწყვიტა. ოსნე საიეშტადის ერთ-ერთი პირველი საზღვარგარეთული რეპორტაჟი სწორედ გროზნოს ჯოჯოხეთს აღწერდა. საბოლოოდ ავტორს თავისივე თვალთ ნანახი და ხელით ჩანერეული უამრავი ჩეჩნური ისტორია დაუგროვდა და შედეგად დაიბადა „გროზნოს ანგელოზი“, რომელიც ხანგრძლივი მტრობის, თავისივე ხალხისგან გარიყული ოჯახების, მშობლებდაკარგული ბავშვებისა და მათი მფარველი ანგელოზის შესახებ მოგვითხრობს.



შვილისგან ნარეჟარი სიცოცხლე



ფეხმძიმე პატრიცია დურანტეს ერთ-ერთი სამედიცინო ვიზიტის დროს ექიმებმა ჩვეულებისამებრ სისხლის ანალიზი აუღეს. შედეგებმა შემაშფოთებელი დიაგნოზი - ლეიკემიის მძიმე და რთულად განსაკურნებელი ფორმა აჩვენა. მედიკოსებმა პატრიციას გადარჩენის 15%-იანი შანსი მისცეს, თუმცა ამისთვის ქიმიოთერაპიის კურსის დაწყება იყო საჭირო, ამიტომ ორსულობის შეწყვეტა ურჩიეს.

მაგრამ პატრიცია ფეხმძიმობის ბოლომდე მიყვანას დაჟინებით ითხოვდა. ეს მისი პირველი ორსულობა იყო, ქმართან ერთად მოუთმენელად ელოდა შვილის დაბადებას და ექოსკოპისტთან ყოველი ვიზიტის დროს ნაყოფს ფოტოებსა და ვიდეოებს მუცლადყოფნის პერიოდიდანვე უღებდა. ექიმები შიშობდნენ, რომ შესაძლოა პაციენტს ამდენ ხანს უბრალოდ ვერ ეცოცხლა, თუმცა მისი გადარწმუნება შეუძლებელი იყო.

სწორედ იმ პერიოდში პატრიციამ წიგნის „ორსულობიდან მშობლად გახდომამდე“ კითხვისას ერთ საინტერესო თავს შიავნო. მშობიარობისას ჭიპლარის სისხლის შეგროვებაზე წერდნენ. პატრიციამ აღმოაჩინა, რომ ჩვილის ჭიპლარის სისხლის დეროვანი უჯრედების შენახვა ჭიპლარის სისხლის ბანკში შეეძლო, მათი მეშვეობით კი მრავალი დაავადება იკურნებოდა, მათ შორის, ლეიკემიაც.

ექიმები არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ პატრიცია შვილის ჭიპლარის სისხლით განიკურნებოდა, თუმცა მან თადარიგის დაჭერა მაინც გადაწყვიტა: დარწმუნებული იყო, ბავშვი მის სიცოცხლეს გადაარჩინდა. იმ პერიოდში პატრიციას მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, ორსულობა კი ამ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა.

მედიკოსებმა ფეხმძიმობის 31-ე კვირამდე მიყვანა მაინც შეძლეს, პატრიცია ნაადრევად ამშობიარეს და ჩვილის ჭიპლარის სისხლი შეაგროვეს. პატარას, რომელიც მხოლოდ 1,5 კილოს იწონიდა, ვიქტორია ენჯელი დაარქვეს. დედა ბავშვის მდგომარეობას ძალიან

განიცდიდა და მის ნაადრევად დაბადებაში საკუთარ თავს იდანაშაულებდა.

მშობიარობის შემდეგ ექიმებმა პატრიცია ინტენსიური თერაპიის პალატაში გადაიყვანეს. ლეიკემიის მკურნალობა მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიით მიმდინარეობდა, შედეგადაც პაციენტს ძვლის ტვინის უჯრედები სრულად გაუნადგურდა და იმუნიტეტიც ძალიან დაუსუსტდა. სრულიად უმნიშვნელო ინფექციაც კი, შესაძლოა მისთვის სასიკვდილო აღმოჩენილიყო. პატრიცია შვილს მხოლოდ ვიდეოფირზე ნახულობდა და ყველაზე მეტად საკუთარ თავს იმის გამო კიცხავდა, რომ კარგი დედა არ აღმოჩნდა.

ძვლის ტვინის განადგურების გამო საჭირო გახდა ისეთი დონორის პოვნა, რომლის ძვლის ტვინიც პატრიციასთვის იმუნურად თავსებადი იქნებოდა. ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა. მთელ მსოფლიოში ასეთი დონორი ვერ მოიხაზა, პაციენტი კი გადანერგვის გარეშე სასიკვდილოდ იყო განწირული. ექიმებს მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდათ დარჩენილი: მათ პატრიციასთვის შვილის ჭიპლარის სისხლი უნდა გადაეცხათ. ტრანსპლანტაციას საოცარი შედეგი ჰქონდა: 60 დღეში პატრიცია სახლში სრულიად განკურნებული გაეწერა.

ეს ისტორია 2001 წელს, კანადაში მოხდა... პატრიცია დღესაც ჯანმრთელია, ვიქტორია ენჯელი კი უკვე - დიდი. „სიცოცხლე მე შეგინარჩუნე“ - ხუმრობით ხშირად ახსენებს დედას. პატრიცია კი ამბობს: მე ვაჩუქე სიცოცხლე შვილს და მანაც იგივე გააკეთა ჩემთვის.

დოქტორი მაიკლ ვიროუ კანადური ჭიპლარის სისხლის ბანკის „Cells for Life“-ს მფლობელია. ეს სწორედ ის ბანკია, სადაც პატრიციამ თავისი ჩვილის ჭიპლარის სისხლი შეინახა. მაიკლ ვიროუს თქმით, პატრიცია მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ პატარას ჭიპლარის სისხლი შეუნახა.



OZ THE GREAT AND POWERFUL

რეჟისორი სემ რეიმი
როლებში ჯეიმს ფრანკო, მილა კუნისი, მიშელ უილიამსი
ჟანრი სათავგადასავლო, ფანტასტიკა

მთავარი გმირი, ახალგაზრდა ამბიციური ილუზიონისტი, რომელიც ერთხელაც საპაეო ბურთით მოხვდება ტორნადოში და შემთხვევით აღმოჩნდება ოზის ჯადოქრულ სამყაროში. ის მიხვდება, რომ ტყუილთ მხოლოდ აქ შეუძლია მოიხვეჭოს სახელიც და სიმდიდრეც.



GAMBIT

რეჟისორი მაიკლ ჰოფმანი
როლებში კოლინ ფიორტი, კამერონ დიაზი
ჟანრი კრიმინალური, კომედია

ბრიტანელი ხელოვნების მოყვარული განიზრახავს მდიდარი კოლექციონერის მოტყუებას და აიძულებს მას მონეს ყალბი ნამუშევრის ყიდვას. გარიგებაში მას ექსცენტრიული და არაპროგნოზირებადი ტეხასელი ქალბატონი ესმარება.



JACK THE GIANT SLAYER

რეჟისორი ბრაიან სინგერი
როლებში ნიკოლას ჰოლტი, სტენლი ტუჩი, ევან მაკგრეგორი
ჟანრი სათავგადასავლო, ფანტასტიკა

თავგადასავალი დედოფლის გატაცების შემდეგ იწყება. ადამიანებსა და გიგანტებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას საბრთხე ემუქრება....



THE CROODS

რეჟისორი ვირჯ დე მიკვო, კრის სანდერსი
ჟანრი ანიმაცია, სათავგადასავლო, კომედია

ანიმაციაში მოქმედება პრეისტორიულ დროში ვითარდება. კრეგს, მიწისძვრით განადგურებული სოფლის დატოვება და ოჯახთან ერთად სამომავლოდ წასვლა უწევს, რის შედეგადაც ოჯახი ფანტასტიკურ, ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდება....



ME AND YOU

რეჟისორი ბერნარდო ბერტოლუჩი
როლებში ტეა ფალკო, სონია ბერგამასკო
ჟანრი დრამა

თოთხმეტი წლის ლორენცო ძალიან ჩაკეტილია, უჭირს ურთიერთობა თანატოლებთან, ვერ პოულობს საერთო ენას მშობლებთან. როდესაც მთელი კლასი ექსკურსიაზე მთაში მიემგზავრება, მას მარტო დარჩენა სურს, გაპარვას ახარხებს და საკუთარი სახლის სარდაფში იკეტება.



KEEP SMILING ANU BAILOMBI

რეჟისორი რუსუდან ჭყონია
როლებში ია სუხიტაშვილი, ნანა შონია, ოლივო ბაბლუანი, თამუნა ბუხნიკაშვილი, შორენა ბეგაშვილი, ია ნინიძე, ნანა ჩიჩუა, გია როინიშვილი და სადებიუტო როლით ბექა ელბაქიძე.
ჟანრი დრამა

ფილმში ნაჩვენებია არიან კონკურსანტი ქალები, რომლებსაც განსხვავებული ისტორია, სოციალური სტატუსი და მიზეზი აქვთ კონკურსში მონაწილეობის. თუმცა, საბოლოო ჯამში, ისინი მათი წარმოდგენებიდან განსხვავებულ რეალობაში აღმოჩნდებიან.

Disney

OZ


THE GREAT AND POWERFUL



DISNEY PRESENTS A ROTH FILMS PRODUCTION IN ASSOCIATION WITH CURTIS-DONEN PRODUCTIONS. JAMES FRANCO "OZ THE GREAT AND POWERFUL" MILA KUNIS RACHEL WEISZ MICHELLE WILLIAMS ZACH BRAFF BILL COBBS JOEY KING TONY COX
EXECUTIVE PRODUCERS SCOTT STOKDYK PRODUCED BY DANNY ELFMAN DIRECTED BY GARY JONES
SCREENPLAY BY MICHAEL KUTSCHE EDITOR BOB MURAWSKI, A.C.E.
EXECUTIVE PRODUCERS ROBERT STROMBERG PRODUCED BY PETER DEMING, ASC EXECUTIVE PRODUCERS GRANT CURTIS PALAK PATEL PHILIP STEUER JOSH DONEY
EXECUTIVE PRODUCERS JOE ROTH PRODUCED BY L. FRANK BAUM SCREENPLAY BY MITCHELL KAPNER AND DAVID LINDSAY ABAIRE DIRECTED BY SAM RAIMI

IN CINEMAS SOON

IN DISNEY DIGITAL 3D, REALD 3D AND IMAX 3D



ბესიკ, ბესო, ბესარიონ... ჩვენო ერთადერთოჯოჯონო!

ავტორი ღაბით ბუხრიქიძე

ამბობენ, რომ დოკუმენტური ფილმების უმრავლესობა „ტანჯვას ამრავლებს“, მაგრამ არის სასიამოვნო გამონაკლისებიც. მაგალითად, „თი-ბი-სი“ ბანკის საგამოფენო დარბაზში, ბესიკ ხარანაულის შესახებ ნაჩვენები დოკუმენტური ფილმის პრემიერამ ერთდროულად უჩვეულო, საამო და ღრმა განცდები მომგვარა. „პოეტი ქადაგი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლის ავტორი და უფროსი რეჟისორი, ქეთევან სადღობელაშვილი ცნობილი, მაგრამ რთულად საკითხავი პოეტის (ბესიკ, ბესო, ბესარიონის – როგორც თავის თავს უწოდებს) თითქმის ერთსაათიანი, მრავალგანზომილებიანი პორტრეტის შექმნას შეეცადა.

გაცილებით ადრე, საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობისას, ავტორმა 90-იანი წლების საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთგვარი სატელევიზიო „უპოქაც“ შექმნა – სწორედ ასე ეწოდებოდა გადაცემათა ციკლს. ამჯერად კი „ქადაგობის“ დიდ გზაზე შემდგარი ქართველი პოეტის შესახებ გაკეთებული საინტერესო არტ-განაცხადი მოვისმინეთ, რომელიც თავისი ხარისხით არაფრით ჩამოუვარდება ფრანგულ-გერმანულ „არტე“-ზე ნანახ დოკუმენტურ ფილმებს არტისტებზე, რეჟისორებსა თუ მწერლებზე.

მანც ვინ არის პოეტი? ფილმის მიხედვით ვარიანტები უსასრულოა: „მთავარი

გამთამაშებელი“; ხმელი ნიფლის შვილიშვილი; ივრის ჭალებში მოსიარულე კოჭლი ცხენი, რომელსაც მხოლოდ მშვიერი მგელი ხედავს; „თებერვალი, შემძვრალი ხეში“; ხის კუნძი, რომელსაც პოეტის სხეული ახსოვს... ან იქნებ, სიბერემდე ბიჭად დარჩენილი ბესიკ, ბესო, ბესარიონი, რომელიც 1954 წელს, უფროსად „დროშაში“ აღებულ ჰონორარით დედას საათს უყიდის... დროის ათვლა სხვაგვარად რომ ისწავლოს!

ფილმში „სამი სიმღერა“ კლასიკური სონატის მსგავსად სამი ნაწილისგან შედგება – თიანეთი, თბილისი და ლეშო. სადა, მომჭირნე, უბრალო და მხოლოდ აუცილებელი კადრები იტევს პოეტის გამოუთქმელ სევდას, რომელიც კრამიტის სახლის ოთახებში გამომწვევულა. ამ კადრებში გომურის სიმყუდროვეც ჩაბუდებულა, რომელიც ბიბლიურ კიდობანს უფრო ნაგავს. პოეტური ხაზები და შეგრძნებები გამოსახულების სინქრონულად ლაგდება. გამოსახულება ტექსტს ხან ზუსტად ედება, ხან ფარავს, ხანაც მისი კონტრასტულია. „რძის ფოსტას“ ლამის დამწვარი რძის სუნი ასდის, „კარტოფილის ამოღებას“ ნოტიო მიწის სურნელი აქვს, ხოლო „ხეიბარი თოჯინა“ ურბანისტული თბილისის სიცივეს გამოსცემს.

უცებ ვხედავთ, როგორ ხუმრობს ბესიკ-ბესარიონი ქალაქში, საკუთარი ნიგნის პრეზენტაციაზე, ხოლო სადღაც შორს, თიანეთის შარას სულ სხვა ბესარიონი მიუყვება მეზრესავით, რომელიც დაბმულ ცხენს გადაყრება და მას გულწრფელად, პოეტივით შეიცოდებს. მერე გომურში მონოლოგს ნაიკითხავს, რომ „პოეზიის ენა სულია და არა სიტყვათა რიგი“. მერე ვერლიბრით გაყოფილებს ოდნავ გაჰკრავს კბილს... სულ ბოლოს კი იტყვის: „როცა გაყვავილდება ცხოვრება და ჩვენ აღარ ვიქნებით, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ნამდვილად იყო“.

კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდია, რომელმაც როგორც იქნა „გარისკა“ და პროექტით დაინტერესდა, კიდევ გააგრძელებს შემდგომ არტ-ძიებებს. რაც ნიშნავს, რომ ქეთევან სადღობელაშვილსა და შემოქმედებით ჯგუფს (რეჟისორი – გიორგი მოლოდინაშვილი, ოპერატორები – ლევან ლეკიაშვილი და კახა ბუხრაშვილი, კომპოზიტორი – გოგი ძოძუაშვილი, მემონტაჟე – თიკო ნიკურაძე) კიდევ მიეცემათ დროც და საშუალებაც, უგმირო-წვეროზული დრო მშვიდი არტ-ჰაუზით მაინც გაანტიტრალონ... დაე, „გიჟებმა კიდევ ბევრჯერ დანომრონ თავიანთი აბდაუბდა ფიქრები“.

კოვა
მარჯანიშვილის
სახელოვის
სახელმწიფო
დრამატული თეატრი



უილიამ შექსპირი

ჰამლეტი

რეჟისორი თემურ კუპრავა



რეზო გაბრიადე: თეატრი

სიყვარული და ქრემატორიუმი

რბილი რეჟისაჟის რეზო გაბრიადის „რამონას“ რამოზაზე

ავტორი ღვინო ბუხრიკიძე
ფოტო ლევან ხარხაულიძე



ჯო რაიტის ფილმი „ანა კარენინა“ და რეზო გაბრიადის სუპექტაკლი „რამონა“ ორი დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, მონაცვლეობით ვნახე. ყოველგვარი ცინიზმის გარეშე უნდა ითქვას, რომ მუყაოსგან გამოთლილი, ქალის სახის მქონე ორთქლმავალის სიკვდილი გაცილებით

შთამბეჭდავი იყო, ვიდრე ბრიტანელი რეჟისორის ფილმის ფინალში, ნამდვილი ორთქლმავლის ბორბლებში ჩავარდნილი კირა ნაიტლის ნახვა. და საერთოდ, გაბრიადის ფანტაზიით და ხელით ნაკეთი თოჯინები სამყაროს უსამართლობასა და უსასრულობაზე უფრო მეტს მოგვი-

თხრობენ, ვიდრე ტოლსტოის გენიალური რომანით შთაგონებული, ცივი და თეატრალური კინო. მაგრამ შევეშვათ ორთქლმავლებისა და ქალების, თეატრისა და კინოს უმიწოდ პარალელებს. მხოლოდ რეზო გაბრიადის ახალი, მაგრამ კარგა ხნის წინ განცდილი სუპექტაკლის



პოეტურ (და ზოგჯერ სასტიკად პროზაულ) თავისებურებებზე ვისაუბროთ.

უკანასკნელი ათწლეული რეჟისორისათვის საკმაოდ რთული და დატვირთული გამოდგა: ორი სპექტაკლი თეატრში და დიდი გამოფენა რუსეთში. ჯერ „სტალინგრადის ბრძოლა“, რომელმაც ურიცხვი რაოდენობის თეატრალური ჯილდოები მოუტანა და შემდეგ, ჩვენი თეატრალებისთვის ნაკლებად ცნობილი „როცა ლოკომოტივები ერთმანეთს შეხვდებიან“. ამავე პერიოდში ბრწყინვალე გრაფიკული და ფერწერული ჩანახატების სერია შექმნა, ხოლო ბოლო წლები უკვე ძველი თბილისის სიმბოლოდ ქცეულ „დახრილი კოშკის“ მშენებლობასა და მარიონეტების თეატრის რესტავრაციას შეაღია.

სპექტაკლი „რამონა“ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, რუსეთში დადგმული „ლოკომოტივების“ ახალი ვერსიისა. სხვათა შორის, შეყვარებული ორთქლმავლების – რამონასა და ერმონის ისტორია მოსკოვში ერთ-ერთ თეატრალურ ფესტივალზეც წარმატებით წარმოადგინეს, მთავარ როლებს კი ჩულპან ხამატოვა და ალექსანდრე გარმაში ასმონებდნენ. სპექტაკლის განახლებული ვერსია სახელწოდებით „რამონა“, ჩამატებული თოჯინებითა და ფილოსოფიური მასშტაბით, გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. თოჯინები, ამჯერად, ნინო კასრადის, რუსლან მიქაბერიძის, დავით

დვალისვილის, რუსუდან ბოლქვაძის ხმით მეტყველებენ.

რკინიგზის სადგური, მატარებლები, ნაჭრის თოჯინები, სულიერი და არასულიერი არსებები, ცირკი „შაპიტო“ – ეს ყველაფერი გაბრიაძის თეატრალურ-ფილოსოფიური პანთეონის ნაწილია, რომლის აღქმისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. უბრალოდ, სამყაროსადმი ეჭვი, უნდობლობა, ბავშვური გულწფლობით უნდა გააძნოთ და დაქვეითებული მგრძობელობა მეტი სიყვარულით გაახსუროთ. საერთოდაც, ეს წარმოდგენა საკვირაო ქადაგებასავითაა, რომლიც თვალს, სულს და გონებას თანაბრად ავსებს. ტექსტს კი გაფაციცებით უნდა უსმინოთ, რათა რთულად აღსასრულებელი, მაგრამ მარტივი შეგონება არ დაგვაინწყდეს: „არასოდეს, არავის უთხრა უარი, როცა შენ ხარ მისი ბოლო იმედი!“

რეზო გაბრიაძის კარგად ნაცნობი თემები – ცირკი და მატარებლები – ახალ სპექტაკლში კარგი ლიტერატურის, დახვეწილი ირონიის და მძაფრი მეტაფიზიკურობის წყალობით დახვეწილად იკრიბება. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „სტალინგრადის ბრძოლისაგან“ განსახვავებით (რომელშიც ომით შეძრული და განადგურებული ჭიანჭველას განცდები ფინალში ლამის კოსმიურ მასშტაბში გადაიზრდება) „რა-

მონა“ უფრო კამერული, ფაქიზი და სენტიმენტალურია.

სარკინიგზო ლოკომოტივების – „ერმონისა“ და „რამონას“ – სიყვარულის ისტორიას კონკრეტულ დროში, ომის შემდგომ საბჭოეთში გადაყვავართ, როცა საბჭოთა კავშირის რკინიგზის მინისტრი კაგანოვიჩი იყო. დაულაღავი ერმონი მთელ საბჭოთა კავშირს გადაკვეთს – მას ციმბირში აგზავნიან, ხოლო „მანევრული და მანერული“ რამონა მხოლოდ რიონის ადგილობრივ ქვესადგურში მოძრაობს – „სამასი მეტრი იქით, სამასი აქეთ“.

ნაჭრის თოჯინებისა და რიონის მიტოვებული ქვესადგურის მიღმა სასტიკი და მშვიერი დრო თვლემს, მაგრამ მას ვერ იგრძნობთ. იმიტომ, რომ ავტორი ლობოჭაძეა ლომებს, „ტურნიკზე“ მოხტუნავე მაიმუნებს, დევნილი „შაპიტოს“ ადმინისტრატორს (სასაცილო გვართ – ბაბახიდი) თუ ბაგირზე მოსიარულე ამალია-ანომალია ხობლუკოვას, თანაბრად უნაწილებს სიყვარულსა და თანაგრძობას. ეს კი დღეს ყველაზე დიდი იშვიათობაა ხელოვნებაში.

მიუხედავად სრულიად გასაგები და კონკრეტულ-კომიკური გზავნილებისა, „რამონაში“ დრო და სივრცე ფილოსოფიურ კატეგორიამდე მალღდება. ისე, რომ რეჟისორი მაყურებელზე არავითარ ძალდატანებას არ ახდენს. თეორი ტილოს ნაგლეჯზე მოულოდნელად ამეტყველებული კინემატოგრაფიული

რეჟისორი: თეატრი

ხატები სწორედ „დიდი დროის“ კონტექსტს და წვდომას გულისხმობს. აქ ინრიტება ყველაფერი – „ტროფინი“ ფილმის კადრებით დაწყებული (ჯანეტ მაკდონალდისა და ედი ნელსონის დუეტს ფილმიდან რამონა და ერმონი ლობის გარედან უცქერენ, რადგან ბილეთი ვერ იშოვეს), მეტალურგიული ქარხნის მარტენის ლუმელის ამსახველი კადრებით დამთავრებული. ნაწილებად დაშლილი და განადგურებული ერმონის ფონზე ეს სტალინისტური ჯოჯოხეთის ფაქიზი შესენებაა. იქნებ მეტალურგიული ქარხანა უბრალოდ კრემატორიუმია, რომელიც ვადაგასული ორთქლმავლებისთვის გამოიგონეს?

ახალგაზრდობაში რეზო გაბრიადეს მეკობრეები, განსაკუთრებით კი „განძთა

კუნძულის“ პერსონაჟები, მოსვენებას არ აძლევდნენ. გმირობითა და ყაჩაღობის ინსტინქტით „დახუნძული“ ეს ცალხელა და ცალთვალა პერსონაჟები სიბერეში სიმშვიდეს ირჩევდნენ. ისინი მინას ყიდულობდნენ, ბალს აშენებდნენ, შინაურ ცხოველებს უვლიდნენ... წარმატებული კინემატოგრაფიული სამყარო გაბრიადესთვის რალაცით მეკობრეების ხიფათით სავსე თავგადასავალს ჰგავდა, მარიონეტების თეატრში, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მუშაობის დაწყება კი – „პენსიაზე გასული“ დრეიკის სიმშვიდეს; უკვე გარდასულის, ნანახის და მომხდარის ანალიზს; ანუ – ფილოსოფიურ ტრანსფორმაციას.

რეზო გაბრიადეს ცხოვრების მეორე აქტი, ანუ მარიონეტების თეატრი შავთე-

ლის ქუჩაზე, ბევრად მშვიდი და თავისუფალი გამოდგა, ვიდრე – კინემატოგრაფიული ქაოსით გამორჩეული ცხოვრება. ვინ იცის, იქნებ ეს ზედმეტი პასუხისმგებლობისგან გაქცევის და საკუთარი ავტონომიის შენარჩუნების ეშმაკური ხერხიც იყო. რადგან, არც მატყუარა მარშალ დე ფანტიეს, არც ქლეკიან ვიოლეტას და არც საბჭოთა „თუმნიანების“ ქურდს – ჩიტ ბორიას, სამინისტროს ჩინოვნიკები პასუხს ვერ მოთხოვდნენ. კინო კი ყოველთვის იდეოლოგიზირებული რჩებოდა საბჭოეთში.

P.S. კარგად მესმის, რომ იქ, ზემოთ, ხელოვნების „ქურუმების“ წინაშე, რეზო გაბრიადეს განსაკუთრებული წარდგენა არ ჭირდება, თუმცა ერთი



აკაური „ქურუმის“ დახასიათება-რეკომენდაცია მაინც მინდა გაგაცნოთ, ეს უდიდესი რეჟისორის, პიტერ ბრუკის შეფასებაა, ის რეზო გაბრიადეს ნამდვილ ხელოვანს უწოდებს: „დიდი გამოცდილება და ცოდნა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, საშუალებას აძლევს გაბრიადეს, მიაღწიოს გორდონ კრეგის იდეალს, როცა მარიონეტი და მსახიობი, რეალობა და გამონაგონი ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთის ტოლფასია. თეატრში ასეთი რამ იშვიათად ხდება და ეს ნამდვილი ტრანსცენდენტური რეალიზმია“.

სხადი

უმკობელი

სტილი



მოლის ისტორია

„კინოკოსტიუმები
ქმნის მოლას“

კინოკოსტიუმები

ანას კაბა



ბანწყობების დაფა: ქალაქი ახალგაზრდებისთვის

თამარ ალავიძე

შავის და წითლის კომბინაცია, ელვა-შესაკრავები, საკინძები, შალის უჯრედოვანი ქსოვილი (ჩვენ რომ „მოტლანდკას“ ვეძახით), ანგორის მატყლი – ეს ის დეტალებია, რომლებიც წლების განმავლობაში ეტაპობრივად იმკვიდრებდა თავს მოდაში, პანკების სუბკულტურის გავლენით. დღეისთვის ეს ელემენტები იმდენად კანონზომიერად არის ინკორპორირებული სხვადასხვა სეზონურ კოლექციებში, რომ მათ ასე განყენებულად „პანკურ ელემენტად“ არც კი განიხილავენ.

ვინაიდან ეს სუბკულტურა თავის დროზე, დაახლოებით 1970-იან წლებში, ლონდონში, კინგს როუდზე დაიბადა, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ პანკის თემაზე ყველაზე მეტად ბრიტანელი დიზაინერები „ენტებიან“ და სათქმელიც, თითქოს, მათ აქვთ ყველაზე მეტი. საერთოდაც, მგონია, რომ თამამი ექსპერიმენტების, გამბედაობის და ქსოვილების თემის უსასრულო კვლევების მოტივაციის შედეგი ყველაზე ხელშესახები ლონდონის კვირეულზე ხდება ხოლმე. ლონდონი ის ადგილი-


ცაა, სადაც დამწყებ დიზაინერებს, მოდის სხვა დიდ ქალაქებთან შედარებით, გაცილებით მეტი შანსი აქვთ, თავიანთი ნაფიქრ-ნაღვანი პრესტიჟული „ფეშენაუდიტორიის“ წინაშე წარადგინონ და წარმატებისთვის საჭირო „ოქროს ბილეთი“ მოიპოვონ. მოკლედ, ლონდონი ჩემთვის ინსპირაციების და აღმოჩენების ერთგვარი სკვირია, რის გამოც, თითქმის ავტომატურად, იქაური მოდის კვირეულისგანაც ორიგინალურ სიახლეებს ვეღვი.

2013 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონზე სიურპრიზები საკმარისად იყო, თანაც ისეთი, სასიამოვნოდ რომ დაგელექება მესსიერებაში. კვირეულის ვეტერანმა, ვივიენ ვესტვუდმა ახალი მიმართულება აირჩია: ჩვენებებში თეატრალიზებული, ხაზგასმულად სექსუალური სტილის გამოყენებაზე უარი თქვა და პანკის ელემენტებით გაჯერებული ესთეტიკაში შედარებით „დამინებული“ დეტალები შეიტანა. დავინროებული წელი, ვესტვუდის საკულტო ზოლებიანი ქსოვილები, თავისუფლად დრაპირებული კაბები, სა-

დაც ჟაკეტების და მუხლამდე სიგრძის ქვედაბოლოების ელეგანტური მიქსი – ასეთი იყო ვივიენ ვესტვუდის ბოლო კოლექცია.

წარმოშობით თურქმა, ლონდონში მოღვაწე ახალგაზრდა დიზაინერმა ერდემ მორალიოგლუმ კი საკუთარი ბრენდის ისტორიაში პირველად გამოიყენა შავი ფერი. ხასხასა მწვანესთან და ღია ვარდისფერთან ზომიერი შეხამებით, შავის სხვადასხვა ტონალობის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ერდემს ჩვეული ხელწერით ჰქონდა გამოყენებული ყვავილოვანი პრინტები, რომლებიც მოხერხებულად იყო პერფორირებული მუქი ფერის, ბადე-ქსოვილში.

ამ კვირეულიდან კიდევ რამდენიმე ჩვენებას გავისვენებდი, მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში იყოს, რომელშიც მკითხველებს შესაძლებლობა ექნებათ, ვრცლად ნაიკითხონ, ლონდონთან ერთად, ნიუ იორკის, პარიზის და მილანის მოდის კვირეულების ყველაზე გამორჩეული ჩვენებების შესახებ.



პულტვერი
49 GEL

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO



გსურთ მიიღოთ VIP მომსახურება აეროპორტში? მიმართეთ "primeclass" ის CIP სამსახურს.

"primeclass" ი სთავაზობს თავის სტუმრებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს აეროპორტში შემოსვლისთანავე. CIP აგენტი, მეზარგუდთან ერთად დაეხმარება მგზავრებს აეროპორტში არსებული ყველა საჭირო პროცედურის გავლაში, მათ კი შეუძლიათ მოისვენონ "primeclass" CIP დარბაზებში.

Tbilisi | Tel: 322 310 330 | Fax: 322 310 331 | E-mail: primeclass.georgia@tav.aero
Batumi | Tel: 422 235 111 | Fax: 422 235 112 | E-mail: primeclass.batumi@tav.aero
TAV Georgia Operation Services LLC | www.primeclass.com.tr


primeclass
CIP Service

„კინოკოსტიუმები ქონის მოდას“

ავტორი გვანსა ნემსაძე



კინოკოსტიუმი ფილმის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს და შესაბამისად განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. კინემატოგრაფიის დასაბამიდან, დიზაინერები ფანტაზიას არ იშურებენ საიმისოდ, რომ კონკრეტულად იმ ეპოქის შესაფერისი სამოსი შექმნან, რომელშიც მოქმედება ხდება, ან პირიქით, განზრახ, სრულიად განსხვავებული სტილის კოსტიუმები მოიფიქრონ, რომლებიც ახალ ტენდენციას განსაზღვრავს და შემდეგ მოდის ისტორიაშიც რჩება. ზოგჯერ კი შეიძლება ერთმა კონკრეტულმა კოსტიუმმა ფილმის წარმატებაში განმსაზღვრელი როლი ითამაშოს.

*მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები
ჰოლ რუბინშტეინის წიგნიდან „100
დაუვინყარი კაბა“*



სალამონ კაბა ფილმისთვის „საბრინა“

„საბრინა“ ოდრი ჰეპბერნის მეორე ფილმია. გადაღებების დაწყებამდე, 24 წლის მსახიობს სტუდია Paramount Pictures-ის პროდიუსერებისთვის უთხოვია, მისი გარდერობის შექმნა 26 წლის ფრანგი დიზაინერის, ჰუბერ დე ჟივანშისთვის მიენდოთ. პროდიუსერმა ოდრის შეახსენა, რომ უკვე დაქირავებული ჰყავდათ ასეთი სპეციალისტი – საუკეთესო კოსტიუმის დიზაინის შექმნისთვის ხუთი „ოსკარით“ დაჯილდოებული – ედიტ ჰედი. მიუხედავად იმისა, რომ ჰედი ჟივანშისთან კოლაბორაციას დათანხმდა, ფილმის რეჟისორმა მსახიობს პირობა წაუყენა: შენი რჩეული დიზაინერის ანაზღაურებაზე თავად უნდა იზრუნო. ყველას გასაოცრად, ოდრი ჰეპბერნი დათანხმდა.

საბოლოოდ, ჟივანშიმ საბრინასთვის შექმნა საოცრად მგრძობიარე, მეფურად თეთრი, ბამბის ქსოვილის ელეგანტური კაბა, რომელსაც ბოლოებზე შავი ყვავილები ჰქონდა ამოქარგული. კაბა პრესისა და ფოტოგრაფების ფავორიტად იქცა. გადამყიდველები მისი ასლების შეკვეთებს ვეღარ აუდიოდნენ. პრაქტიკულად, ფილმს გარანტირებული ჰქონდა ნომინაცია „საუკეთესო კოსტიუმის დიზაინისათვის“, მაგრამ ედიტ ჰედმა უარი თქვა, პრიზი ჟივანშისათვის გაეყო. ეს კი იმით ახსნა, რომ სტუდიამ მხოლოდ მისი სახელი წარადგინა დაჯილდოებაზე: მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ „საბრინას“ კაბების უმეტესობა ფრანგმა დიზაინერმა შექმნა, დასრულებული სახე მათ „Paramount“-ში ედიტ ჰედმა მისცა (ცხადია, ჟივანშის ზედამხედველობით). საბოლოოდ, ჰედმა მოიპოვა მეექვსე ოსკარი „საბრინასთვის“, ჟივანში კი ამის შემდეგ ოდრის გარდერობის ექსკლუზიურ დიზაინერად იქცა. მან მსახიობის ყველა მთავარი როლისათვის შეუკერა კოსტიუმი, გარდა ფილმისა „ჩემი მშვენიერი ლედი.“



**შავი უბრეტელო კაბა
ფილმისთვის „GILDA“**

პოპულარობის შენარჩუნებას უბრეტელო კაბა რიტა ჰეივორდს უნდა უმაღლოდეს. შესაძლოა, ის არ იყო პირველი, ვისაც ეკრანზე თუ კადრს მიღმა ასეთი კაბა ეცვა, მაგრამ ვერავინ მოიხრებდა მას ისე, როგორც ეს ჰეივორდმა მოახერხა ფილმ Gil-
da-ში. სიმღერა „Put the blame on Mame“ ჰეივორდის კარიერის განმსაზღვრელი გახდა: ეს იყო სტრიპტიზი, რომელიც მსახიობ-
მა ცალი ხელთათმანით შეასრულა ლამის კლუბში. თუმცა, სხვა კინოროლებთან შედარებით, Gil-
da-ში ჰეივორდის მოძრაობები უფრო ფრთხილი და მოზომილი იყო, რადგან კაბა რამდენადაც
სექსუალური იყო, იმდენად – „შეზღუდულიც“. ფილმის გადა-
ღებისას, ჰეივორტი ფეხმძიმედ იყო და მუცელიც ოდნავ უკვე ეტყობოდა. დიზაინერ ჟან ლუი-
სისა და ნიჭიერი ქორეოგრაფის, ჯექ კოულის შრომის შედეგად, მისი მდგომარეობა მაყურე-
ბლისთვის შეუმჩნეველი დარჩა. კოულმა ფეხების მოძრაობის ნაცვლად, მთლიანი დატვირ-
თვა გადაიტანა ბეჭების მუდმივ რხევაზე. ლუისმა კი, მკერდის უკეთ დასაჭერად, ბიუსპალტერი
პლასტმასით გაამყარა და წელზე დიდი ლამაზი ბაფთა გაუკეთა – ასე მან მსახიობის მუცლის შე-
ნიღბვა მოახერხა. დიზაინერის თქმით, უბრეტელო კაბაზე ასეთი დიდი ბაფთის დამაგრება მისი
ექსპერიმენტული გემის ნაწილი იყო. მაყურებელს წარმოუდგენაც არ ჰქონდა კაბის შიდა კონს-
ტრუქციაზე. ჰეივორტის მო-
ძრაობების ნახვის შემდეგ, ისინი ფიქრობდნენ, რომ უბრეტელო კაბის ჩაცმა სავსებით შესაძლე-
ბელია. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ იმოძრაებდნენ, მათი თავდაჭერილობა და რეპუტაცია საფრთხის წინაშე მაინც არ დაღ-
გებოდა.



**ჰიჩკოკის კაბა
ფილმისთვის „REAR
WINDOW“**

ჰიჩკოკი მაქსიმალურად იყო ჩართული კოსტიუმების მომზადებაში. მისი შენიშვნები ყოველთვის ზუსტი იყო: სპეციფიკური ფერი, სილუეტი თუ აქსესუარების დეტალები – ყველაფერი დეტალურად ჰქონდა სცენარში განწერილი.

კაბა, რომელიც გრეის კელის ეცვა ფილმ „Rear Window“-ს დასაწყისში, დიზაინერმა ედიტ ჰედმა ზუსტად ისეთი შექმნა, როგორც ჰიჩკოკმა ისურვა. რეჟისორმა წინასწარ განსაზღვრა, რომ ფილმში კელი დრეზდენის თოჯინას უნდა დამსგავსებოდა.

ერთ-ერთ სცენაში, ვიდრე გრეის კელი ინვალიდის ეტლში მჯდომი შეყვარებული ფოტოგრაფის საკოცნელად გადაიხრება (მამაკაცის როლს ჯეიმს სტიუარტი ასრულებს), მისი ჩრდილი ავისმომასწავლებლად გადაეფარება მიძინარე სატრფოს. შემდეგ, კამერა მსხვილი ხედით, ფოკუსში აქცევს კელის ფაიფურის სახისა და ალისფერი ტუჩების სილამაზეს. მაყურებლის ინტერესის საგანი ხდება თვითონ კაბაც, რომელსაც თითქმის ერთმანეთს მიბჯენილი, სადა, შავი ნახვრეტები აქვს, უკანა მხარეს კი, მთელ სიგანეზე გასდევს გამჭვირვალე თეთრი მოსასხამი, რომელიც გრეის კელის მარგალიტების ასხმით შემკობილ კისრამდე ადის.

კოცნის შემდეგ, ქალი უკან იხევს, რომ ოთახში შუქი აანთოს, კამერა კი ერთ ადგილას შეშდება და ჩვენ ვხედავთ ჯერ ტყავის ქამარს, შემდეგ კი ქამრიდან ქვემოთ ჩაყოლებულ, გიშრით მორთულ ფოთლებს. დაბოლოს, მთელი თავისი დიდებულებით ჩნდება ეკრანზე თეთრი შიფონის კაბა, რომელიც კელის ისედაც ვინყო წელს, კიდევ უფრო ვინროს აჩენს.



ფემოლი

ჰარმონიული პერიოდი ქალბატონებისთვის

რა არის მენოპაუზა

მენოპაუზა ბერძნული სიტყვაა - "მენ" თვე და "პაუსის" შეწყვეტა. მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა არ ხდება ერთ დღე-ღამეში სინამდვილეში ეს ბუნებრივი პროცესია, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება. ქალბატონებს მენოპაუზა ჩვეულებრივ ეწყებათ 45- 50 წლის ასაკში და უგრძელდებათ რამოდენიმე წელი. ეს მონაცემები მიახლოებითია, რადგან ყველა ქალისთვის ინდივიდუალურია. ზოგს შეიძლება მენოპაუზა დაეწყოს ნაადრევად, ზოგს კი გაცილებით მოგვიანებით.

რა ხდება მენოპაუზის დროს

მენოპაუზა გამონვეულია ჰორმონული დისბალანსით, ამ დროს ორგანიზმი გამოიმუშავებს ნაკლებ ქალურ ჰორმონებს - "ესტროგენებს". ეს კი იწვევს არასასიამოვნო შეგრძნებებს მენოპაუზის დროს.

რა სიმპტომები ახლავს მენოპაუზას

მენოპაუზისთვის დამახასიათებელია შემდეგი ჩივილები: ნაშობურება, რაც "აღების" სახელწოდებითაა ცნობილი, გულისცემის აჩქარება, სახსრების ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება ქვედა კიდურებში, ხასითის ცვლილება, უძილობა, აგზნებადობა, ხშირი თავის ტკივილი, მარდის შეუკავებლობა (ერთ-ერთი ხშირი პრობლემაა მენოპაუზის დროს), წონის ცვალებადობა და სხვა.

მენოპაუზის სტანდარტული მკურნალობა

მენოპაუზა არ არის დაავადება. ყველა ქალი გადის ამ პერიოდს, ისინიც კი ვისაც გაკეთებული აქვთ "ჰისტეროექტომია" (საშვილოსნოს ამოკვეთა).

კომპანია CPC (აშშ) შექმნა მცენარეული წარმოშობის პრე-პარატი ფემოლი, მასში შემავალი ინგრედიენტი - ციმიციფუგას ექსტრაქტი (Cimicifuga racemosa) შეიცავს ფიტოესტროგენებს.

ფემოლი

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ მცენარეები შეიცავენ სუბსტანციებს, რომლებიც ძალიან გვანან ადამიანის ესტროგენებს და მათ ფიტოესტროგენებს უწოდებენ. ისინი აღმოჩენილია ბევრ მცენარეში, მათ შორის ციმიციფუგაში. ფიტოესტროგენები მნიშვნელოვნად პოზიტიურ გავლენას ახდენენ და ხელს უწყობენ მენოპაუზის დროს დამახასიათებელი სიმპტომების შემცირებას.

რჩევები ქალბატონებს მენოპაუზის დროს

- მიიღეთ ჯანსაღი საკვები მწვანე ბოსტნეულის სახით, კალციუმის შემცველი რძის პროდუქტები, თევზი, რომელიც მდიდარია D ვიტამინით. შეამცირეთ საკვებში მარილისა და შაქრის რაოდენობა, რაციონიდან სრულიად ამოიღეთ ცხარე საკვები, ალკოჰოლი. უცადეთ შეამციროთ ჩაისა და ყავის რაოდენობა. მიიღეთ ბევრი სითხე ხილის წვენებისა და წყლის სახით.
- იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით. იყავით პოზიტიურად განწყობილი ცხოვრების მიმართ.
- მიიღეთ ფემოლის 1 კაფსულა 1-ჯერ დღეში. იგი დაგეხმარებათ მენოპაუზით გამონვეული პრობლემების გადალახვაში.

PHOTO/STYLE: GREGORY REGINI

MODEL: NIA GRDZELIDZE

MAKE UP: CHRISTINE REGINI

*DESIGNER: **WHITECORNER** BY GVANTSA JANASHIA*


















ანას კაბა

ავტორი, ფოტო: მარია ქოჩიაშვილი





21-ე საუკუნის რეჟისორმა, ჯო რაიტმა, 19-ე საუკუნის არისტოკრატიული რუსეთის რამდენიმე სცენის გასაცოცხლებლად 17-ე საუკუნის ინგლისური ფუფუნება და ამ ფუფუნების გამომხატველი სასახლე სახელად Ham House აარჩია, რომელიც ლონდონის ცენტრიდან, სიტყვიდან მოშორებით მდებარეობს.

წვიმაში რამდენიმე საათიანი მგზავრობის შემდეგ, სასახლეში შევაბიჯე და თითქმის მაშინვე „ანა კარენინას ეპოქაში“ აღმოვჩნდი; თუ მინცდამინც უნდა ვიკამათოთ, მაშინ ვიტყვი, რომ აღმოვჩნდი გარემოში, რომელიც ჩემი და ჯო რაიტის წარმოდგენით ძალიან ჰგავდა კარენინას ეპოქას.

პატარა ფანჯრიანი სახლები, ამ განათებულ ფანჯრებში – ქერათმიანი, ლოყებ ალაჟღაჟებული ბავშვების სახეები. ორანჟერიები, თვალუნვდენელი მინდვრები, ცხენის სადგომები და ცხენით მოსეირნე ქალბატონები... ვინც ცხენზე არ ზის, ხეივანში ძაღლებს ასეირნებს.

დროში მოგზაურობაში ხელს სულ რამდენიმე პატარა ნიუანსი მიშლის – ჩაცმული ძაღლები, თანამედროვე ტანისამოსი და ინგლისური ენა. თუ ამ დეტალებზე თვალს დავხუჭავ და თავს ძალას დავატან, თანაც თუ ფილმის საუნდტრეკსაც ჩავირთავ პლეერში და მარჯვნივ გავიხედავ, იმ სასახლეს დავინახავ, სადაც თურმე ფილმის რამდენიმე სცენაა გადაღებული (მგონი, ვრონსკის სახლის სცენები) და ახლა „ოსკარზე“ ნომინირებული ექვსი კოსტუმი ექსკლუზიურადაა გამოფენილი.

პირველი ცდა, სასახლეში შემედგინა და „ანა კარენინას“ კოსტიუმები დამეთვალყურებინა, მარცხით დასრულდა. ჭიმკარში ქალი შემეგება, ბოდიში მომიხადა, სამწუხაროდ, თქვენ დააგვიანეთო; მიხსენა დოსტოევსკიც (ტოლსტოიმი აერია) და მირჩია, თუ გამოფენის დასათვალყურებლად მომავალ კვირასაც მოხვალთ, თადარიგი ადრინად უნდა დაიჭიროთ, რადგან გამოფენას ბევრი ხალხი სტუმრობს და თითო ტურზე 20 ადამიანზე მეტს არ უშვებენო.

ერთი კვირის შემდეგ ვბუნდები და უკანასკნელი სენსის უკანასკნელ ბილეთს ვყიდულობ, ორანჟერიის კაფეში ყავას მივრთმევ და ვცდილობ, წარმო-

ვიდგინო – გასულ წელს, აქ გაჩაღებულ გადაღებებზე როგორ დაფარფატებდა კირა ნაითლი, როგორ დინჯად დააბიჯებდა ჯუდ ლოუ მინაზე, რომელზეც ახლა ფეხი მე მიდგას. სულ ცოტაც და იმ ოთახში შევალ, სადაც ჯო რაითი ნიგნის გმირებს აცოცხლებდა.

სპეციალურად ფილმისთვის ხელით შეკერილი კოსტიუმები გრძელ გაღერებაში გამოფენილი. მათი ავტორი BAFTA-სა და კინოაკადემიის ნომინაციებზე წარდგენილი კოსტიუმების დიზაინერი ჟაკლინ დიურანია. ეს სახელი ორი ფილმიდან – *Pride and Prejudice* და *Atonement* უნდა გახსოვდეთ, ქალბატონ დიურანს „კარენინამდე“ სწორედ ამ ორი ფილმისთვის შეუკერია მანამდე კოსტიუმები.

შესასვლელში კარენინის ნაცრისფერი კოსტიუმი (ჯუდ ლოუ) და ანას (კირა ნაითლი) იასამნისფერი კაბა კიდეა.

შალის ნაცრისფერი კოსტიუმი ჯუდ ლოუს თითქმის მთელი ფილმის განმავლობაში აცვია. ის 19-ე საუკუნის რუსული უნიფორმის ინსპირაციითა შეკერილი. ჟაკლინ დიურანის განმარტებით, იგი

მცველების სამოსს იკვლევდა, როცა მიხვდა, რომ კარენინის კოსტიუმშიც სწორედ ამ უნიფორმებისთვის დამახასიათებელი სადა სტილი უნდა გადმოეტანა, რადგან ამით პერსონაჟის ხასიათს კიდევ უფრო გამოკვეთდა. „ჯუდსაც მოენონა კოსტიუმის სისადავე – ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ოთახში ხომ ხშირად ყველაზე შეუმჩნეველად, მეორეხარისხოვნად გამოიყურება“, – ამბობს დიურანი.

კარენინის ნაცრისფერ კოსტიუმს გვერდს ანას ყურძნისფერი აბრეშუმის კაბა უმშვენებს.

კაბა, რომელიც ფილმის დასაწყისში ბევრ სცენაში აცვია ანას, თურმე, ჟაკლინ დიურანის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კოსტიუმი ყოფილა.

„ეს კაბა მკერდის გარშემოწერილობას ამკვეთრებს, რაც 1950-იანი წლების ესთეტიკისთვისაა დამახასიათებელი. მეორეს მხრივ კი, მას აქვს მოცულობითი ქვედაბოლო – 1870-იანი წლებში გავრცელებული სტილის მსგავსად. ამ ორი ეპოქის სტილი ერთ კაბაში იმიტომ გავერთიანე, რომ ასე ყველაზე ზუსტად

ვუპასუხებდი რეჟისორის მოთხოვნას – ფილმის მთავარ გმირს ჰქონოდა ძლიერი, ამაყი ქალბატონის სილუეტი“ – ამბობს დიურანი კაბაზე, რომლის შეკერვასაც ერთმა გამომჭრელმა და ორმა მკერავმა დაახლოებით 50 საათი დაახარჯეს.

კინოკოსტიუმების გამოფენაზე ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ანას შავ კაბას უტრიალებს.

ეს ის შავი კაბაა, რომელიც ცნობილ ნვეულებზე აცვია კარენინას და რომელსაც Chanel-ის ძვირფასეულობა კიდევ უფრო წარმოსაჩენს ხდის. ნანარმოებშიც ასეა – რომანის ამ ეპიზოდშიც ანას შავი კაბა აცვია და რეჟისორმა და დიზაინერმა გადანყვიტეს, „ტოლსტოის დიზაინი“ ფილმშიც შეენარჩუნებინათ.

რეჟისორი ფიქრობდა, რომ ამ კონკრეტული სცენის გადასაღებად მისი ხანგრძლივობისა და ცეკვის სირთულის გამო, დუბლიორის გამოყენება დასჭირდებოდათ. ამიტომ ეს ერთადერთი კოსტიუმი ფილმში, რომელიც ორ ეგზემპლარად შეიკერა.

დიზაინერმა იზრუნა იმაზეც, რომ 15



სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა



\$99 ერთ ადამიანზე ორადგილიან ნომერში

- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის შრავაღფეროვანი საუზმე
- აუზი, საუნა, ჯაკუზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი

და

სრული დღის მქვანე საკონფერენციო შემოთავაზება:

- სათათბირო ოთახი
- ორი ყავის შესვენება
- სადილი

ბააკითში თქვენი ღონისძიება შერატონში და ჩვენ ღაპობაში ხმს თქვენს სახელს!

ერთად ღავიცვათ ბარემო!

კინოკოსტიუმები

მეტრი ნაჭერი (რაც კაბის შეკერვაზე დაიხარჯა) მსახიობებს ტანზე მაქსიმალურად მსუბუქად მოერგოთ, რათა კირას და მის დებლიორს წვეულების ეპიზოდში ცეკვა არ გასჭირვებოდათ.

საბოლოოდ, კირამ მთელი სცენა თვითონ ითამაშა, ასე რომ, მეორე კაბა აღარც გამოუყენებიათ.

ვის ეცეკვა ანა იმ ღამეს? თეთრ კოსტიუმში გამოწყობილ ვრონსკის. გამოფენაზე შავი კაბის გვერდით მხრებში გამართული ვრონსკის ცისფერ სამხედრო უნიფორმას ვხედავ. თვალწინ მიდგება ქერა აარონ ტეილორ ჯონსონი და მისი მომავადოვებული, თავისივე კოსტიუმის ფერი თვალები.

ამ კოსტიუმის დიზაინი რუსული სამხედრო უნიფორმიდან აიღეს, საბოლოოდ კი, რეჟისორის მოთხოვნით, ცისფერი შალის ქსოვილით შეკრეს. ვინაიდან ორიგინალი ღილების შოვნა რთული აღმოჩნ-

და, თითოეული ღილი რამდენჯერმე, სათითაოდ ჩამოასხმევენეს ქარხანაში.

ვრონსკის მოპირდაპირე მხარეს, შანდლით ხელში შიდა საცვალის ამარა დარჩენილი ანაა... ამ ფორმაში ანა ფილმის ერთ-ერთ ბოლო სცენაში ჩანს.

თავდაპირველად, გადანყვებილი ყოფილა, რომ ანას შიდა საცვალი ყვითელ, ნიბელ და ვარდისფერ ფერებში იქნებოდა. თუმცა, რეჟისორმა ბოლო წუთს აზრი შეიცვალა და მეტი ეფექტისთვის ფერადი მხოლოდ კორსეტი დატოვა, დანარჩენი საცვალი კი – ნეიტრალური ტონალობისა, ანუ თეთრი.

„მე მეგონა, უფრო პატარა იყო [კირა]“, – ამბობს შუა ხნის ქალი, რომელიც კირას შავ კოსტიუმს ზემოდან დაჰყურებს. მისი თანმხლები ქალი კი ძალიან ახლოდან აკვირდება კაბის ილიის დეტალს და აღნიშნავს: „ნახე, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ

შეგიძლია ასე ახლოდან ნახო ნაკერები...“

მართლა საინტერესოა, როცა კოსტიუმებს, რომელიც ერთხელ ფილმში, ცნობილი მსახიობების ტანზე გაქვს ნანახი, ცხადში ხედავ, სულ ახლოდან შეგიძლია, დააკვირდე ნაკერებს, ქსოვილს ხელით შეეხო. კოსტიუმებს არაფერი იცავს და თუ ვინმე ხელით ეხება, ზედამხედველი ნერვიულობას იწყებს, თუმცა, შენიშვნას მხოლოდ მათ აძლევს, ვინც ფოტოს იღებს, „გადაიღეთ, ოღონდ განათებას ნუ გამოიყენებთ, თორემ „დისნეი“ ჩვენ აგვანაზღაურებინებს ზარალს!“

გამოფენის ზედამხედველს აფუხსენი, რომ განათების გარეშე ვიმუშავებდი და ფოტოები მეც გადავიღე – სამახსოვროდ ნამოვიღე შთაბეჭდილებები იმ ორსაათიანი ლონდონური მოგზაურობიდან, რომელმაც, სრულიად ძალდაუტანებლად, ანა კარენინას რუსეთში გადამისროლა.

სილამაზის სალონების ქსელი “მელანჟი”



www.melange.ge

ფალიაშვილის 72, ტელ: 223 54 52; ვ.ფშაველას 32, ტელ: 239 63 01; გ.დადიანის 7 (ს/ვ "ქარვასლა"), ტელ: 266 60 08.

სხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე



იოტა iOS-ისტვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მართლაც იკითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარიდან iTunes-ზე მოძიებნით „IOTA READER“





საქართველო
შამკობელი
98.5 FM

www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5

